

821.112.22  
შ-64

დრის შილერი

შაქარაშვილი

კომპოზიციები

---

საბჭოთა წერალი  
თბილისი  
1952

უკიდრის უილერი

83

2-64



# ყარაღები



## კიკოლომინები

თარგმანი  
სახელწოდება შესწავლისა



ს ა ვ ჯ თ თ ა მ წ ე რ ა ლ ი  
თბილისი  
1922

# ყველა

დრამა ხუთ მოქმედებად

Quae medicamenta non sanant, ferrum  
sanat; quae ferrum non sanat, ignis sanat.  
Hippokrates

რასაც წამალი ვერ განკურნავს, მას რკინა  
განკურნავს; რასაც რკინა ვერ განკურნავს, მას  
ცეცხლი განკურნავს.

ჰიპოკრატე

In tyrannos! — ტირანების წინააღმდეგ!

## მოქმედნი პირნი

მაქსიმოლიან ფონ მოლორ—მფლობელი გრაფი

კარლ } მისი შვილები  
ფრანც }

ამალია ფონ ედელრაიხ—გრაფის ნათესავი  
ჰერმან—უკანონო შვილი ერთ-ერთი აზნაურისა

შპიგელბერგ

შვაიცერ

გრიმ

რაცმან

შუფტერლე

როლერ

კოსინსკი

შვარც

დანიელ—მოხუცი მსახური გრაფ ფონ მოლორისა

ბასტერ მოზერ

ბატერ

გუნდი ყაჩაღებისა და სხვები.

მოქმედება წარმოებს გერმანიაში. მოქმედების ხანგრძლივობა  
ორი წელიწადი.

თავზეწეულადებული და მოქეიფე ახალგაზრდობა,  
შემდეგ ბანდიტები

# პირველი მოქმედება

სურათი პირველი

ფ რ ა ნ კ ო ნ ი ა

დარბაზი მოორის სასახლეში

ფრანცი და მოხუცი მოორი

ფრანც. მართლა კარგად ხართ, მამაჩემო? რაღაც გაფითრებული მეჩვენებით!

მოხუცი მოორ. სრულიად კარგად, შვილო ჩემო, სრულიად კარგად! რამე სათქმელი გაქვს?

ფრანც. ფოსტა მოვიდა! ჩვენი ლაიპციგელი კორესპონდენტისაგან წერილი არის.

მოხუცი მოორ. კარლოსის ამბავს მატყობინებს?

ფრანც. დიახ, ამბავს, მაგრამ ვშიშობ... არ ვიცი... მაინც როგორია თქვენი ჯანმრთელობა? მართლა კარგად ხართ, მამაჩემო?

მოხუცი მოორ. როგორც თევზი წყალში! შვილის ამბავს იწერება? შენ რა გაწუხებს, ორჯერ რომ იკითხე ჩემი ჯანმრთელობა?

ფრანც. თუ ავადა ხართ ან თუ ოდნავ ცუდად გრძნობთ თავს... მაშინ ნება მიბოძეთ, სხვა დრო ვარჩიო მოსალაპარაკებლად. (ჩურჩულით) ამ ამბავს უძღური სხეული ვერ გადაიტანს.

**მოხუცი მოზრ.** ღმერთო ჩემო, ისეთს რას გავიგებ?

**ფრანც.** ნება მიბოძე, ჯერ სიბრაღის ცრემლი დავღვარო ჩემი ზნედაცემული ძმის გამო. მე უნდა სიჩუმე დამეცვა და არაოდეს კრინტი არ დამეძრა, რადგან იგი თქვენი შვილია. მე უნდა დამეფარა მისი შერცხვენა და სისაძაგლე, რადგან იგი ჩემი ძმა არის, მაგრამ რომ მე თქვენი მორჩილი უნდა ვიყო—ეს არის ჩემი პირველი და სამწუხარო მოვალეობა... ამიტომ მაპატიეთ.

**მოხუცი მოზრ.** კარლ! კარლ! ნეტავ იცოდე, შენი ქცევა რა მწუხარებაში აგდებს მამაშენს. ნეტავ იცოდე, შენზე ერთი კარგი ამბავი მე ათი წლის სიცოცხლეს მომიმატებდა! დამიბრუნებდა სიჭაბუკეს, მაგრამ ახლა, ვაგლახ, სამარეს მათხოვებს!

**ფრანც.** მოხუცო, თუ ასეა, მაშინ მშვიდობით! დღეს ჩვენ ყველას მოგვიხდებოდა თქვენს კუბოზე თმები გვეგლიჯნა.

**მოხუცი მოზრ.** ნუ მიდინხარ! აწ რაღა დამრჩენია, ერთი პატარა ნაბიჯი. დაე ასრულდეს, როგორც მას სურს (დაჯდება). მისი წინაპრების ცოდვები შესამე და მეოთხე თაობას მოეკითხება... დაე მან მოიყვანოს სისრულეში.

**ფრანც** (წერილს ამოიღებს). ხომ იცნობთ ჩვენს კორესპონდენტს! უცქირეთ!.. ჩემი მარჯვენა ხელის თითს დავთმობდი, ოღონდ კი მეთქვა, რომ იგი ცრუობს, გესლიანი, სულმდაბალი, ცილისმწამებელი. ძალ-ღონე მოიკრიბეთ—მაპატიეთ, რომ თქვენ თვითონ წერილს არ გაკითხებთ—თქვენთვის საჭირო არ არის, თქვენ ვერც გადაიტანთ, ყველაფერი რომ შეიტყოთ.

**მოხუცი მოზრ.** ყველაფერი, ყველაფერი, შვილო ჩემო! შენ იქნები ჩემი საყრდენი!

ფრანც. „ლაიპციგი, პირველი მაისი. მე რომ შენთვის მტკიცე პირობა არ მომეცა, ძვირფასო მეგობარო, მცირედიც კი არ დაგიმალო, რაც შენს ძმას გადახდომია, მაშინ ჩემი უდანაშაულო კალამი ამდენ მწუხარებას არ მოგაყენებდა. თითქოს თვალთ გხედავ, რომ შენ ამ საზიზღარისა და გარყვნილისათვის აფრქვევ ცრემლებს“ (მოხუცი სახეს იფარავს). ხედავთ, მამაჩემო, მე მხოლოდ უწყინარ ადგილებს გიკითხავთ! „რომ შენ გარყვნილისათვის ამდენ ცრემლს აფრქვევ“. ოხ, ცრემლი მდიოდა, მისთვის მე გულით ვწუხდი!— „თითქოს ვხედავ მოხუცებულს და პატიოსან მამაშენს, სიკვდილივით გაფითრებულს“... ღმერთო ჩემო, მართლაც გაფითრებულხარ, ჯერ ხომ მცირედიც არ მოგისმენიათ.

მოხუცი მოორ. განაგრძე... განაგრძე!

ფრანც. „გაფითრებული, როგორც სიკვდილი, ემხობა სკამზე და წყევლის იმ დღეს, როდესაც ბავშვის ბაგემ ტიტინით მამის სახელი ახსენა. მე ყველაფერი არ გამანდეს მაგრამ იმ მცირეოდენიდანაც, რაც მე გავიგე, შენც მცირე გატყობინებ. შენმა ძმამ, ვგონებ, ყოველგვარ გარყვნილებას და უსირცხვილობას გადააქარბა. ყოველ შემთხვევაში მე ბევრი რამ არ მსმენია, რაც მან ჩაიდინა. გუშინ შუალამისას ვალად აიღო 40000 დუკატი. ამაზე ადრე გააუპატიურა ადგილობრივი ბანკირის ქალიშვილი და მისი საქმრო კი—კარგი გვარისა და კეთილი ყმაწვილი—სასიკვდილოდ დასჭრა დუელში. თვითონ გაექცა სამართალს და თან გაიყოლა შვიდი ამხანაგი, რომლებიც ჩათრეული ჰყავს გახრწნილ ცხოვრებაში“. მამაჩემო! ღვთის გულისათვის! მამაჩემო! რა გემართებათ?

მოხუცი მოორ. კმარა! კმარა! შვილო ჩემო! -

ფრანც. მე თქვენ გზოგავთ... „მათ მღევარი დაადევნეს, შეუ-  
რაცხყოფილნი თავგამოდებით ყვირიან და მოითხოვენ და-  
კმაყოფილებას. მისი თავი შეფასებულა... სახელი. მო-  
ორების...“ არა, ჩემო საბრალო ენავ, მამისმკვლელი ნუ  
გახდები! (ხევა წერილს). ნუ დაუჯერებთ, ერთ სიტყვასაც  
ნუ ერწმუნებით.

მოხუცი მოორ (მწარედ ატირებული). ჩემო გვარო, ჩემო პატიო-  
სანო სახელო!

ფრანც (მამას ეხვევა). ურცხვო, ათასჯერ ურცხვო კარლ! განა  
მე წინასწარ არ ვგრძნობდი ამას, როცა ის ჯერ კიდევ  
პირზე რძემეუშრობელ გოგოებს დასდევდა ქუჩის ბიჭბუ-  
ჭებთან და ათასგვარ ნაძირალებთან ერთად! ის ეკლესიას  
გაუბრბოდა, როგორც ავაზაკი გაუბრბის ციხეს და შენგან  
გამოთხოვნილ გროშებს აბნევდა უთავბოლოდ! ხოლო ჩვენ  
ამ დროს სახლში სასოებით ვლოცულობდით და წმინდა-  
ნებას ქადაგებას ვისმენდით. განა მე ამას წინასწარ არ  
ვგრძნობდი, როცა ის იულიუს კეისარის, ალექსანდრე  
მაკედონელისა და სხვა გზადაბნეული წარმართების თავგადა-  
სავალს სიამოვნებით კითხულობდა, ხოლო ტოვიტის ცოდ-  
ვათა მონანების წიგნს კი უგულვებელს ჰკოფდა? ასჯერაც  
მიწინასწარმეტყველებია თქვენთვის, რადგან მე ის მიყვარ-  
და როგორც ღვიძლი ძმა, რომ ის თქვენ შეგარცხვენდათ,  
თავსლაფს დაგასხამდათ და უბედურებაში ჩაგადგებდათ.  
ო, ნეტავ არ ატარებდეს ის მოორის გვარს! ო, ნეტავ კი  
ამ გულს არ უყვარდეს ის ასე უსაზღვროდ! დანაშაულებ-  
რივია ეს ჩემი სიყვარული მისდამი და, ალბათ, ღმერთის  
წინაშე ოდესმე პასუხსაც ვაგებ.

მოხუცი მოორ. ო, ჩემო იმედებო! ჩემო ოქროს იმედებო!

ფრანც. თქვენ კი ამბობდით: „ის მგზნებარე სული, რომელიც მას თან დაჰყოლია და ხდის მგრძნობიერს ყოველგვარი სილამაზისა და დიდებულისადმი, მისი პირდაპირობა, რაც მის თვალეში გამოკრთის, მისი გრძნობის სინაზე, რაც მას აღუძრავდა თანაგრძნობას დაჩაგრულისადმი, მისი ვაჟ-კაცური გამბედაობა, რის გამო არ უშინდებოდა არც ასწლოვან მუხის მწვერვალს და არც კლდე-ღრეს, ბოლოს ყველაფერი ეს მას აქცევს შესანიშნავ მოქალაქედ, დიდებულ ადამიანად“... აი, ესეც თქვენი დიდებული ადამიანი! ახლა თქვენ ხედავთ, მამაჩემო, მგზნებარე სული გაიზარდა და მოიტანა სამარცხვინო ნაყოფი. ნახეთ, ის პირდაპირობა რა უტიფრობად გადაიქცა! ნახეთ, ეს გრძნობის სინაზე და გულჩვილობა როგორ ეარშიყება როსკიბ ქალებს!

მამაჩემო, გვარი გამოიცვალეთ, იზრუნეთ სხვა სახელზე, თორემ მასხარა ბიკბუჭების და მეწვრილმანეების თითით საჩვენებელი შეიქნებით, როცა შენი შვილის, ბიჭონი კარლის სურათს, ლაიპციგის ბაზარზე გამოჰქვიდებენ.

მოსუცი მომარ. ნუთუ შენც, ჩემო ფრანც, ნუთუ შენც? ო, ჩემო შვილებო! რარიგ მარჯვედ უმიზნებთ ჩემს გულს!

ფრანც. ხედავთ, მეც შემძლებია მახვილგონიერება. მაგრამ ჩემი სიმახვილე მორიელის ნესტარს წააგავს. ამასთანავე ეს მშრალი, უხეში, გულცივი და გაუთლელი ფრანცი,— რა სახელებით არ მნათლავდით, როცა ის კალთაში გეჯდათ და უალერსებდით, რათა ჩემსა და მის შორის ხაზი გაგველოთ და ის აგემაღლებინათ,—ეს ფრანცი მოკვდება აქ და დაივიწყებენ, ხოლო მისი სახელი კი ქვეყანას მოეფინება! ხა! ხა! ღმერთო, გმადლობ, რომ მას არ ვგავარ.

ფრანც. მე თქვენ გზოგავთ... „მათ მღევარი დაადვენეს, შეუ-  
რაცხოფილნი თავგამოდებით ყვირიან და მოითხოვენ და-  
კმაყოფილებას. მისი თავი შეფასებულა... სახელი მო-  
ორების...“ არა, ჩემო საბრალო ენავ, მამისმკვლელი ნუ  
გახდები! (ხვეს წერილს). ნუ დაუჯერებთ, ერთ სიტყვასაც  
ნუ ერწმუნებით.

მოხუცი მოორ (მწარედ ატირებული). ჩემო გვარო, ჩემო პატიო-  
სანო სახელო!

ფრანც (მამას ეხვევა). ურცხვო, ათასჯერ ურცხვო კარლ! განა  
მე წინასწარ არ ვგრძნობდი ამას, როცა ის ჯერ კიდევ  
პირზე რძეშეუშრობელ გოგოებს დასდევდა ქუჩის ბიჭბუ-  
ჭებთან და ათასგვარ ნაძირალებთან ერთად! ის ეკლესიას  
გაუბრდა, როგორც ავაზაკი გაუბრის ციხეს და შენგან  
გამოთხოვნილ გროშებს აბნევდა უთავბოლოდ! ხოლო ჩვენ  
ამ დროს სახლში სასოებით ვლოცულობდით და წმინდა-  
ნების ქადაგებას ვისმენდით. განა მე ამას წინასწარ არ  
ვგრძნობდი, როცა ის იულიუს კეისარის, ალექსანდრე  
მაკედონელის და სხვა გზადაბნეული წარმართების თავგადა-  
სავალს სიამოვნებით კითხულობდა, ხოლო ტოვიტის ცოდ-  
ვათა მონაწილის წიგნს კი უგულბებელს ჰკოფდა? ასჯერაც  
მიწინასწარმეტყველებია თქვენთვის, რადგან მე ის მიყვარ-  
და როგორც დიდი ძმა, რომ ის თქვენ შეგარცხვენდათ,  
თავსლათს დაგასხამდათ და უბედურებაში ჩაგაგდებდათ.  
ო, ნეტავ არ ატარებდეს ის მოორის გვარს! ო, ნეტავ კი  
ამ გულს არ უყვარდეს ის ასე უსაზღვროდ! დანაშაულებ-  
რივია ეს ჩემი სიყვარული მისდამი და, ალბათ, ღმერთის  
წინაშე ოდესმე პასუხსაც ვაგებ.

მოხუცი მოორ. ო, ჩემო იმედებო! ჩემო ოქროს იმედებო!

ფრანც. თქვენ კი ამბობდით: „ის მგზნებარე სული, რომელიც მას თან დაჰყოლია და ხდის მგრძნობიერს ყოველგვარი სილამაზისა და დიდებულისადმი, მისი პირდაპირობა, რაც მის თვალეში გამოკრთის, მისი გრძნობის სინაზე, რაც მას აღუძრავდა თანაგრძნობას დაჩაგრულისადმი, მისი ვაჟ-კაცური გამბედაობა, რის გამო არ უშინდებოდა არც ასწლოვან მუხის მწვერვალს და არც კლდე-ღრესს, ბოლოს ყველაფერი ეს მას აქცევს შესანიშნავ მოქალაქედ, დიდებულ ადამიანად“... აი, ესეც თქვენი დიდებული ადამიანი! ახლა თქვენ ხედავთ, მამაჩემო, მგზნებარე სული გაიზარდა და მოიტანა სამარცხვინო ნაყოფი. ნახეთ, ის პირდაპირობა რა უტიფრობად გადაიქცა! ნახეთ, ის გრძნობის სინაზე და გულჩვილობა როგორ ეარშიყება როსკიპ ქალებს!

მამაჩემო, გვარი გამოიცვალეთ, იზრუნეთ სხვა სახელზე, თორემ მასხარა ბიკბუქების და მეწვრილმანეების თითით საჩვენებელი შეიქნებით, როცა შენი შვილის, ბატონი კარლის სურათს, ლაიპციგის ბაზარზე გამოჰკიდებენ.

შოხუცი შოორ. ნუთუ შენც, ჩემო ფრანც, ნუთუ შენც? ო, ჩემო შვილებო! რარიგ მარჯვედ უმიზნებთ ჩემს გულს!

ფრანც. ხედავთ, მეც შემძლება მახვილგონიერება. მაგრამ ჩემი სიმახვილე მორიელის ნესტარს წააგავს. ამასთანავე ეს მშრალი, უხეში, გულცივი და გაუთლელი ფრანცი,— რა სახელებით არ მნათლავდით, როცა ის კალთაში გეჯდათ და უალერსებდით, რათა ჩემსა და მის შორის ხაზი გაგველოთ და ის აგემალლებინათ,—ეს ფრანცი მოკვდება აქ და დაივიწყებენ, ხოლო მისი სახელი კი ქვეყანას მოეფინება! ხა! ხა! ღმერთო, გმადლობ, რომ მას არ ვგავარ.

მაშ, ერთი მიბრძანეთ, თქვენ რომ იმ შვილს თქვენს სახელს არ უწოდებდეთ, განა არ იქნებოდით ბედნიერი ადამიანი?

**მოხუცი მოორ.** ო, გაჩუმდი! როდესაც დედამ პირველად ხელში გადმომცა, მე ავწიე და დავიძახე: უბედნიერესი მამა ვარ-სეთქი ქვეყანაზე!

**ფრანც.** ასე თქვით მაშინ, მაგრამ დღეს? თქვენ უბედური ხართ; სანამ ის თქვენი შვილია, თქვენი მწუხარება გაიზრდება მის გაზრდასთან ერთად. ეგ მწუხარება თქვენ დაგლუპავთ.

**მოხუცი მოორ.** ო, დღეს მან სამარის პირად მიმიყვანა.

**ფრანც.** აი, ხომ ხედავთ! და რომ ის შვილი თქვენ უარყოთ?

**მოხუცი მოორ.** ფრანც! ფრანც! რას ამბობ, ფრანც? (აღუღე-ბული წამოღება).

**ფრანც.** განა ეგ ის სიყვარული არ არის მისდამი, რამაც თქვენ მწუხარებაში ჩაგაგდოთ? ნულარ გეყვარებათ დღეის შემდეგ და იგი აღარც თქვენი შვილი იქნება. არა სისხლი და ხორცი, არამედ გული გვანათესავებს. თუ თქვენ იგი აღარ გეყვარებათ, მაშინ ეს გადაგვარებული აღარ იქნება თქვენი შვილი, თუნდაც რომ თქვენი ხორციდან იყოს ამო-ჩარხული. იგი თქვენთვის თვალსაჩინო იყო დღემდე, დღეს კი—უკეთუ თვალი შენი გიპირებს წარწყმენდას, გვასწავლის საღვთო რჯული, ამოიგლიჯე იგი; ჭუმჯობესია ცალთვალი შეხვიდე სამოთხეში, ვიდრე ორივე თვალით შთახვიდე ჯოჯოხეთად. უმჯობესია იყო უშვილო და ისე წარსდგე ღვთის წინაშე, ვიდრე მამაც და შვილიც ჩაცვივდეთ ჯოჯოხეთში. ასე გვასწავლის საღვთო რჯული.

**მოხუცი მოორ.** შენ გინდა შვილი დავწყევლო?

**ფრანც.** არა! არა-მეთქი! აბა ვინ გირჩევს დასწყევლო იგი? ვინ არის თქვენი შვილი? ვისაც სიცოცხლე მიანიქეთ, ხოლო ის კი ყოველნაირად ცდილობს საკუთარ თქვენსას ბოლო მოუღოს?

**მოხუცი მოორ.** ო, ეგ კი მართალია! ჩემ დასასჯელად იგი განგებამ მომივლინა. დიახ, ჩემ დასასჯელად!

**ფრანც.** ხედავთ, რა შვილობრივი გრძნობით გეპყრობათ თქვენი სათაყვანებელი! თქვენ მკლავთ იმის გამო, რომ თქვენ იგი გიყვართ, იგი თქვენს ყელს ხელებით ჩასქიდებია და გახრჩობთ იმის გამო, რომ თქვენ მას მოწყალე თვალთ უცქერთ. მან თქვენი გული მოინადირა, რათა საიქიოს გაგისტუმროს. როცა თქვენ აღარ იქნებით, იგი შეიქნება თქვენი ქონების პატრონი და იქნება თავისი სურვილების ბატონი. ზღუდეს ჩამოიშორებს და მისი ვნებანი ინავარდებენ თავისუფლად. წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ინატრებდა მამის სიკვდილს, თავისი ძმის სიკვდილს, რომ ის თავისუფალი ყოფილიყო. და განა ეს სიყვარულისთვის სიყვარულია? განა ეს მადლობის გადახდაა მამობრივი მზრუნველობისათვის? როცა ის ერთი წუთის სიამოვნების გულისათვის სიცოცხლეს უწამლავს თავის მშობელს, როცა ის არაფრად აგდებს წინაპრების სახელს და პატიოსნებას, შვიდი საუკუნის მანძილზე შეუბღალავს? თუ იგი თავისი წინაპრების შვიდი საუკუნის შეუბღალავ დიდებას ჰკმობს და ივიწყებს წამიერი სიამოვნებისათვის, ნუთუ თქვენ მას შვილს უწოდებთ? მიპასუხეთ, მას თქვენ შვილს უწოდებთ?

**მოხუცი მოორ.** უმადურია, მაგრამ მაინც შვილია ჩემი! მაინც შვილია!

ჟრანც. ჰო, მაინც შეილია! ყოვლად საყვარელი, ძვირფასი შეილი! რომლის მარადი ზრუნვა მამის სიკვდილია! ო, რომ შეგეძლოთ ამის გაგება! რომ ჩამოიცილიდეთ ბინდს თვალებიდან! თქვენი ლმობიერება მას ღუპავს და აკანონებს მის გარყენილებას. მამაჩემო, მისი ხვედრი წყევლა თქვენ გადაგხდებათ!

მოხუცი მომრ. სწორია! სრული სიმართლე! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, ჩემი ბრალია!

ჟრანც. რამდენი ათასი კაცი ყოფილა, რომ ცთუნების და სიტკბოების ტრფიალით თრობილა, მაგრამ შემდეგ ტანჯვას გამოუსწორებია. იფიქრეთ, მამაჩემო, იქნებ სჯობდეს რამდენიმე ხანს დატოვოთ იგი უარყოფილი თავისი მწუხარების ამარა. ის ტანჯვაში ან უნდა გამოსწორდეს და სიმართლის გზას დაადგეს, ან დარჩეს გათახსირებულად და მაშინ, ვაი მას, ვინც თავისი გულჩვილობით სპობს უმაღლესი სიბრძნის გამოყენებას! ასე არ არის, მამაჩემო?

მოხუცი მომრ. მივწერ, რომ ხელი ამიღია.

ჟრანც. სამართლიანად და გონიერულადაც მოიქცევით.

მოხუცი მომრ. რომ თვალითაც აღარ დამენახოს.

ჟრანც. ერთადერთი მისი საშველი ეგ იქნება.

მოხუცა მომრ. ვიდრე არ გამოსწორდება!

ჟრანც. რასაკვირველია! რასაკვირველია! მაგრამ რომ დაგიბრუნდეს ნილაბჩამოფარებული, თავი შეგაბრალოს, მოგიალერსოს და პატიება გამოგთხოვოს, ხოლო მეორე დღეს თქვენი ლმობიერება და ხასიათის სისუსტე მასხარად აიგდოს თავის როსკიპებში? არა, მამაჩემო! ის თვით დაბრუნდება, როცა გონს მოვა და სინდისი აიძულებს.

მოხუცი მომრ. მაშ ახლავ მივწერ.

**ფრანც.** მოითმინეთ: კიდევ ერთი სიტყვა, მამაჩემო! მეშინია, თქვენმა წყრომამ კალამს მეტად მკაცრი სიტყვა არ დააწერინოს, რაიც მის გულს ბოღმით აავსებს... გარდა ამისა... განა პატიებად არ მიიღებს, თუკი საკუთარი ხელით დაწერილი წერილის ღირსად გახდით? იქნებ უკეთესი იყოს, ეგ მე მომანდოთ?

**მოხუცი მოღრ.** კარგი! მისწერე, შეილო, მისწერე! მართლაც გული დამეტანჯება. შენ მისწერე!

**ფრ.** მაშ თანახმა ხართ?

**მოხ.** მოღრ. მისწერე, რომ სისხლის ცრემლები... ათასი უძილო ღამე... მაგრამ ჩემი შეილი სასოწარკვეთაში არ ჩააგდო. მისწერე, რომ მამის გული... გეუბნები, ჩემი შეილი სასოწარკვეთაში არ ჩააგდო! (დამწუსრებული გაღის).

**ფრანც** (დაცინვით თვალს გააყოლებს). ინუგეშე. მოხუცო! შენ იმას ვეღარ ჩაიკრავ გულში. აეკრიფო ეს ნაგლეჯები, რომ ჩემი ხელი არაფინ იცნოს (ნაგლეჯებს ჰკრეფს). მას გზა აქეთკენ ისე ჩაეხერგა, როგორც ზეცა ეღობება ჯოჯოხეთს. მე მართლაც ტუტუცი უნდა ვყოფილიყავ, რომ არ შემძლებოდა მისი მოგლეჯა მამის გულიდან, თუნდაც გადაჯაჭვულნიც ყოფილიყვნენ. ისეთი ჯადო-წრე შემოგაგლე, რომ მას ვერც გადააბიჯებ. თამამად, ფრანც! სიყრმის შეილი მოცილებულია, გზა გაწმენდილი მსურს ჩემს გარშემო ყველაფერი ფესვებიანად ამოვგლიჯო, რაც კი დიდებისაკენ გზას მილობავს. მაშ თამამად, ფრანც, თამამად! მწუხარება მოხუცსაც მალე მოიდნობს. მე მისი გულიდან ამოვგლეჯ კარლს, თუნდაც სიცოცხლე თან ამოჰყვეს! მაქვს უფლება დაურღვეველი, რომ ბუნებას ვუთხრა სამღურავი: რატომ პირველი მე არ გამოვძვერ დედის

საშოდან? რატომ მე არ ვარ პირმშო შვილი და ერთად-  
ერთი? რატომ ამკიდა ტვირთი სიმახინჯისა, თითქოს ბუ-  
ნება ჩემი დაბადების ჟამს გაკოტრებულიყოს. რატომ მე  
მარგუნა სახელდობრ ეს ლაპლანდიური ცხვირი? რატომ  
მე, უთუოდ მე, ეს ზანგის ტუჩები! ან ეს თვალები ჰოტენტო-  
ტისა?... თითქოს ადამიანთა მოდგმას, რაც კი სიმახინჯე  
გააჩნია, ერთად დაუგროვებია ჩემს წარმოსაშობად! წყევ-  
ლა და კრულვა მას! ვინ აღჭურვა იგი იმ უფლებით, რომ  
სხვას უბოძოს და მე წამართვას? განა მას ვინმე ~~წარ-~~  
ფერა, ვიდრე იგი ქვეყნად წარმოიშეებოდა, ან ~~განმე-~~  
შეურაცხყო, ვიდრე ის არსებად იქცეოდა? რატომ მო-  
ქმედებდა ასე მიკერძოებით?

— არა! არა! მე უმართებულო ვარ ბუნების მიმართ. მან ჩვენ  
დაგვაჯილდოვა საზრიანობით და გამოგონებლობით, როცა  
გადმოგვყარა საქვეყნო ზღვის კიდეზე საბრალონი და შიშ-  
ველ-ტიტველნი! გასცურე, ვისაც შეუძლია ცურაობა. ხო-  
ლო ვინც მარჯვე არ არის, ჩაიძირე და დაიღუპე! იძუწა  
ჩემთვის ბუნებამ და ახლა რას უნდა მივალწიო — ჩემზეა  
დამოკიდებული ~~თვითთვის~~ თანაბარი უფლება აქვს დიდსა  
და მცირეზე. სურვილს ანადგურებს სურვილი, მისწრაფე-  
ბას — მისწრაფება, ძალას — ძალა! უფლება გამარჯვებუ-  
ლის ხვედრია და ძლიერება ერთადერთი კანონია ჩვენთვის.

ეს მართალია, რომ არსებობს საყოველთაოდ ცნობილი  
საზოგადოებრივი პირობები, რასაც მოძრაობაში მოჰყავს  
ქვეყნის მაჯისცემა! პატიოსანი სახელი! ქეშმარიტად, ეს  
ის ფულია, რომლითაც შეგიძლია იჩარჩო და მოგება ნახო,  
თუ ხარჯვის ცოდნა შეგწევს. სინდისი — ო, რასაკვირვე-  
ლია, შესანიშნავი საფრთხობელაა, რათა ალუბლის ხეზე

ჩიტები შეაშინო. ესეც მოხერხებულად დაწერილი თამა-  
სუქია, რითაც გაპირვების დროს გაკოტრებულს შეუძ-  
ლია ფეხზე წამოდგეს.

მართლაც რომ ყოველივე ეს ფრიად ჩინებულად არის  
დაწესებული: ტუტუცები პატივს გცემდნენ, ხოლო მდაბიო  
ხალხი ფეხქვეშ გართხმული გყავდეს და ჭკვიან ხალხს ამის  
გამო კეთილად ეცხოვრებოდეს. ხუმრობის გარეშე, ფრიად  
ჩინებულად გახლავთ დაწესებული. ესენი მე წარმომიდგე-  
ნია ერთგვარ ღობედ, რითაც ჩემი გლეხები მოხერხებუ-  
ლად შემორკალავენ ხოლმე თავიანთ მიწებებს, რომ შიგ  
კურდღელი არ გადაძვრეს, ხოლო მებატონე დებს ჰკრავს  
ხოლმე თავის ცხენს და მიქრის, სადაც სამკალი უნდა  
მოსულიყო.

საწყალი კურდღელი! ამქვეყნად კურდღლად ყოფნა  
საცოდაობაა. მაგრამ ბატონს სჭირდება კურდღლები.

ამრიგად, თამამად გადავაბიჯოთ ყველაფერ ამას! ვისაც  
არაფრისა ეშინია, იგი იმაზე ნაკლებ ძლიერი არ გახლავთ,  
ვისიც ყველას ეშინია. ახლა ისეთი აბზინდიანი ქამარი უნდა  
ატარო, რომ საჭიროების მიხედვით კიდევ შეაფიწროვო  
და კიდევ გააფართოვო. ახალ ყაიდაზე უნდა წარვმართო  
ჩემი სინდისი, რათა შემეძლოს თავისუფლად მისი მოარ-  
შიება, უკეთუ დავსქელდი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არა-  
ფერ შუაში ვართ. ბრალი დასდეთ დერციკებს. მე იმ-  
დენი ყბედობა მომისმენია ნათესაური სისხლის შესახებ,  
რომ პატიოსანი კაცი შეირყეოდა! ეს შენი ძმა არისო!  
რომ ვთარგმნო, ეს ნიშნავს: ისიც იმ ბუხრიდან გამოძვრა,  
საიდანაც შენ, ამიტომ უნდა იყოს წმინდა სათაყვანებე-  
ლიო. კარგად დაუკვირდით ამ მოჩმახულ სილოგიზმს!

სასაცილოა დასკვნა: სხეულთა სიახლოვე სულის ჰარმონიულობააო, სამშობლოს საზიარობა გრძნობათა იგივეობაო, ერთნაირი საზრდოსგან ერთნაირი მიდრეკილებაო. შემდეგიც მოვისმინოთ: ეს არის მამაშენი! მან მოგცა სიცოცხლე, ხორცი და სისხლი. ამიტომ იგი უნდა იყოს შენთვის წმინდა არსება? აი ეშმაკური დასკვნა! მე მინდა შეგეკითხო: მან მე რად შემქმნა? იმიტომ არა, რომ მას მე ვუყვარდი, მაშინ ჩემი „მე“ ჩანასახში არ იყო. განა მე მიცნობდა იგი, ვიდრე მე გამაჩენდა? განა ჩემზე ფიქრობდა, როცა ჩემს ჩასახვას აპირებდა? განა მას მე უნდოდი? განა მან იცოდა, თუ რა გამოვიდოდა ჩემგან? არც ვისურვებდი მას ეს სცოდნოდა, თორემ მე მას დავსჯიდი იმის გამო, რომ მან მე წარმომშობა. განა შემიძლია მე მას მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ მე მამაკაცი ვარ? ისევე ნაკლებად, რომ მე დამნაშავედ მეცნო, უკეთუ დედაკაცად დავბადებულყავ. განა შემიძლია პატივი ვცე იმ სიყვარულს, რომელიც არ ემყარებოდა ჩემი „მეს“ პატივისცემას? ან განა შეიძლება ყოფილიყო ჩემი „მესადმი“ პატივისცემა, როცა იგი ჯერ კიდევ არ იყო მოვლინებული? მაშ სად არის აქ წმინდანობა? ნუთუ იმ ქმედობაში, რის მიზეზითაც მე წარმოვიშვი? თითქოს არ იყოს ამაში მეტი პირუტყვობა, ვიდრე სიწმინდე. ეს იყო პირუტყვის ჟინის დაკმაყოფილება. ნუთუ ეს ჟინი არის წმინდანობა, რის მეოხებითაც მე გააჩნდი? განა მე მას მადლობა უნდა ვუთხრა, რაკი მას ვუყვარვარ? ეს არის მისი პატივმოყვარობა, თანდაყოლილი ცოდვა ყოველი მხატვრისა, რომელსაც უყვარს თავისი ნაწარმოები, რაოდენ იგი საზიზღარიც არ უნდა იყოს. ამრიგად, უცქირეთ, რა ყოფილა თქვენი ურ-

თულებსი მექანიკა, რაც თქვენ წმინდანობის ბურუსით შე-  
ნიღბეთ, რათა ჩვენი სიმხდალე ბოროტად გამოიყენოთ.

ნუთუ მე ნებას მივცემ, რომ ამგვარი ამბებით, როგორც  
ბავშვს, თავბრუ დამახვიონ?

არაოდეს! თამამად, ფრანც! ყველაფერს მოვსპობ, რაც  
კი გზას გადამიღობავს, რაც კი ხელს შემიშლის გაეზღვე  
ბატონი! მე უნდა ვიქმნე ბატონი, რათა ძალით მოვიპოვო  
ის, რომლის მოსაპოვებლადაც არ გამაჩნია მიმზიდველობა!

სურათი მეორე

ხარდაფი ხაქსონიის საზღვარზე


კარლ ფან შოორ გართულია წიგნის კითხვაში. შპიგელბერგი სვამს.

კარლ (წიგნს გადასდებს). ოო, რაოდენ დაკნინებულად მეჩვენება  
ეს მელანზე დამყარებული საუკუნე, როცა პლუტარქესთანა  
ღიად აღამიანებს ვეცნობი.

შპიგელბერგ. იოსებ ფლავიოსის წიგნიც წაიკითხე!

კარლ. პრომეთეს მკვნიბარე ნაპერწკალი ჩამქრალა და დამპალ  
ფუტუროში ეძებენ ალს, იმ მოჩვენებით ცეცხლს, რომლით  
ჩიბუხსაც კი ვერ მოუკიდებ და, აი, ესენი ვირთხებივით  
აცოცებულან ჰერკულესის ტორებზე და გამხმარ კენჩხაში  
ტვინს აწვალევენ. ფრანგთა აბატი ქადაგებს—აღექსანდრე  
მაკედონელი კურდღელივით ფრთხალი იყოო. ქლექიანი  
პროფესორი, რომელიც ყოველი სიტყვის თქმნიბნადადუ-  
რით გულს იბრუნებს, ძალ-ღონეზე ლექციებს კითხულობს.  
ხოლო უქნარები, რომელთაც უბრალოდ ფუტუნიც კი აფრ-  
თხობთ, ჰანიბალის სამხედრო ხელოვნებას ჰგმობენ. ფუ,

2. ფ. შილერი



დაკოდილთა დაცემულ საუკუნეს, რომელსაც აღარაფერი  
ძალუძს, გარდა იმისა, რომ ცოხნოს წარსულ დროე-  
ბათა გამარჯვებანი, კუნთებში ძალა ამოიწურა და მოდ-  
გმის წარმოშობას ლუღის სადღეღე ეხმარება.

**შპიგელბერგ** (სვამს). ჩაი, მეგობარო, ჩაი!

**კარლ.** და აი, ისინი უგუნური საშუალებით ჯანსაღ ბუ-  
ნებას იმახინჯებენ, მათ გულს ერთი კიქის გამოცლაც ვე-  
ლარ აუტანია, რადგან იციან ჯანმრთელობას თან ჩააყო-  
ლებენ. ბატონის მოახლეებს ელაქუცებიან; ეგებ მათი  
ბრწყინვალეების წინაშე ისინი კეთილად ახსენონ, უმწეოს  
კი ფებს აქერენ. სადუქეველს სწყევლიან, რომ ეკლესიაში  
იშვიათად დაიარება და თვითონ კი საკუთრთხეველთან  
ნაძარცვს იყოფენ. გულს იღონებენ ქათმის დაკვლაზე და  
ზეიმობენ, როცა მათი მეტოქე გაკოტრებული გარბის  
ბირჟიდან. არა! ამაზე ფიქრი აღარ შემიძლია! არ შემიძლია  
არტახებით შევბოქო ჩემი სხეული, კანონებით შევხუთო  
ჩემი ნებისყოფა. კანონმა ლოკოკინებად გადააქცია ყველა,  
ვისაც არწივივით ნავარდი შეეძლო. კანონს ჯერ არც  
ერთი თვალსაჩინო ადამიანი არ შეუქმნია, თავისუფლება  
კი სულ დიადებს და ბუმბერაზებს ქმნის. აბა, იმისთანა  
ვაჟკაცების ჯარი მომეცით, როგორც მე ვარ და გერმა-  
ნიას ისეთ რესპუბლიკად გადავაქცევდი, რომ მასთან  
შედარებით რომი და სპარტა დედათა მონასტრებად  
გეჩვენებოდათ (სმალს მაგილაზე დააგღებს და წამოღება).)

**შპიგელბერგ.** ვაშა, ვაშა! შაბაშ შენს სიტყვას! შენ მაგით იმ  
აზრს დამაჯახე, რაც მე დიდი ხანია თავში მიტრიალებს.  
აბა დალიე, მეგობარო, დალიე! გამიგონეთ, რა იქნება, რომ  
ჩვენ ებრაელებად გადავიქცეთ და აღვიძრათ საკითხი ურიას-

ტანის დასაარსებლად? ეს ხომ მოხერხებული და ხელსაყრელი გეგმა არის? მოვეფნებ მანიფესტებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში და ყველას ურიასტანში დავამკვიდრებთ, ვინც კი ღორის ხორცს ვერ ეწყობა. იქ ნამდვილი საბუთებით დავამტკიცებ, რომ ტეტრარქი იროდი ჩემი წინაპარი იყო... ნახეთ ზეიმი, ხელახლა რომ იერუსალიმის აშენებას მოინდომებენ!

კარლ. კმარა, მეგობარო, გვეყოფა ამდენი სისულელე...

შპიგელბერგ. მაშ ცთომილი შვილის როლს ხომ ვერ ვითამაშებთ და ისიც შენ, ასეთი ვაჟკაცი, რომელმაც ადამიანთა სახეებზე ხმლით უფრო მეტი დასწერე, ვიდრე ნაკიან წელიწადს სამმა მღივანმა დასწერა ბრძანებათა წიგნში. გინდათ მოგაგონოთ კარლოსის ძაღლის დიდებული დამარხვა? ხა, ხა! გახსოვს, ვიღაც ბატონებმა შენი ძაღლი დასქრეს. შინ კი სამაგიეროს გადასახდელად მთელს ქალაქს მარხულობა უბრძანე. შენს განკარგულებას ყველა სასაცილოდ იგდებდა, მაგრამ შენც მარჯვედ მოიქეც, მთელი ლაიპციგის ხორცი ერთიანად შეისყიდე და ამრიგად რვა საათის განმავლობაში გამოხრული ძვლიც კი აღარსად მოიპოვებოდა და თევზის ფასმაც აიწია. ქალაქის მაგისტრატის ბატონები შურის საძიებლად ემზადებოდნენ. ჩვენ, სტუდენტები, ფეხზე ვიდექით, ვიყავით ათას შვიდასამდე. შენ იყავ ჩვენი მეთაური. ყასბებმა, დერციკებმა, დამტარებლებმა და ყველა საამქროებმა მტკიცედ შეეფიცეთ: ქალაქი მტვრად გვექცია, თუ ვისმეს ხელს შეახებდნენ. ბოლოს ვიწვევთ ექიმებს, მთელს კონსილიუმს და სამ დუკატს აღვუთქვამთ, ვინც ძაღლისათვის რეცეპტს გამოსწერდა. ბატონი ექიმები კი სამი დუკატის გულისთვის ერთმანეთს ეცილებიან. ერთი

მეორეს დაესივნენ და ხელფასი სამ ბაცენამდე დასცეს. ერთ საათში თორმეტი რეცეპტი დაიწერა, მაგრამ საბრალო პირუტყვმა მაინც ფეხები გაქიმა.

კარლ. საზიზღრები!

შპიგელბერგ. ძაღლის დაკრძალვა ხომ შესაფერი ზემით მოხდა. ათას კაცს ცალ ხელში ჩირადდანი გვეჭირა, მეორეში დაშნა. შუალამისას ჟრიაბულით და ზარების წკარუნით ძაღლი ქალაქგარეთ მივასვენეთ და იქ ჩავვალით. შემდეგ გავმართეთ ქელები, რომელიც გათენებამდე გაგრძელდა. შემდეგ შენ მადლობა გადაუხადე თანამგრძობლებს და უბრძანე შესყიდული ხორცი ნახევარ ფასად გაეყიდათ. *Mort de ma vie!* მერე ისეთი პატივისცემით მოგვეპყრნენ, როგორც მეციხოვნეებს დაპყრობილ ციხეში.

კარლ მოორ. არ გრცხვებია, რომ დღესაც მაგ ამბით თავი მოგაქვს?

შპიგელბერგ. ე, კარგი, თუ ძმა ხარ! მაშ შენ მოორ აღარ ყოფილხარ. გახსოვს, შექეიფიანებულს რამდენჯერ კრიჟანგი მასხარად აგიგდია და გითქვამს: დააგროვოს ქონება, შემდეგ ჩვენ ამ ქონებით ყელს გავისველებთო. შენ ეს არ გახსოვს? ე, გახსოვს! აი შე უსირცხვილო, საბრალო. მკვებარავ!

კარლ მოორ. წყეულიმც იყავ, რომ ეგ გამახსენე! მეც ვიყო წყეული, რომ მაგას ვამბობდი! მაგრამ ეგ ხდებოდა ღვინის გავლენით და გულმა არ იცოდა ენა რას ლაუბობდა.

შპიგელბერგ (თავს აქნევს). არა! არა! მაგას ნუ ამბობ! შენთვის ეგ შეუფერებელია. მითხარ, მეგობარო, შენ რაღაც გაწუხებს. მაშ მე მომისმინე ჩემი ბავშვობის ამბავი. ჩვენი სახლის მახლობლად ერთი თხრილი იყო გაჭრილი, სივანით

ათიქმის რვა ფუტი. ბავშვები ერთმანეთს შევეჯიბრებოდით ხოლმე, მაგრამ გადახტომას მაინც ვერ ვახერხებდით. ვისკუპებდით და შიგ ტყაპანს მოვადენდით. სახლის გვერდით ჯაჭვით ძაღლი იყო დაბმული. მიყვარდა მისი გაღიზიანება. ერთხელ ქვა ვდარუხე. ძაღლმა ჯაჭვი გაწყვიტა და ჩემსკენ გამოექანა. მოგვურცხლე რაც ძალი და ღონე მქონდა. მომდევს გამწარებული ძაღლი. ჩემ წინ კი ღრმა თხრილია. საცაა დამეწევა და მეცემა. რა მექნა? ბევრი აღარ მიფიქრია, ვისკუპე და გადავხტი. ამ გადახტომას უნდა ვუმაღლოდე, თორემ ის ძაღლი სულ დამგლეჯდა.

კარლ. რა გინდა მაგით თქვა?

შპიგელბერგ. ის, რომ გაკირვებაში ძალა მატულობს! არ ვიცი შიში რა არის, როცა უკიდურესობაში ვვარდები. საფრთხესთან ერთად ვაჟკაცობა იზრდება. უბედურებაში ძაღლონე კაჟდება. ბედს, ალბათ, უნდა, რომ მე დიდი ადამიანი ვიყო, ამიტომ მუდამ გზას მილობავს!

კარლ (გაღიზიანებული). არ მესმის, რაში გვკირდება ვაჟკაცობა, ან რას უნდა მოვახმაროთ იგი!?

შპიგელბერგ. ერიპა!.. მაშ უნდა ჩაქრეს შენი ნიჭი? წახვიდე უკვალოდ! იქნებ გგონია, იმ შენი უმსგავსო ოინებით თავდება ადამიანთა გამომგონებლობა? ნება მოგვეც გავიდეთ ფართო ასპარეზზე. პარიზში! ლონდონში! იქ სილას გაგაწნავენ, უკეთუ ვინმე პატიოსან ადამიანად ჩათვალე. გულს უხარია, როცა ხელს ფართოდ გაშლი. თვალებს დააჭყეტ და გაოცდები! მოიცა! როგორ უნდა გაკეთდეს ყალბი ხელის მოწერა, როგორ უნდა ითამაშო ბანქო, როგორ უნდა გატეხო სახლი და გამოაცარიელო ზანდუქები, ამას ყველაფერს ისწავლი შპიგელბერგისაგან. ვინც

სცნობს საჭიროდ, რომ პატიოსანმა თითებმა იშიმშილოს,  
ის უნდა ჩამოკიდო სახრჩობელაზე.

**კარლ** (უკულისყუროდ). როგორ? .ნუთუ შენ ასე შორს წახველ  
და გადააქარბე?

**შპიგელბერგ**. მე ვგონებ, შენ უნდობლად მიცქერ. შენ მნახე,  
როცა მე თავს ავიშვებ, შენი ტვინი მაგ საბრალო ქალაში  
გადმოგიტრიალდება. (წამოღება, მსურვალედ) როგორ ნათ-  
ლად წარმოვიდგენ! დიდებული აზრი ჩამესახა! დიდებული  
გეგმები აღმოცენდნენ ჩემს ტვინში! აქამდე ვთვლემდი-  
(შუბლში ხელს ირტყამს) ბინდი მეფარა და ჩემი ძალა იყო  
შებოქილი, მუხრუქს უქერდა ჩემს გეგმებს! უკვე გამოვფ-  
ხიზლდი და ვგრძნობ, თუ ვინ ვარ მე და ვინც უნდა ვიყო!

**კარლ**. შენ ხარ ტუტუცი! ღვინო გიბრუის თავში.

**შპიგელბერგ** (უფრო გატაცებით). მეტყვიან: „შპიგელბერგ, სას-  
წაულთმოქმედი ხარ, შპიგელბერგ!“. „ვწუხვარ, რომ შენ  
არ ხარ გენერალი, — მეტყვის მეფე, — თორემ ავსტრიელს-  
კუდით ქვას ასროლიებდი“. „დიახ, — იტყოდნენ ექიმები, —  
სამწუხაროა, რომ მედიცინა არა გაქვს შესწავლილი, თო-  
რემ ჩიყვის წამალს აღმოაჩენდიო!“. „სამწუხაროა, რომ  
მეცნიერება არ გაქვს შესწავლილი, — ამოიოხრებდა ზოგი-  
ერთი, — თორემ ქვას ოქროდ აქცევდიო!“. შპიგელბერგზე  
ილაპარაკებენ. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, თქვენ-  
კი — მხდალებმა და მშიშრებმა, ქვემძრომებმა, იხონეთ,  
კუდი აქიციანეთ ტალახში! ამ დროს შპიგელბერგი ფრთებ-  
გაშლილი აფრინდება სამარადისო დადების მწვერვალზე.

**კარლ**. გისურვებ კეთილ მგზავრობას! ამაღლდი სამარცხვინო  
ბოძით დიდების გვირგვინამდე. ხოლო მე მშობლიურ  
ტყეთა ჩრდილში ჩემს ამალიასთან ველი წმინდა სიხა-

რულს. ამ ერთი კვირის წინათ მამაჩემს წერილი მიეწერე და ვთხოვდი პატიებას. ყველაფერს მოვახსენებდი გულახდილად. სადაც გულწრფელობაა, იქ შებრალებაც და დახმარებაც არის. გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, მორიცი! დღეს ჩვენ ერთმანეთს უკანასკნელადლა ვხედავთ. ფოსტა უკვე მოსულია. უთუოდ მამაჩემის პატიება უკვე ქალაქშია. (შემოდინ: შვაციერ, გრიმ, როლერ, შუფტერლე, რაცმან).

**გრიმ.** ნუთუ არ იცი, რომ გვითვალთვალევენ? როლერ. შეუძლიათ ყოველ წამს დაგვაპატიმრონ.

**კარლ.** ეგ არც გამიკვირდება! დეე მოხდეს მოსახდენი, შვარცი ხომ არ გინახავთ? ხომ არაფერი უთქვამს წერილის შესახებ?

**გრიმ.** დიდი ხანია გეძებს... ჰო, ამბობდა რაღაცას...

**კარლ.** სად არის? სად? (სურს სასწრაფოდ გავიდეს).

**გრიმ.** დარჩი! ის აქ გამოგვზავნეთ, რა გათრთოლებს?

**კარლ.** მე არა ვთრთოლავ, ან რა უნდა მათრთოლებდეს, მეგობარო! წარსულ კვირას მამაჩემს წერილით პატიება გამოვთხოვე. მისთვის მცირედიც არ დამიფარავს. მეგობრებო, ის წერილი ჩემთან ერთად თქვენც გაგახარებთ. უბედნიერესი ადამიანი ვარ მთელს დედამიწის ზურგზე (შემოდის შვარცი), და რატომ არ უნდა ვიყო სიხარულით აღსავსე?

**შვარცი.** ძმაო! ძმაო! წერილი, წერილი!

(შვარცი გაუწვდის წერილს რომელსაც კარლი სწრაფად ხსნის).

**კარლ,** რა დაგემართა, რა სასიკვდილო ფერი დაგედო?

**კარლ.** ჩემი ძმის ხელია!

**შვარცი.** ეს შპიგელბერგი რაღას ჩაღის?

გრიმ. ეტყობა ხელიდან მიდის, ან იქნება ბნელამაც მოუარა  
შუფტერლე, არა, ჭკუას ძალას ატანს და ლექსებს თხზავს.

რაცმან. შპიგელბერგ! ეი, შპიგელბერგ! (შპიგელბერგი კუთხეში  
ხელებს იქნევს, წაშოიძახებს: „La bourse ou la vie!“ და შვაი-  
ცერს ეცემა უელში. იგი მოიცილებს და კედელს მიანარცხებს. კარლი  
წერილს დააგდებს და გავარდება).

როლერ. მოორ, საით, მოორ?

გრიმ. რა დაემართა! ასე რამ გადარია?

შვაიცერ. უთუოდ კარგ ამბავს მიიღებდა.

როლერ. აბა ვნახოთ (წერილს კითხულობს). „უბედურო ძმაო“  
დასაწყისი სასიამოვნოა! „იძულებული ვარ მხოლოდ მოკ-  
ლელ შეგატყობინო, რომ შენი იმედი გაცრუებულია. მა-  
მაშენმა შემოგითვალა: წადი, სადაც შენს გარყვნილებას  
მიჰყავხარო. კიდევ დაუმატა: ნურც გექნება ნურავითარი  
იმედი, რომ პატიებას ოდესმე მაინც მიიღებ, თუ არ და-  
თანხმდები, რომ ჩაჯდე ციხე-კოშკის თაღების ქვეშ, ჯურდ-  
მულში, და იქ დაჰყო წყლისა და პურის ამარად იმ დრომ-  
დე, სანამ თმა შენი არწივის ბუმბულად არ გადაიქცევა  
და შენი ფრჩხილები ფრინველის კლანჭებადო. ეს მისი  
საკუთარი სიტყვებია. იგი მიბრძანებს წერილი დავათავო!  
მშვიდობით სამუდამოდ. მებრალები. ფრანც ფონ მოორ“.

შვარც. არ უნდა ლაპარაკი, შაქარივით ტკბილი ძმა ჰყოლია?  
სახელად ფრანცი რქმევია იმ კუდიანს.

შპიგელბერგ (უახლოვდება). მაშ პურზე და წყალზეა ლაპარაკი?  
ვის არ შეშურდება ასეთი ცხოვრება! ხომ გეუბნებოდით,  
დაბოლოს თქვენთვის თავისტეხა მე მომიხდება-მეთქი.

შვარც. რას ამბობს ეგ ცხვრის თავი? ვირმა ჩვენთვის რა თა-  
ვი უნდა იტეხოს.

**შპიგელბერგ.** მშიშარა კურდღლები, წელკავიანი ძაღლები ყოფილხართ, უკეთეს გული არ გერჩით დიდ საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

**როლერ.** კარგი, გეთანხმები! ვთქვათ შენ მართალი ხარ. იყოს ნება შენი, მაგრამ ეგ შენი თავისტება ჩვენ ამ წყეული მდგომარეობიდან გამოგვიყვანს?

**შპიგელბერგ** (ამაჟღ იცინის). უბედურო! მას სურს გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან! ხა! ხა! გამოგვიყვანთ ამ მდგომარეობიდან? შპიგელბერგი ქეციანი ძაღლი იქნება, რომ მართო მაგაზე ფიქრობდეს. გმირებად, თავადებად, ღმერთებად უნდა გაქციოთ!

**რაცმან.** მორიცი, ასე უცბად, ერთ დარტყმაზე თითქმის ეგ მეტიცი არის, მაგრამ ვაი, თუ ეგ შენი თავისტება ჩვენს თავებს მოითხოვდეს.

**შპიგელბერგ.** არა! თქვენგან საჭიროა მხოლოდ ვაჟკაცობა! მოსაზრებას თუ მოფიქრებას მე ვკისრულობ! ვაჟკაცობა, როლერ! სითამამე, გრიმ! შეუპოვრობა, რაცმან! გამბედაობა, შვაიცერ, გამბედაობა!

**შვარც.** გამბედაობა? თუ საქმეს მართო ეგ აბრკოლებს, იმდენი გამბედაობა შემწევს, ჯოჯოხეთი ფეხშიშველმა გავიარო.

**შუფტერლე.** და იქ სახრჩობელასთან ეშმაკს შეგებრძოლო რომელიმე წაწყმედილისთვის.

**შპიგელბერგ.** აი, ეგ მომწონს! თუ თქვენში არის მართლა ვაჟკაცობა, დაე ერთ-ერთი თქვენთაგანი წინ წამოდგეს და თქვას: რაღა დარჩენია მას დასაკარგი, როცა შეუძლია ყველაფერი მოიგოს.

**შვარც.** მართლაც-და, ძალიან ბევრს დაეკარგავდი, თუ ის უნდა დაეკარგო, რისი შეძენის განზრახვაც მაქვს გულში.

რაცმან. მე კი, დალახვროს ეშმაკმა, ბევრ რამეს შევიძენდი, თუ იმის შეძენას მოვიწადინებდი, რის დაკარგვაც აღარ შეიძლება.

შუფტერლე. მე რომ შემემთხვეს და ის დაევარგო, რაც ვალით შეძენილი ახლა ტანს მიფარავს, ხვალ დასაკარგი აღარათფერი მიქნებოდა.

შბიგელბერგ. მაშ ასე, თუ თქვენს ძარღვებში გერმანული სისხლი კიდევ ჩქეფს, წავიდეთ, ბოჭემიის ტყეში დავიდვით ბინა, იქ ყაჩაღების გუნდი შევადგინოთ და... რა თვალი დამაჭყიტეთ? უკვე გაქრა თქვენი ვაჟკაცობა?

როლერ. შენ, ცხადია, არ ხარ ის პირველი გაიძვერა, რომელსაც სახრჩობელა ავიწყდება, მაგრამ ჩვენ სხვა არჩევანი არ დაგვრჩენია!

შბიგელბერგ. არჩევანი? იქნებ თქვენ გინდათ თქვენი ვალების გამო ჩასხდეთ ციხეში და იქ ამოლპეთ მეორედ მოსვლამდე? ან იქნებ გინდათ ლუკმაპურის მოსაპოვებლად ეწამოთ ბარით და წერაქვით? ან იქნებ მათხოვრებად ჩამოიაროთ და მოწყალება ითხოვოთ? იქნებ ჯარში წასვლა ისურვოთ? ეგ დიდი საკითხია, ენდობიან თუ არა თქვენს სიფათებს. აი ყველაფერი ის, რაც შეგიძლიათ აირჩიოთ.

როლერ. შბიგელბერგი მუდამ არ ტყუის. მეც მქონდა ჩემი გეგმები, მაგრამ იგივე გამოდიოდა. ურიგო არ იქნებოდა, — ვფიქრობდი ჩემთვის, — შეგვეხანხლა რომელიმე კრებული ანუ აღმანახი, ან ამდაგვარი რამ, ან გვეწერა კარგ ფასად რეცენზიები, როგორც ახლა არის მიღებული.

შუფტერლე. დალახვროს ეშმაკმა! თქვენი აზრი ჩემსას ემთხვევა. რა იქნება, რომ შენ მოგვევლინო წმინდანად და ყოველდღე წარმოთქვა კჟუის სასწავლებელი ქადაგება?

**გრიმ.** კარგია. თუ ეგ არ მოხერხდება, გახდი ათეისტი. ჩვენ შეგვეძლო ოთხი თავი სახარებისა გაგვენიავებინა; ჩვენს წიგნს კოცონზე დასწვავდნენ ჯალათის ხელით, ხოლო დანარჩენ წიგნებს აწეულ ფასში დაიტაცებდნენ.

**რაცმან.** ან შეიძლება გაგველაშქრა ფრანგების წინააღმდეგ და აგვეკილა ისეთი რამ, რასაც ექიმები ვერცხლის წყლით არჩენენ.

**შვაიცერ.** მორიცი! შენ ან დიდი ადამიანი ხარ, ან ბრმა ლორი, რკოს რომ მიაღვა.

**როლერ.** შენ დიდებული ორატორი ხარ, შპიგელბერგ, როდესაც პატიოსანი კაცი გინდა ავაზაკად გადააქციო... მაგრამ, გამაგებინეთ, ეს მორიცი სად წავიდა?

**შპიგელბერგ.** პატიოსანიაო? იქნებ გგონია, მაშინ შენ ნაკლებ პატიოსანი იქნები, ვიდრე ახლა ხარ? ან როგორ გესმის „პატიოსნება?“ მდიდარ კრიჟანგებს რომ მესამედი ზრუნვა ჩამოაცილო, რაც მათ მოსვენებას და ძილს უქარგავს, მათი დამალული თანხა რომ წარმოებას მოახმარო, დაამყარო სიმდიდრის თანასწორობა, ერთი სიტყვით, შექმნა ქვეყნად ოქროს საუკუნე; ღმერთი გაანთავისუფლო მუქთახორებისაგან, რომ აღარ დაგვატეხოს ომი, ქირი, დავიდარაბა და ექიმები,—აი, ეს არის, ჩემის აზრით, პატიოსნება. ამრიგად ყოველი ლუკმის ჩაყლაპვაზე სიამოვნებით გაგახსენდეს, რომ ის ლუკმა შენმა გამპრიახობამ, შენმა ვაჟკაცობამ და დაულალავმა სიფხიზლემ მოგანიჭა... დიდთაგან და მცირეთაგან იყო პატივცემული...

**შვაიცერ.** ჩინებულია, შპიგელბერგ, ჩინებული! ეშმაკმა წაგილოთ, რას გაშტერებულხართ? რაღას უცდით?

**შვარც.** დიახ, ძმაო მორიცი, შენი გეგმა გამოდგება. ჩემს კატეხიზმოშიაც ასე მაქვს აღბეჭდილი.

შუფტერლე. მეც ასე ფეიქრობ. დალახვროს გამჩენმა, შპიგელ-  
ბერგ, მეც შენად მიგულე.

გრიმ. მეც, მეც, შპიგელბერგ! ვინც მეტს შემოგთავაზებს,  
ის ჩემი ღმერთია! მოიტა ხელი, მორიც!

როლერ. მაშ ჩემი სულიც ეშმაკისთვის ჩამიბარებია.

შპიგელბერგ. გავეშუროთ, ამხანაგებო, გავეშუროთ, წავიდეთ!

როლერ. მოიცათ! მოიცათ! საით, მეგობრებო? ნადირსაც უნ-  
და თავი ებას.

შპიგელბერგ. აბა რას ბოდავ? განა თავი უკვე არ არსებობ-  
და, სანამ სხვა ნაწილები ამოძრავდებოდნენ? მომყევით,  
ამხანაგებო!

როლერ. მოიცა-მეთქი. თავისუფლებასაც მეთაური სჭირდება.  
უმეთაუროდ რომი და სპარტა დაიღუპა.

შპიგელბერგ. სწორია! როლერი მართალს ამბობს. ამასთანავე  
ქუთიანი მეთაური უნდა გვყავდეს. ხომ გესმით? გამჭრია-  
ხი, პოლიტიკოსი! მართლაც, რომ წარმოვიდგენ ამ ერთი  
საათის წინათ რანი ვიყავით და გამჭრიახი მოფიქრების  
მიზეზით რანი გავხდით... ცხადია, მართალია, გინდათ ბე-  
ლადი. მაშ ვისაც ეს აზრი მოუვიდა, განა ის გამჭრიახი  
და პოლიტიკოსი არ არის?

როლერ. რომ მცირე იმედი მაინც მქონდეს, სულ მცირე...  
მაგრამ არა. ის არასოდეს თანახმა არ იქნება.

შპიგელბერგ. რატომაც არა, მეგობარო? თქვი თამამად! თუმ-  
ცა ქარიშხლის პირდაპირ ხომალდის მართვა მეტად ძნე-  
ლია, აგრეთვე ძნელია მმართველის მოვალეობა, მაინც  
თქვი თამამად, როლერ, იქნებ იკისროს და თანახმაც  
იყოს.

როლერ. დავიღუპებით, თუ არ იკისრა. უმოოროდ ჩვენ უსუ-  
ლო გვამები ვიქნებით.

შპიგელბერგ (გაბრაზებული ზურგს შეუბრუნებს). ხეპრე! ქკუის კოლოფო! (შემოდის კარლ შოორი. აღელვებული ღადის და თავისთვის ლაპარაკობს).

კარლ. ადამიანო! ადამიანო! ცრუ ნიანგთა ცბიერო მოდგმავ! შენი ცრემლები წყალია, შენი გული ლოდი! ტუჩებში იკოცნები, გულში კი მახვილს უტარებ! ლომიც და აფთარიც კი კვებავს თავის ლეკვებს, ყორნებიც კი ლეშს უზიდავენ თავიანთ ბარტყებს! მაგრამ ის... ის... მე ბოროტების ატანას შევეჩვიე, ღიმილიც კი შემიძლია, როცა გამძვინვარებული მტერი წვეთ-წვეთად მადენს სისხლს, მაგრამ თუნათესაური გრძნობა მოლაღატედ მიხდება, თუ შამის სიყვარული ალქაჯად გადაშექცევა, ო, მაშინ კი ცეცხლებრ აენტე, ვაჟაკის მოთმინება, აფთრად იქეც, მშვიდო ბატკანო, რომ მუსრი გაავლო შაგლს ქვეყნიერებას!

როლერ. გამიგონე. მოოო! როგორ გგონია: ყაჩაღის ცხოვრება არ სჯობია სასახლის ჯურღმულებში წყალსა და პურზე გდებას?

კარლ. რატომ ეს სული ვეფხვს არ ეკუთვნის, რომელიც ადამიანს ფრჩხილებით ხორცს უფლეთავს. განა ეს არის სიყვარულისთვის სიყვარული? განა ეს არის მშობლიური სულგრძელობა? ესოდენ გულის გასაგმირი მუდარა, ესოდენ ცხადად აწერილი მწუხარება და ცრემლის მომგვრელი მონანიება ტყის ნადირსაც კი სიბრალულით აავსებდა, ქვებიც კი ატირდებოდნენ, ის კი, ის კი... ო, ოკენეს მოვწამლავდი, რომ ყველა წყარო შხამად შერგებოდა ადამიანის მოდგმას! ო, ნეტა შემეძლოს საყვირის ხმით მთელი ბუნების აჯანყება! შევძრავდი ჰაერს, ზღვას, ხმელეთს და იმ აფთართა შთამომავლობაზე გავილაშქრებდი!

**როლერ.** გამიგონე-მეთქი, მოკორ! სიბრაზისაგან აღარაფერი გესმის.

**კარლ.** შორს ჩემგან! განა თქვენც ადამიანის სახელს არ ატარებთ? განა თქვენც დედაკაცმა არ წარმოგშვათ? გამშორდით! თქვენც ადამიანის სახე გაქვთ. მერე რა უზომოდ მიყვარდა იგი! არც ერთ შვილს ისე თავისი მამა არ ყვარებია! ათასი სიცოცხლე რომ მქონოდა, სულ იმას შევწირავდი! ~~ო, რომ ვინმე მომცემდეს ლახვარს და მიბრძანებდეს: მიაყენე მაგ გველის ნაშობს უკუურნელებელი ქრილობა, ნეტა ვინმე მასწავლიდეს მისი სიცოცხლის შიგ შუა გულში დამიზნებას, რომ გავსრისო, დავგლიჯო, იგი ჩემი მეგობარი, ანგელოზი, ღმერთი შეიქნებოდა, მასზე ვილოცებდი!~~

**როლერ.** ჩვენც ეგ გვინდა შენთვის. მაგნაირი მეგობრები ვიყოთ, ნხოლოდ მოგვისმინე.

**შვარც.** კარლ, წამო ჩვენთან ბოჰემიის ტყეში, ჩვენ გვინდა ყაჩაღთა გუნდი შევკრიბოთ და შენც... (უცქერს გაშტერებული).

**შვაიცერ.** შენ უნდა ჩვენი ბელადი იყო, შენ შეგიძლია მეთაურობა.

**წპიგელბერგ.** მონებო, მშიშრებო!..

**კარლ.** შენ ეგ აზრი ვინ შთაგაგონა? გამიგონე, მეგობარო! ეგ აზრი შენი ადამიანური გულიდან არ გამოვიდოდა. ვინ შთაგაგონა ეგ აზრი? (ხელს სტაცებს როლერს) დიახ, ათასხელიანს სიკვდილს ვფიცავ, ჩვენ მაგას ვიზამთ! უნდა შევძლოთ! ეგ აზრი თაყვანისცემის ღირსია. თითქოს ლიბრი ჩამომეცალა თვალთაგან. რა სულელი ვიყავ, რომ ისევე გალიაში მინდოდა თავი შემეყო! ~~ჩემს სულს გამარჯვება~~

სწყურია, ჩემს სუნთქვას თავისუფლება! კაცისმკვლელობა, ყაჩაღობა! ამ სიტყვებით ფეხით ვქელავ კანონს! ადამიანებმა ჩამიხშეს ადამიანობა, როცა მუდარებით გამოვითხოვდი ადამიანობას. მაშ, შორს ჩემგან, ადამიანობაგ და ადამიანურა შებრალებაგ! აღარც მამა მყავს, აღარც სიყვარული გამაჩნია, და თუ ოდესმე ვინმე მეყვარება, სისხლი და სიკვდილი შემასწავლიან მის დავიწყებას. გადაწყდა, მე თქვენი მეთაური ვარ! და ნეტარება მას, ვინც უფრო საზარლად გაელტავს! იგი ჩემგან მეფურ ჯილდოს მიიღებს. გარს შემომმერტყით და შემომფიცეთ ერთგულება და მორჩილება სიკვდილ-სიცოცხლეში! შემომფიცეთ თქვენი ვაჟკაცური მარჯვენიო!

**ჟველანი.** ფფიცავთ ერთგულებას და მორჩილებას სიკვდილ-სიცოცხლეში!

**კარლ.** მეც ამ მარჯვენას გეფიცებით, თქვენი ერთგული და შეურყეველი მეთაური ვიყო სიკვდილ-სიცოცხლეში! ამ ხელმა უსულო ლეშად აქციოს ყველა თქვენთაგანი, ვინც კი ოდესმე დაეჭვდეს, შეშინდეს ან უკან დაიხიოს! დაე, ჩემზედაც იგივე აღსრულდეს, თუკი ოდესმე ჩემს ფიცს ვულალატო! კმაყოფილი ხართ?

**ჟველანი.** გაუმარჯოს მეთაურს! (სიმღერა).

**კარლ მოორ.** ნუ შეუდრკებით ნურც სიკვდილს, ნურც განსაცდელს! ჩვენთან არს ბედი თავს გარდუვალი! თითოეული ჩვენთაგანი ნახავს თავის დასასრულს, ეს რბილ ლოგინზე იქნება, ომში თუ სახრჩობელაზე! ერთ-ერთი იქნება ჩვენი ხვედრი!

**მზიგელბერგ** (თვალს გააყოლებს, მცირე ღუმლის შემდეგ). ეგ სია არ არის სრული, დაგავიწყდა საწამლაგი!

ამალიას ოთახი მოორის ხასხლეში.

ფრანც. შენ პირს მარიდებ, ამალია! ნუთუ მე ნაკლებ ყურადღების ღირსი ვარ, ვიდრე ის, ვისაც წილად ხვდა მამის შეჩვენება!

ამალია. გამშორდი! ო, შენ მამავ, წყალობის გამცემო! შენ მიეც შენი შვილი საჯიჯგნად მგლებს და ურჩხულებს! იგი განცხრომას ეძლევა, ხოლო მისი პირმშო შვილი გაჭირვებას განიცდის. გრცხვენოდეთ თქვენ, კაცთაგან მოძულეებულნი! გრცხვენოდეთ თქვენ, გველის გესლით აღსავსენო! კაცობრიობის სამარცხვინო არსებანო! ის ერთადერთი პირმშო...

ფრანც. მე ვგონებ, მას ორი შვილი ჰყავს.

ამალია. დიახ, ის იმსახურებს ჰყავდეს ისეთი შვილი, როგორცა ხარ შენ! როცა მას სიკვდილი ეწვევა, ამოდ გაიწვდის ხელებს, რათა კარლს შეხედეს, მაგრამ აკანკალებული უკან დაიხევს, რადგან მას შეხედება ფრანცის გაყინული ხელები. ო, რარიგ სასიამოვნოა გყავდეს მამა შეჩვენებული! მითხარ, ფრანც, კეთილო ადამიანო, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ მეც მისგან ვიქმნე დაწყევლილი?

ფრანც. შენ ბოდავ, სასურველო, ჩემში შენ იწვევ სიბრაღულს!

ამალია. დაე ასე იყოს! განა შენ გებრალეება შენი ძმა? არა! შენ, ბოროტს, იგი გძულს!

ფრანც. მე მიყვარხარ, ამალია, ისევე როგორც თავი ჩემი საკუთარი!

აშალია. თუ მართლა გიყვარვარ, ერთი თხოვნა მაქვს, და იმ თხოვნაზე ხომ არ მეტყევი უარს?

ფრანც. არაოდეს, თუ ის ჩემს სიცოცხლეს არ აღემატება.

აშალია. ო, თუ მართალს ამბობ! ისეთი თხოვნაა, რომელსაც ასე ადვილად, ასე სიხარულით შემისრულებ! (აჰყად) შემიძულე! მე სირცხვილით უნდა ვიწვოდე, როცა მე კარლოსს ვიგონებ და ამ დროს გავინსებებ, რომ შენ არ გძულვარ! ხომ მაძლეე პირობას, რომ შემისრულებ? ახლა წადი და თავი დამანებე, მე მიყვარს მარტოდ ყოფნა.

ფრანც. მშვენიერო მეოცნებევე, რარიგ მანცვიფრებს შენი ნაზი და სიყვარულით სავსე გული! (მკერძს შეახებს ხელს).

აქ, აქ ბრძანებლობდა კარლი, როგორც ღმერთი თავის ტაძარში. კარლი წარმოგიდგებოდა თვალწინ ცხადად და შენს სიზმრებს ის განაგებდა! ის იყო ერთადერთი და ყველაფრის განხორციელებას შენ მასში ხედავდი! შენი გული მას ერთადერთს ეალერსებოდა.

აშალია (აღელვებული). დიახ, დიახ, მართალია. მე მაგას არ ვფარავ ქვეყნის წინაშე და ვამბობ ყველა ბარბაროსის გასაგონად — მე იგი მიყვარს!

ფრანც. ო, რა არაადამიანური და მკაცრი მოპყრობაა მისგან, რომ ასეთი სიყვარული ასერიგად დააჯილდოვა!.. მან დაივიწყა...

აშალია (აენტება). რაო? მე დამივიწყა?

ფრანც. განა შენ მას თითზე ბეჭედი არ გაუკეთე? ბრილიანტის ბეჭედი, ნიშნად შენი ერთგულებისა? რასაკვირველია, ყმაწვილი კაცი თავს ვერ შეიკავებს, როცა მას კეკლუცი მუძავი ეალერსება. ან ვინ გაამტყუნებს ყმაწვილს, როცა სხვა არაფერი გააჩნია, მისცეს საჩუქრად, როცა ქალი მას ორმაგად უხდის ხევნა-ალერსით!

**ამალია** (აღშფოთებული). ჩემი ბექედი მეძაფს?

**ფრანც.** ფუი! რა სიმდაბლეთა! კიდევ კარგი, თუ მარტო ეს იქმარა. ბექედი, რამდენადაც ძვირფასი არ უნდა იყოს, შეიძლება სხვა შეიძინო რომელიმე ებრაელისაგან. შეიძლება მას ის ბექედი არ მოსწონდა და გაცვალა უფრო უკეთეს ქალის მშვენიერებაში, მის ხვევნა-აღერსში!

**ამალია** (შეჭის აღშფოთებით). მაგრამ ჩემი ბექედი, მე გეკითხები, ჩემი ბექედი?

**ფრანც.** სხვა კიდევ რომელი, ამალია? ო! ისეთი ძვირფასი მეც მიკეთია, მოძღვნილი ამალიასაგან. მას თვით სიკვდილიც ვერ წამგლეჯავდა ამ თითიდან... ხომ მართალია, ამალია, არა ბრილიანტის ღირებულება, არც ოსტატის ხელოვანება — სიყვარულის მეოხებით არის ბექედი ფასდაუდებელი! ძვირფასო ბავშვო, ნუთუ შენ ტირი? ვაბ მას, ვინც ასეთ მშვენიერ თვალებს აატირებს! ახ, შენ რომ იცოდე ყველაფერი, შენ რომ თვით გენახა იგი, თუ რა მდგომარეობაშია...

**ამალია.** წყეულო! რა მდგომარეობაში?

**ფრანც.** იყუჩე, იყუჩე, სულით ნათელო... სხვას ნურაფერსლა მკითხავ. (თითქოს თავის თავს ელაპარაკება, მაგრამ ამალიას გასაგონად) რომ შეიძლებოდეს მის გახრწნას ფარდა ჩაპოეფაროს, სხვისი თვალი ვერ ხედავდეს. მაგრამ ის ჭიანს და მნახველს შიშის ზარს სცემს. ეს გახრწნა აღპობს ადამიანს. იგი ხმას უხრინწიანებს, ტყვიის ფერად უხდის თვალებს, სახე ჩონჩხად ექცევა და გულის ამრევად გამოშვერილან ძვლები, უჯდება ძვალ-რბილში და ასაპყარებს ვაჟაკს, წვეთავს ჩირქი, როგორც ქაფი, შუბლიდან, პირიდან, ლოყებიდან. ფუი! ფუი! ზიზღი გულს მირევს.

ცხვირი, თვალები, ყურები ფამფალეზდნენ. შენ ნახე ერთი უბედური, რომელიც ჩვენს საავადმყოფოში გარდაიცვალა. აი, ისეთი იგულისხმე და კარლიც თვალწინ წარმოგიდგება. მისი კოცნა ჭირიანია, მისი ტუჩები შენ მოგწამლავენ.

**ამალია (გაარტყამს).** უსირცხვილო, ცილისმწამებლო!

**ფრანც.** გაშინებს განა ასეთი კარლი? უბრალო სურათის დახატვამ აღძრა შენში ზიზღი. წადი და შენ თვითონ ნახე ის შენი ღვთაებრივი, მომხიბვლელი და მშვენიერი კარლი. წადი და იყნოსე მისი დამათრობელი სურხელება და დაე მოგწამლოს მისმა აყროლებულმა სუნმა, რაიც მას პირიდან ამოსდის. მარტო ეს სუნი გახრწნილი ლეშისა შენ მკვდართან გაგათანაბრებს. (ამალია პირს არიდებს).

რა აღტაცება სიყვარულისა! რამდენი დატკობა ხევე-ნა-აღერსით! და განა მართებულია, რომ ავადმყოფურ გარეგნობის გამო მოიცილო ადამიანი? შეიძლება თვით საბრალო მახინჯში, როგორიც იყო ეზოპე, ბრწყინავდეს სიყვარულის ღირსი სული, ისევე როგორც ტალახში ბრწყინავს მარგალიტი (ბოროტად იღიმება). ჭირით შეპყრობილი ტუჩებიც ხომ ამქლავნებენ სიყვარულს. რასაკვირველია, თუ უზნეობა შეარყევს ხასიათის ძალას, თუ სიწმინდესთან ერთად ქრება სათნოება, როგორც სურნელება გამხმარ ყვავილიდან, თუ სხეულთან ერთად მახინჯდება სულიც...

**ამალია (გახარებული წამოხტება).** ა! კარლ, გხედავ! შენ ისევ ისეთი ხარ! ისევ ისეთი! ყველაფერი ის იყო სიცრუე! განა არ იცი, შე ბოროტო, რომ კარლი მაგნაირი არ იქნება! არა! არა! (ფრანცი რამდენიმე ხანს ჩაფიქრებული დგას. შემდეგ უცბად წასვლას დაპირებს) სად მიეჩქარები? გაუბრძინარ განა შენსავე სისაძაგლეს, შენსავე შერცხვენას?

ფრანც (პირზე ხელებს იფარებს). გამიშვი! ნება მომეც წავიდე-  
კრემლი ვაფრქვიო. მტარვალმა მამამ უბედურებაში გა-  
დაჩეხა საუკეთესო შვილი, უბედურების მსხვერპლი გახა-  
და. გამიშვი, ამალია! მის წინ დავემხოზი, რათა მან წყევ-  
ლა ჩემზე მოიღოს, წამართვას მემკვიდრეობა... მე... ჩემი  
სისხლი... ჩემი სიცოცხლე... ყველაფერი...

ამალია (ყელზე მოეხვევა). ჩემი კარლის ძმაო! ძვირფასო ფრანც!  
ფრანც. ო, ამალია! რარიგ მიყვარხარ ჩემი ძმისადმი ერთგუ-  
ლებისათვის! მაპატიე. რომ შენი სიყვარული ასეთ მკაცრ  
გამოცდის ქვეშ დავაყენე! ჩემი იმედი დიდად გაამართლე!  
ეგ კრემლები, ეგ გულის ოხვრა და ეგ ციური ალერსი  
მეც შეკუთვნის. ჩვენ ორთავეს სული სულთან გვქონდა  
შეხმატებილებული!

ამალია. ო, ეგ არაოდეს არ ყოფილა!

ფრანც. იმდენად ხმაშეწყობილნი, რომ მეგონა, ტყუპებად ვი-  
ყავით დაბადებულნი. და რომ არ ყოფილიყო ეს უბედური  
გარეგნული განსხვავება, ცხადია, სამწუხაროდ, კარლი  
იქნებოდა წაგებაში, რადგან ერთმანეთისგან ვერ გამო-  
გვარჩევდნენ. შენ ნამდვილი კარლი ხარ, ვეუბნებოდი  
ჩემს თავს, შენ მისი გამოძახილი ხარ, მისი მსგავსება!  
ამალია! და თუ ჩვენი სიყვარული ერთნაირად სრულყოფი-  
ლია, თუ სიყვარული ერთი და იგივე გვაქვს, განა შეი-  
ძლება ბავშვები არ ჰგავდნენ ერთმანეთს?

ამალია. არა, არა! ვფიცავ ზეციურ წმინდა ნათელს! არავი-  
თარი მსგავსება მასთან სხვას არ გააჩნია, არა!

ფრანც. უკანასკნელ საღამოს, ვიდრე ის ლაიპციგში გაემ-  
გზავრებოდა, იმ ხეივანში გამატარა, სადაც თქვენ ხშირად  
სიყვარულზე გიოცნებიათ. დიდხანს ვდუმდით, შემდეგ

ხელი დამიჭირა და აცრემლებულმა მითხრა: „ვტოვებ ამალიას! არ ვიცი, თითქოს წინაგრძნობა მეუბნება—ვტოვებ სამუდამოდ! შენ არ დატოვო, ძმაო, იყავ მისთვის მეგობარი, იყავ მისთვის კარლი, თუკი კარლი ვერასოდეს ვერ დაბრუნდება!“ ვერა, ამალია, ის ვერასოდეს ვერ დაბრუნდება და მეც შევფიცე მტკიცედ.

ამალია (უკან იხევს). მოლალატევე! ტყუი! ამავე ბაღში მან დამაფიცა, მისი სიყვარულისათვის არ მეღალატნა, თუნდაც ის სიკვდილის მსხვერპლი გამხდარიყო. ხედავ, რაოდენ საზიზღრად ცრუობ! მე კვლავ შენს ძმას კარლოსს ექუთენი. კარლ... კარლ! გამშორდი და თვალთ აღარ მეჩვენო!

ფრანც. შენ მე ვერ მიცნობ, ამალია, შენ მე სრულიად ვერ მიცნობ..

ამალია. ო, გიცნობ, დღეის შემდეგ უფრო გაგიცანი! შენ კი ამბობ მე მას ვგავარო. თითქოს ის ატირდა შენს წინაშე ჩემი გულისთვის? შენს წინაშე? უმალ ის ჩემს სახელს სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა, ვიდრე ჩემს შესახებ შენ რამეს გაგანდობდა. ახლავ გამშორდი!

ფრანც. შენ მე შეურაცხყოფას მაყენებ.

ამალია. გამშორდი-მეთქი, გეუბნები! შენ მე წარმტაცე უძვირფასესი წუთები, დაე ის წუთები შენს სიცოცხლეს გამოაკლდეს!

ფრანც. მე გძულვარ შენ!

ამალია. მეზიზღები!

ფრანც (ფეხებს უბრაგუნებს). მაცალე! შენ ჩემს წინაშე აცახცახდე, გამცვალე ვიღაც მათხოვარში?.. (გაბოროტებული გაღის).

ამალია. საზიზღარი! აი, ახლა მე ისევ კარლოსთან დავრჩი.

მას მათხოვარი უწოდა? ჩანს, ქვეყანა გადაბრუნებულა, რომ მათხოვარი მეფედ გამხდარა, ხოლო მეფე—მათხოვრად. მის კონკიძველას არ გავცვლი მეფის პორტირში. მისი გამოხედვა, როდესაც ის მოწყალებას თხოულობს, ეთანაბრება მეფურ გამოხედვას. ეს გამოხედვა ანადგურებს მდიდრებისა და რჩეულთა ბრწყინვალეობას. დაე შენ გაძიმებდეს ეს სამკაული (ყელიდან იხსნის სამკაულს). წყეულიმც იყავით, ვინც ატარებთ ოქროს და განძეულს! თქვენ, რჩეულნო და მდიდარნო, წყეულიმც იყავით, ვინც ზემს ეძლევა მდიდრულ სუფრაზე! წყეველა და კრულვა მას, ვინც განცხრომით არის თავის სარეცელში! კარლ! კარლ! აწ კი ვარ ღირსი შენი სიყვარულისა! (გაღის).

## მეორე მოქმედება

სურათი პიტჯლო

ფრანც ფონ მორი თავის ოთახში ჩაფიქრებული

ფრანც. ოო, რარიგ გრძელდება. ექიმი თითქოს იმედს იძლევა: გამობრუნდებაო! ბერიკაცს სიცოცხლე საუკუნედ გადაექცა. რა სწორი და თავისუფალი გზა გამეხსნებოდა, რომ ეს სიკვდილისაგან დავიწყებული ხორცის ნაქერი ზღაპრული ძაღლივით არ მდარაჯობდეს და საგანძეულოში შესვლას არ მიშლიდეს! განა ჩემი ზრახვები მანქანის მძლავრმა ძალამ უნდა მოდრიკოს? ნუთუ ჩემი აღგზნებული სული და მისწრაფება მატერიის ლოკოკინისებრ მოძრაობას უნდა შეეუფარდო? ჩააქრე ლამპარი, რომელსაც უკანასკნელი ზეთის წვეთი დარჩენია და ძლივსლა ბუუტავს! მორჩა და გათავდა! თუმცა კარგი კი იქნება მე არ მხედეს წილად მისი ჩაქრობა, რომ ხალხს თვალში არ ეცეს... მე მსურდა მხოლოდ მისი გამოტირება და არა მოკვლა. საკმარისია ბუნებას წინ არ აღუდგე, არამედ დააჩქარო მისი მსვლელობა! თუკი შეიძლება სიცოცხლის გაგრძელება, რად არ შეიძლება კიდევ შემოკლდეს? სიკვდილს როგორ გაეუკვლიო გზა სიცოცხლის ციხე-დარბაზისაკენ? მოისპოს სხეული სულის ზეგავლენით! ხა, ხა, ხა! აი ორიგინალური განზრახვა! მხოლოდ როგორ შესრულდეს? იფიქრე, მორ, იფიქრე! სიცოცხლის ყვავილს რა უფრო უქადის მკაცრ

განადგურებას? რისხვა? ეს დამშეული მგელი მალე ძღება. ზრუნვა? ეს მატლი ძალიან მძიმედ ღრღნის. მწუხარება? ეს გველიც ზანტად დაცოცავს. შიში? იმედი ნებას არ მისცემს გაინავარდოს! როგორ? ნუთუ ადამიანთა ჯალათნი მარტო ესენი არიან? ნუთუ სიკვდილის არსენალი ვგრე ღარიბია?

მაშ როგორ? რა? იფიქრე! ააა. (წამოხტება) ელდა! რა არ შეუძლია ელდას! რა არის აზრი ან რელიგია ამ გიგანტის ყინვიან ჩახვევასთან შედარებით. მაგრამ ვაი თუ ამ ქარიშხალსაც გაუძლოს? მაშინ მის მიმხრვალ სიცოცხლეს თავზარს დავატეხ, ვიდრე ბოროტ აჯილდათა ჯარი: ცწუხარება, სინანული და სასოწარკვეთა ბოლოს არ მოუღებს. გამარჯვება უზრუნველყოფილია! მზად არის გეგმა ძნელი და მოხერხებულნი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა, მაგრამ სწორი და საიმედო, რადგან დოსტაქარი ვერც ჭრილობის და ვერც მკვეთრი საწამლავის კვალს ვერ აღმოაჩენს! მაშ აღსრულდეს! (შეშლის ჰერმანი) აა! დეუს ექს მახინა! ჰერმან!

ჰერმან. მზად ვარ გემსახუროთ, მოწყალეო ბატონო ჩემო! ფრანც (ხელს ართმევს). უმადურისათვის არ იქნება ეგ სამსახური.

ჰერმან. ვიცი და გამოცდაც მიმიღია.

ფრანც. მალე მეტსაც მიიღებ, ჩემო ჰერმან, თავის დროზე, ჰერმან! ახლა მინდა მოგელაპარაკო.

ჰერმან. სმენად გადავქცეულვარ.

ფრანც. კარგად გიცნობ, შენ გამბედავი ხარ, ჯარისკაცის გული გაქვს. მამაჩემმა ძალიან გაწყენინა, ჰერმან!

ჰერმან. ეშმაკმა წამილოს, თუ დავივიწყო.

ფრანც. აი, ვაჟაკის სიტყვა! სამაგიეროს გადახდა ვაჟაკის საქმეა. ძალიან მომწონხარ, ჰერმან! მიიღე ეს ქისა ჰერმან! ეგ უფრო მძიმე იქნებოდა, მე რომ აქ ბატონი ვყოფილიყავ.

ჰერმან. დიახ, ეგ ჩემი მარადი ნატვრა გახლავთ, პატივცემულო! დიდად გმადლობთ.

ფრანც. ნუთუ მართალს ამბობ, ჰერმან! მართლა გსურს ბატონი მე ვიქნე?! მაგრამ მამაჩემს ლომის ღონე შესწევს და, ამის გარდა, მე ხომ უმცროსი ვაჩი ვარ.

ჰერმან. მე ვისურვებდი, უფროსი ვაჩი თქვენ ყოფილიყავით და მამათქვენიც ქლექიანი ქალივით დაავადებულნი!..

ფრანც. ო, ის უფროსი ვაჩი როგორ დაგაჯილდოვებდა, როგორ ეცდებოდა ამოყვანას იმ ქაობიდან, სადაც შენს კეთილშობილებას ყოფნა არ შეჰფერის, სულ ოქროთი შეგმოსავდი! ოხ, ცხენიანი ეტლით ისეირნებდი!.. მაგრამ დამავიწყდა, რაც უნდა შეთქვა! ჰო, ნუთუ ფროილიან ფონ ვედელრაიხ უკვე დაივიწყე, ჰერმან?

ჰერმან. ეგ რა მომავონეთ? სიკვდილსაც წაუღივარ!

ფრანც. ჩემმა ძმამ მოგტაცა განა?

ჰერმან. ვანანებ, არ ვაპატიებ!

ფრანც. როგორ, შენ ბრაზობ? რა ძალა შეგწევს, რომ ბრაზობ მასზე? რა შეგიძლია დააკლო, რა შეუძლია ვირთხას ლომის წინააღმდეგ? შენი გაბოროტება მის ზეიმს აძლიერებს. შენ სხვა არაფერი დაგრჩენია გარდა იმისა, რომ აღრიქინო კბილები.

ჰერმან (ფეხით აბრაგუნებს). მე მას გავაცამტვერებ!

ფრანც (მხარზე ხელს წანოკრავს). გრცხვენოდეს, ჰერმან, შენ ხომ

აზნაური ხარ! შეურაცხყოფა არ უნდა აპატიო, არ დაუთმო  
ამალია, არა და არა! მე ყველაფერს ვილონებდი, უკეთუ  
შენს ადგილას მე ვიქნებოდი. ქალისაგან პირში ჩალა-  
გამოვლებული დარჩი და, ვგონებ, ჩემმა ძმამაც კიბეზე და-  
გაგორა.

ჭერმან. ვერ დავმშვიდდები, სანამ ისიც და ესეც საფლავში  
არ ჩავლენ.

ფრანც. ნუ ცხარობ, ჭერმან! ახლო მოდექ! ამალია შენ დაგ-  
რჩება!

ჭერმან. მე დამრჩება, თუნდაც ეშმაკი ამიმხედრდეს! მე დამ-  
რჩება!

ფრანც. შენ დაგრჩება, გეუბნები და მას ჩემი ხელით ჩაგაბა-  
რებ. შენ იქნებ არ იცი, რომ კარლოსს მემკვიდრეობა  
თითქმის ჩამორთმეული აქვს.

ჭერმან. რას ბრძანებთ! პირველად მესმის!

ფრანც. დამშვიდდი და შემდეგიც მომისმინე! სხვა დროს ყვე-  
ლაფერს უფრო დაწვრილებით გიანებობ. თერთმეტი თვე  
შესრულდა, რაც მამამ ჩემი ძმა სახლიდან გააგდო, მაგ-  
რამ მოხუცი უკვე ამ მოუფიქრებელ ნაბიჯს ნანობს, ადრე  
თუ გვიან თავის შვილს კიდით-კიდემდე ძებნას დაუწყებს  
და მშვიდობით, ჭერმან, თუ იპოვა! მაშინ შენ, დამცი-  
რებულმა, მოკრძალებით გაულე ეტლის კარი, როცა ამა-  
ლიას ჯვარის დასაწერად წააბრძანებს.

ჭერმან. მივახრჩობ საკუთხეველთან!

ფრანც. მამაჩემი მმართველობას მაშინვე მას გადასცემს და  
თვითონ მოსვენებით იცხოვრებს სასახლეში. თავნებას ხელთ  
ექნება საკე მმართველობისა, სიცოცხლს დააყრის თავის მე-  
ტოქეს და მოშურნეს. და მეც, ჩემო ჭერმან, რომელსაც

მინდოდა, რომ ამემალლებინე, მექციე თვალსაჩინო ადამიანად, მეც თავდახრილი ვიქნები მის კარიბჭესთან.

ჰერმან (გაცხარებული). არა! მაშ მე ჰერმანი არ ვყოფილვარ, თუ ეგრე მოხდეს! თუ მე თავში ტვინის ნატამალი გამაჩნია, ეგ ეგრე არ მოხდება!

ფრანც. შენ ხომ არ აპირებ ზელი შეუშალო? შენ მალე გაგრძნობინებს თავის სუხს. პირში მოგაფურთხებს, როცა შეხვდები ქუჩაში და ვაი შენ მაშინ, უკეთუ შუბლს შეიკრავ! ხედავ, რა შეგერჩა შენი მაჰანკლობიდან და შენი გეგმებიდან?

ჰერმან. მიბრძანეთ, რა გზას დავადგე?

ფრანც. მომისმინე, ჰერმან! რომ შენ ცხადად დაინახო, თუ მე შენთვის და შენი ბედისთვის რაოდენს ვზრუნავ, როგორც ნამდვილი მეგობარი და გულშემატკივარი, წადი, გადაიცივი ტანისამოსი, ისე რომ ველარავინ გიცნოს, გამოეცხადე მოხუცს და მოახსენე, ვითომ შენ პირდაპირ ბოჰემიიდან მოდიხარ და რომ შენ შეხვდი ჩემს ძმას და მასთან ერთად ომში მონაწილეობას იღებდი პრადასთან, რომ შენ ნახე, როცა მან ბრძოლის ველზე სული განუტევა.

ჰერმან. განა მე მაგას დამიჯერებს?

ფრანც. ო, მაგაზე ზრუნვა მე მომანდე. მიიღე ეს პაკეტი. აქ ნახავ ყოველგვარ დავალებას და საბუთებს, რამაც ურწმუნოც კი უნდა დაარწმუნოს. ახლა წადი და ამ ტრაგიკომედიის დაგვირგვინება მე მომანდე.

ჰერმან მაშინ... გაუმარჯოს ახალ ბატონს, ფრანცისკ ფონ მოორს!

ფრანც (ლოყაზე წამოჰკრავს). აი, რა მიხვედრილი ხარ! ასეთი მოხერხებით მიზანს სწრაფად და ერთბაშად მივალწევთ!

ამალიას მისი იმედი დაეკარგება, მოხუცი მის დალუპვას თავის თავს დააბრალებს, იგი უკვე დაუძღურებულა და მორყეულ შენობას მიწისძვრა აღარ სჭირდება, რათა დაემხოს. ამ ამბავს ვერ გადაიტანს და მაშინ მე ერთადერთი შვილი ვარ. ამალიაც დაჰკარგავს თავის დასაყრდენს და გახდება ჩემი სურვილის... და შენ ადვილად შეგიძლია წარმოიდგინო... ერთი სიტყვით, ყველაფერი სასურველად დაგვირგვინდება, თუ შენ შეასრულებ შენს პირობას...

ჰერმან. აბა რას ბრძანებთ! (გახარებული) უმალ ტყვია მსროლელს დაუბრუნდეს! მენდეთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით! მშვიდობით!

ფრანც (შოაძახებს). ნაყოფსაც შენ მოიმკი, ჩემო ჰერმან! (მარტო) ხარს რომ ძნას მოაზიდვინებენ, მას მარტო ბზეს მიუყრიან. შენ ძროხის მწველელი დედაკაცი, და არა ამალია!

### სურათი მეორე

მოხუცი შოორის მოსასვენებელი ოთახი.

მოხუც შოორს ღივანზე სძინავს. ამალია.

ამალია (ჩუმად შეშლის). წყნარად! სთვლემს, ბურანშია. (მძინარის წინაშე გაჩერება) რა დიდებულა, რა წარმტაცია! ძველად ასე წმინდანებს ხატავდნენ. არა, მე შენ არ გემდური. შენზე არ ვარ მწყალად.. მოხუცო, იძინე მშვიდად და მზიარულმა გაიღვიძე! დაე მარტო მე ვიტანჯებოდე!

მოხუცი შოორ (ძილში) შვილო ჩემო! შვილო ჩემო!

ამალია (ხელს ჰკიდებს). გესმით, გესმით? შვილს ხედავს სიზმარში. მოხუცი შოორ. შენ აქ ხარ? მართლა შენ ხარ? რა უბედური

ჩანხარ! ნუ მიცქერ ასერიგად დაღვრემილი! მე ისედაც  
საკქაოდ უბედური ვარ!

ამალია (აღვიძებს). გამოიღვიძეთ, ძვირფასო მოხუცო! სიზმარში  
ხართ, გამოფხიზლდით...

მოხუცი მოორ (ნახევრად გამოფხიზლებული). განა აქ არ იყო?  
განა მის ხელს არ ვეხებოდი? შეუბრალებელო ფრანც!  
სიზმარშიაც არ მანებებ...

ამალია. გამიგონეთ, ეს მე ვარ, ამალია!

მოხუცი მოორ (იღვიძებს, ერკვევა). სად არის ის? სად? სად  
ვარ მე? შენ აქა ხარ, ამალია?

ამალია. თავს როგორ გრძნობთ? ვგონებ გეძინათ...

მოხუცი მოორ. სიზმარში შეილი ვნახე. რატომ გაქრა, იქნებ  
მე მისგან პატიებას მივიღებდი.

ამალია. ანგელოზები ბოროტებას ივიწყებენ. მისგან თქვენ  
პატიებულ ხართ. (ხელს ხელში მოჰკიდებს) ჩემი კარლოსის  
მამაე! მე მიპატიებია თქვენთვის.

მოხუცი მოორ. არა, ჩემო ამალია! შენი სახის სიკვდილის  
ფერი მამხელს და ბრალს მდებს! საბრალო ქალიშვილო!  
ახალგაზრდობის სიხარული მე მოგტაცე. ნუ დამწყევლი,  
შვილო ამალია, ნუ დამწყევლი!

ამალია (ნაზად ეამბორება მის ხელს). თქვენ?

მოხუცი მოორ. შენ ეს სურათი გეცნობა, შვილო!

ამალია. კარლოსის სურათი!

მოხუცი მოორ. ასეთი იყო, როცა მეთექვსმეტეში გადადგა.  
ახლა ის სხვანაირია! შენ ეს დახატე მისი დაბადების  
დღეს, იასამანთა ტალღაგარში.

ამალია (სურათს თვალს არ აშორებს). არა! არა! ეს ის არ არის...  
გეფიცებით, ეს კარლი არ არის. აქ, აი, აქ... (გულზე უჩვენებს)

ნებს) სრულიად სხვაა, სრულიად სხვა! ფერები მეტად ღარიბიანი არიან, რომ გამოხატონ მისი ბუნების სიდიადე, რაც გამოკრთოდა მისი ანთებული თვალებიდან. შორს ეს სურათი! მეტისმეტად მიწიერია. უნიჭო მოწაფის ნაცოდვილარი! მოხუცი მოორ. ამალია, ჩემს გულს ცეცხლი სწვავს. თქვენი სიყვარული რამდენ სიხარულს მომანიჭებდა! იგი რომ ჩემს ახლოს იყოს, ო, არაოდეს მოვკვდებოდი!

ამალია. არაოდეს. არაოდეს! არა სიკვდილი, არამედ ეს იქნებოდა ერთი აზრიდან სწრაფად უკეთეს აზრზე გადასვლა! ეს სახე გაგინათებდა სამარეშიაც... ეს სახე აგამალლებდა ვარსკვლავებამდე.

მოხუცი მოორ. რაოდენ საამო იქნებოდა, სიკვდილის წინ შეილის საუბარი ნანად მომესმინა.

ამალია. დიახ, საამო, უსაზღვროდ: საამო, უკანასკნელი ნანა გითხრას, ვინც გიყვარს გულით. იქნებ სამარეშიაც დიდხანს გასტანდა კარლოსზე ოცნება, ვიდრე საყვრი არ გვამცნობდა მეორედ მოსვლას. (წამოხტება აღტაცებული) მაშინაც მასთან გულში ჩაკრული! (პაუზა. მიღის ფორტეპიანოსთან და უკრავს):

რად გამირბიხარ შორს, ჩემო ჰექტორ,  
სად ბასრი ხმალი ეაკიდისა  
პატროკლესათვის საზარ მსხვერპლს ითხოვს?  
მშვილდ-ისრის სროლას, ღმერთების პატივს  
შემდეგ შენს ბავშვებს ვილა ასწავლის,  
თუკი ქსანტუსი ქვესკნელში გშთანთქავს?

მოხუცი მოორ. ეგ სიმღერა მშვენიერია, შვილო ამალია! იგი უნდა მიმღერო სიკვდილის პირად!

ამალია. ეს არის ანდრომაქეს და ჰექტორის გამოთხოვება, მე და კარლოსს ხშირად გვიმღერია. (განაგრძობს მღერას):

ჩემო ერთგულო, მომეც აბჯარი,  
მინდა შევიკრა საზარელ ომში  
და მოვიპოვო კვლავ გამარჯვება!  
იქნებ დავეცე ცხარე ბრძოლაში,  
მაგრამ კი ტროას ვათავისუფლებ,  
ერთმანეთს ვნახავთ ელიზიუმში. (შემოდის დანიელ).

დანიელ. გარეთ ვილაცა კაცი იცდის, თქვენს ნახვას თხოულობს. მოგახსენებთ: ფრიად მნიშვნელოვანი ამბის შესატყობინებლად მოვსულვარო.

მოხუცი მოოზ. მთელს ქვეყანაზე ჩემთვის მარტო ერთია ფრიად მნიშვნელოვანი. შენ ეს იცი, ამალია! ის თუ უბედურია და ჩემს დახმარებას საჭიროებს, გულნაკლულს ნუ გაისტუმრებ.

ამალია. თუ იგი მათხოვარია, ჩქარა შემოუშვი! (დანიელ გადის).

მოხუცი მოოზ. ამალია! ამალია! გებრალებოდე!..

ამალია (განაგრძობს სიმღერას):

ნუთუ ვიხილო ის ბასრი ხმალი,  
უქმად გდებული, დაეანგებული?  
ნუთუ დაეცეს პრიამეს მოდგმა?  
ადრე ჩაუქრეს გულს სიყვარული?  
აგერ, ბრძოლაა... წინ იწევს ჯარი!  
ყველაფერს ჩანთქავს ზღვის მღუმარება.  
ჩაქრეს იმედი და მისწრაფება,  
მაგრამ არ ჩაქრეს ჰექტორის გული!

(შემოდის ფრანც და გადაცმული ჰერმანი. უკან დანიელი).

ფრანც. აი ეს კაცი ამბობს: საშინელი ამბის მთხრობელი ვარო! შეგიძლიათ მოუსმინოთ?

მოხუცი მოორ. ჩემთვის მხოლოდ ერთი ამბავია... მოდი ახლოს, მეგობარო! თქვი, ნუ დამხოვავ! მიაწოდეთ ფიალით ღვინო.

ჰერმან (შეცვლილი ხმით). მოწყალეო ბატონო! მე უცხოელი გახლავარ, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, თქვენ მამა ბრძანდებით კარლ ფონ მოორისა!

მოხუცი მოორ. შენ ეგ საიდან იცი?

ჰერმან. თქვენს შვილს ვიცნობდი.

ამალია. ცოცხალია, ცოცხალი? მას იცნობ? სად არის, სად?

მოხუცი მოორ. შენ ჩემს შვილს იცნობდი?

ჰერმან. იგი სწავლობდა ლაიპციგში. იქიდან, ღმერთმა უწყის, სად არ წასულა, მთელი გერმანია შემოუვლია. და, როგორც მე მიაზნო, დაეხეტებოდა ფეხშიშველი და მოწყალებას თხოულობდა. ხუთი თვის შემდეგ კვლავ ატყდა ომი პრუსიასა და ავსტრიას შორის და რადგან მას იმედი აღარაფრის ჰქონდა, ფრიდრიხის ძღვევამოსილ ჯარს ბოჰემიაში გაჰყოლია, მისულა დიდ შვერინთან და უთქვამს: „ნება მიბოძე მოვკვდე გმირულად, მე მამა აღარ მყავსო“.

მოხუცი მოორ. ნუ მიცქერ, ამალია... კმარა, ო, კმარა!

ჰერმან. მისცეს მას დროშა. იგი მონაწილეობას იღებდა პრუსიელთა გამარჯვებულ წინსვლაში, მე და მას ერთ კარავში გვეძინა. ბევრს მომითხრობდა თავის მოხუცებულ მამაზე და იგონებდა ნეტარ წუთებს... და გაცრუებულ იმედს. ორივეს ცრემლი გვდიოდა.

მოხუცი მოორ (სახეს ბალიში იმაღავს). გაჩუმდი! გაჩუმდი...

ჰერმან. რვა დღის შემდეგ პრალასთან გაცხარებული ბრძოლა

დაიწყო. ვბედავ დაგარწმუნოთ, თქვენი შვილი გმირულად იბრძოდა. საღამოს ჟამს, ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ, მოვძებნე და ვნახე დაქრილი ეგდო. მარჯვენა ხელი ტყვიას გაეგმირა, მარცხენაში დროშა ეჭირა და ასე იდგა...

ამალია (აღტაცებული). ჰექტორ! ჰექტორ! გესმით? ის იდგაო...

ჰერმან. საღამოს ჟამს მე ვნახე იგი დაცემული. მარცხენა ხელით ცდილობდა სისხლი შეეჩერებინა, ხოლო მარჯვენა მიწაში ჰქონდა ჩაფლული. — „ძმაო, — შემომძახა, — ჯარში ხმა გავარდა, რომ ამ ერთი საათის წინ გენერალი მოუკლავთო!“ — „დიახ, მოკლეს-მეთქი, შენ როგორ ხარ-მეთქი?“ — „აბა, ვინც ვაჯუცია, მიჰბაძოს თავის მეთაურს!“ — თქვა და განუტევა სული.

ფრანცი (გააფებული შივარდნა ჰერმანს). სიკვდილსაც დაუდუმებია ეგ შენი წყეული ენა! მიტომ მოხველ, მამა მომიკლა? მამა, ამალია, მამა!

ჰერმან. აი, უკანასკნელი სურვილიც ჩემი მომაკვდავი მეგობრის: „წაიღე ეს ხმალი და ჩემს მოხუცებულ მამას გადაეციო. მას სისხლი აქვს შემხმარი. შეუძლია კმაყოფილებით იცხოვროს, რადგან შვილს აუხდა წყევლაო და მისი მეოხებით დავიღუპეო“. მისი უკანასკნელი ამოკვნესა იყო: „ამალია“!

ამალია (თითქოს გამოერკვა). მისი უკანასკნელი ამოკვნესა იყო ამალია!

მოხუცი შოორ (თმებს იგლეჯს). იგი ჩემმა წყევლამ მოჰკლა! სასოწარკვეთაში ჩაადგო!

ფრანც. ო, აბა ეს რა ქენით, მამაჩემო! ჩემო კარლოს! ჩემო ძმაო!

ჰერმან. აი, ხმალი და სურათი! ეს სურათი გულიდან მოიხსნა.

ამ ქალის სახეს ძალიან მიაგავს. „ეს ჩემს ძმას ფრანცისაო“.  
არ ვიცი, ამით რას გულისხმობდა.

ფრანც. მე? ამალიას სურათი? მე კარლი მაძლევს ამალიას? მე?  
ამალია. სულმდაბალო, მოსყიდულო მატყუარავ!

ჰერმან. ცდებით, ქალბატონო, ცდებით. აი, თვით ნახეთ, განა  
ეს თქვენი სურათი არ არის? ალბათ, თქვენ თვითონ გა-  
დაეცით.

ფრანც. ვფიცავ, ამალია, შენი სურათია!

ამალია. ჩემია, ჩემი. ო, ცაო და დედამიწავ!

მოხუცი მოოზრ. ვაგლახ, ვაგლახ! ჩემმა წყევლამ მოჰკლა, სა-  
სოწარკვეთაში ჩააგდო!

ფრანც. მეც მოვგონებივარ. უკანასკნელ მძიმე აღსასრულის  
წუთში მეც მოვგონებივარ!..

მოხუცი მოოზრ. ჩემმა წყევლამ მოჰკლა, სასოწარკვეთაში ჩა-  
აგდო!

ჰერმან. აღარ ძალმიძს თქვენს მწუხარებას ფუცქირო. მშვიდო-  
ბით, პატიოსანო მოხუცო! (ურში ფრანცს) რა საჭირო იყო  
ეს ოინები? (მიღის).

ამალია. მოიცა! მოიცა! რა იყო მისი უკანასკნელი სიტყვა?

ჰერმან. მისი უკანასკნელი ამოკენესა იყო: ამალია!

ამალია. მისი უკანასკნელი ამოკენესა იყო: ამალია! არა, შენ  
მატყუარა არა ხარ. მართალია, მართალი!.. მკვდარია ჩემი  
კარლი! მკვდარია! მოკვდა! ჩემი კარლი აღარ არის!

ფრანც. ამას რას ვხედავ! ეს რა წარწერაა? ხმაღზე სისხლით  
სწერია: ამალია.

ამალია. მისი ხელით! მას არ ვყვარებივარ...

ფრანც. ცხადად ვხედავ თუ მეჩვენება? რა არის ეს სისხლით  
წარწერა: „ფრანც, ნუ დატოვებ ამალიას!“ ხედავ, ხე-

დავ? აი, მეორე მხარეზეც: „ამალია, ჩემს ფიცს ყოვლად შემძლებელი სიკვდილი არღვევს“. ახლა ხომ ხედავ? აი, ხომ ხედავ? მისი წარმავალი სული წამით შეჩერებულა, რომ ფრანცი ამალიასთან შეეერთებინა!..

ამალია. ბოროტო, საზიზღარო! ყოველივე ეგ სიტყუეა! მაგას კარლოსი არ ჩაიდენდა! უმალ ჩემს სახელს სამარცხვინო ბომზე გააკრავდა! ცრუობ, ცრუობ, ვერაგო!

მოხუცი მოღრ. ნუ მტოვებ, ნუ მტოვებ, ამალია! ფრანცი! ფრანცი, დამიბრუნე ჩემი შვილი!

ფრანცი. ვინ იყო, ვინც წყევლა შეუთვალა? ვინ მიიყვანა სიკვდილამდე, სასოწარკვეთამდე? წყევლა და კრულვა მის ჯალათს, წყევლა და კრულვა თქვენ და თქვენს თავს!

მოხუცი მოღრ. წყევლა, წყევლა და მეხი ჩემს თავს! მე მამა ვარ, მკვლელი მამა უფროსი ვაჟის! მას ვუყვარდი უკანასკნელ წუთამდე. მაგიერის გადასახდელად ომში შექრილა სიკვდილთან შესახვედრად.

ფრანცი. ის აღარ არის და თქვენი გოდება ველარაფერს უშველის. (გამკილაფად) უფრო ადვილია მოჭკლა, ვიდრე გააცოცხლო. მას საფლავიდან ველარ აღადგენ!

მოხუცი მოღრ. ვერასოდეს! ვერასოდეს! სამუდამოდ დაკარგულია, მაგრამ მისდამი წყევლა შენ ამომგლიჯე ამ გულიდან. შენ, შენ! მომიცე შვილი ჩემი!

ფრანცი. ბოღმას და რისხვას ნუ ამიშლი! გტოვებ, სიკვდილსაც წაუთიხარ!

მოხუცი მოღრ. ბოროტო, შვილი დამიბრუნე, ჩემი შვილი! (ფრანცს ეძკერება, მაგრამ ფრანცი მას ღიჯანზე დაანარცხებს).

ფრანცი. ბებერო ძვლებო! ბედავ კიდევ? ჩაძალდი! ჩაძალდი! იქვენ დასჯილი!

მოხუცი მოღრ. ათასი წყევლა და შეჩვენება დაატყდეს შენს

თავს! ამ გულიდან ამომგლიჯე შენ ჩემი შვილი! ვაჰ, მე უბედურსა! (საფარპელს აწყლება აქეთ-იქით) ვაგლახ! ვაგლახ! სასო მიმიხდა და არ კი ვკვდები! გამირბიან... მარტო მტოვებენ სიკვდილის ჟამს! ჩემი კეთილისმყოფელი ანგელოზები ჭაღარა მკვლელს თავს მანებებენ! ნუთუ შემწე არავინ არის? აღარ მყვანან ვაჟიშვილები, აღარ მყავს ასული და არც მეგობარი! ნუთუ არავინ... მარტო ვარ... მიტოვებული! ვაგლახ! ვაგლახ! სასო მიმიხდა და არ კი ვკვდები. (ამალია ატირებული თვალებით) ამალია! შენ მომევილინე. ათავისუფლო ჩემი სული?

**ამალია.** თქვენ დაჰკარგეთ საუკეთესო ვაჟიშვილი.

**მოხუცი მორ.** მოკვალ, გინდა მითხრა. მაგ ბრალდებით წარვსდგები მე ჩემი მსაჯულის წინაშე.

**ამალია.** ნუ ამბობ მაგას, უბედურო მოხუცო! მამაუფალმა იგი თავისთან წაიყვანა! ამქვეყნად ჩვენ უბედნიერესნი ვიქნებოდით. იქ, იქ... ლაჟვარდოვან ცაში ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

**მოხუცი მორ.** კიდევ შევხვდებით... კიდევ! ო, სულში ლახვარი გამივლის, როდესაც მე მართალი მას ვნახავ მართალთა შორის. სამოთხის ბედნიერებაში მყოფი ავცახცახლები ჯოჯოხეთის ტანჯვისგან. მარადიულობაში მთვლემარეს შემაკრთობს მოგონება, რომ მე მკვლელი ვარ ჩემი შვილისა.

**ამალია.** ო, იგი თავის ღიმილით აგარიდებთ იმ შეკრთომას. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო მამავ! მე დამშვიდებული ვარ. განა ამალიას სახელი არ გაისმა სერაბიმის ჩანგზე ზეცის მსმენელთათვის, როდესაც მისი უკანასკნელი ამოკენესა იყო ამალია? იქნებ პირველი საზეიმო ამოძახილიც იყოს ამალია!

**მობუცი მოორ.** შენი ბაგიდან გადმოსჩქეფს ნუგეშის წყარო. შენ ამბობ, ის მე გამილიმებს, არა? ხომ მაპატებს? შენ უნდა ჩემს გვერდით იყო, ჩემი კარლოსის სანუკველო, როდესაც მე სიკვდილს მივეახლები.

**ამალია.** სიკვდილი — ეს ხომ მისდამი ლტოლვა და მიახლოებაა. ნეტარება თქვენ! შურით ვივსები თქვენდამი. რატომ მეც თქვენებრ არ ვარ უძლური, რატომ ეს თმა არ მაქვს ქაღარა? ვაი ჩემს ახალგაზრდობას! შენ მოგიწოდებ, მოხუცებულობავე, შენ ახლო ხარ ზეცასთან და ჩემს კარლოსთან! (შეშლის ფრანცი).

**მობუცი მოორ.** მომიახლოვდი, შვილო, ჩემო! მაპატიე, თუ წელან შენდამი მკაცრი ვიყავ. ყველაფერი მიპატიებია. მინდა დავლიო სული დამშვიდებულმა.

**ფრანც.** თქვენ შვილზე უკვე მორჩით გლოვას? როგორც ჩანს ის გყოლიათ ერთადერთი.

**მობუცი მოორ.** იაკობს ჰყავდა თორმეტი, მაგრამ ის მარტო იოსებს დასტიროდა სინხლის ცრემლებით.

**ფრანც.** ჰმ...

**მობუცი მოორ.** მოიტა, შვილო, ბიბლია და წამიკითხე იაკობის და იოსების ისტორია. ის ამბავი მუდამ გულში მხვდებოდა, ხოლო მე კმაშინ იაკობის ბედში არ ვყოფილვარ.

**ამალია.** რომელ ადგილს ინებებთ წაგიკითხოთ? (ბიბლიას გადაფურცლავს).

**მობუცი მოორ.** წამიკითხე მწუხარება მიტოვებულის, როცა მან ვერ ჰპოვა იგი თავის შვილთა შორის და ამაოდ ელოდებოდა. მომასმინე მისი ჩივილი, როცა გაიგო, რომ დაჰკარგა სამუდამოდ.

**ამალია** (კითხულობს). მაშინ ნახეს სამოსი იოსებისა, დაკლეს ციკანი და სამოსი მისი შეღებეს სისხლით და გაუგზავნეს მამას და შეუთვალეს: ვპოვენ ჩვენ ესე სამოსი და ნახე, უკეთუ არს შენი შვილისა. (ფრანცი უცხად გაღის) ნახა რა მამამ, თქვა: ესე არის სამოსი ჩემი შვილისა, ტყის ნადირსა შეუქამიან, ველურს იოსები გაუფატრია.

**მოხუცი მოორ** (ხალიშუკ ღემხობა). ველურს იოსები გაუფატრია.

**ამალია** (კითხვას განაგრძობს). შემოიძარცვა იაკობმა სამოსი თვისი, ჩაიცვა ძაძა და დია გლოვობდა. შემოკრბნენ ძენი და ასულნი მისნი, რათა ნუგეში ეცათ, მაგრამ იგი ნუგეშს განირიდებდა და იტყოდა: გლოვაში დამთავრდეს დღენი ჩემნიო...

**მოხუცი მოორ**. კმარა! კმარა! ძალიან ცუდად ვარ...

**ამალია**. (წიგნი დაუარდა). ღმერთო ჩემო, რა მოგლით?

**მოხუცი მოორ**. სიკვდილი! შავად მიცურავს ჩემს თვალწინ ყველაფერი. გემუდარები, პასტორს დაუძახეთ... მაზიაროს... სად არის ჩემი შვილი ფრანც?

**ამალია**. იგი გაგერიდა, გაიქცა! ღმერთო, შენ გვიშველე!

**მოხუცი მოორ**. გაიქცა... მიმატოვა მომაკვდავი. და ეს ყოველივე... ყოველივე... ყოველივე... ჩემი შვილებისგან... შენ მომეც და შენვე მიიბარე... იყოს სახელი შენი...

**ამალია** (უცხად შეჭვივლებს). მოკვდა! მოკვდა. (გაღის სასოშიხდილი. შემორბის გახარებული ფრანცი).

**ფრანც**. მოკვდა, მოკვდაო, გაიძახიან! ახლა მე სრული ბატონი ვარ! მთელი სასახლე იძვრის: მოკვდაო! მაგრამ ვაითუ სძინავს? დიახ სძინავს. ისეთი ძილით, რომლის შემდეგ დილა მშვიდობისას ველარ ეტყვიან. ძილი და სიკვ-

დილი ტყუპნი არიან. ოღონდ ერთის სახელი იხმარე მეორის ნაცვლად. კეთილო, ბედნიერო ძილო, ჩვენ სიკვდილს დაგარკმევთ შენ. (თვალეზს უხუჭავს). ახლა ვინ გაბედავს, მოვიდეს და სამსჯავროს წინაშე წარმადგინოს? ან პარში მითხრას: გაიძვერაო! შორს ჩემგან სათნოებისა და მოკრძალების მძიმე პირბადევ! ახლა ნახავთ შიშველ ფრანცს და აცახცახდებით. მამაჩემი ტკბილად გექცეოდათ. თავის ქვეშევრდომებთაგან შექმნა ერთი მყუდრო და მშვიდი ოჯახი. იჯდა ჭიშკართან ალერსიანი ღიმილით და ყველას ძმებს და შვილებს ეძახდა. ჩემი წარბები კი შავი ღრუბელივით ჩამოგაწვებათ! ჩემი ბატონობის სახელი ამ მთებზე გაიფლავებს, როგორც კუდიანი ვარსკვლავი! ჩემი შუბლი ჩვენ ავს და კარგ ამინდს გაგაგებინებთ! იგი თქვენ გეფერებოდათ, თქვენ კი ურჩობდით და ჯიუტობდით. ალერსი და ღმობიერება ჩემი საქმე არ არის. მე თქვენ ხორცში დეზებს ჩაგირკობთ და მათრახის სუსხს გაგემებინებთ! იქამდე მიგიყვანთ, რომ ჩემს სამფლობელოში კარტოფილი და წყალ წყალა ლუდი სადღესასწაულო სასმელ-საქმელად გარდაგექცევათ, და ვაი მას, ვისაც თვალს მოვკრავ სავსეს წითელი ლოყებით! სიღარიბის ფერმიხდილობა და მონური შიში ჩემი ლივრის ფერი იქნება და ამ ლივრით შევმოსავ ყველა ჩემს ქვეშევრდომს!

## სურათი მესამე

ბაშვილის ტყე. უახალთა ბრბო

შპიგელბერგ. რაგმან

რაგმან. ეს შენ ხარ? მართლა შენ ხარ? მოდი, გადაგეხვიო, რომ ძვლებმა კახკახი იწყონ. ჩემო ძვირფასო, მეგობარო მორიცი, კეთილი იყოს შენი მოსვლა ბოჰემიის ტყეში! და-ლახვროს ეშმაკმა, როგორ გულისხმიერი გამხდარხარ და დავაჟკაცებულხარ! მთელი ფარა რეკრუტებისა მოგიყვანია, საუკეთესო შემომკრები ყოფილხარ.

შპიგელბერგ. უცქირე, ძმობილო, როგორ მოგწონს? საუკეთესო ბიჭები არიან. შენ არ დაიჯერებ, მაგრამ ჩემზე რა-ღაც ღვთისკურთხევაა მოვლენილი. ვიყავ მშიერი და ლატაკი, არაფერი მებადა, გარდა აი ამ კვერთხისა, როდესაც მდინარე იორდანზე გადმოვდიოდი. ახლა სამოცდა-თვრამეტნი ვართ. უმეტეს შემთხვევაში გაკოტრებული ჭაქრები, ცხოვრებაში იმედგაცრუებული მოხელეები შვაბთა პროვინციიდან და უნდა გითხრა, საუცხოო ყმაწვილები არიან, ერთმანეთს შარვლის ღილებს პარავენ და, თუ დამბაჩა გატენილი აქვთ, ცა ქუდად არ მიაჩნიათ. მუდამ საქმით დატვირთულები არიან და ისერიგად გაითქვეს სახელი გარშემო ორმოცი მილის მანძილზე, რომ არც კი დაიჯერებ! ისეთ გაზეთს ვერ ნახავ, რომ გაიძვერა და მოხერხებულ შპიგელბერგზე წერილს არ ათავსებდეს, ამიტომ ვკითხულობ ამ გაზეთებს. აწერილი ვარ თავით-ფეხამდე ისე, რომ ნათლად წარმომიდგენ, ჩემი ღილების

აწერაც კი არ გამოუტოვებიათ. მაგრამ ჩვენ მათ სასტიკად ვასულელებთ და მასხარად ვიგდებთ.

ერთხელ ერთ სტამბაში მიველ, და განვაცხადე: შე ვნახე თქვენი ყბადაღებული შპიგელბერგი-მეთქი. და რომელიღაც მჯღაბნელს, რომელიც იქვე იყო დასკუპებული, ვუკარნახე ერთ-ერთის, ადგილობრივი ექიმის ნამდვილი გარეგნობა, რომელიც მკურნალობს მუცლის ქიით ავადმყოფებს. დაბეჭდილ ბარათებს ავრცელებენ, იმ ექიმს აპატიმრებენ, დაკითხვებს აწარმოებენ და იგი შიშისა თუ სიტუტუცის მეოხებით, დალახვროს ეშმაკმა, აღიარებს თავის თავს შპიგელბერგად. დასწყევლოს ღმერთმა! კინალამ მაგისტრატში გამოვცხადდი, რათა უქმაყოფილება გამომეთქვა, რომ ვილაც ოხერი ჩემს სახელს ბლალავდა.

მერე კი გავნახე სული და პირში წყალი დავიგუბე, როცა ვნახე ეს ცრუმარქვია შპიგელბერგი სახრჩობელაზე ჩამოკიდებული მთელი თავის მოხდენილობით, და სანამ ის სახრჩობელაზე ეკიდა, ნამდვილმა შპიგელბერგმა მახეს თავი დავახწიე და უგონიერეს მართლმსაჯულებას ზურგიდან მიპარვით ვირის ყურები გამოვაბი, ისე რომ გული მეთანალრება.

რაცმან (იგინის). შენ ისევ ისეთი ხარ...

შპიგელბერგ. ისეთივე, როგორც ხედავ, სულით და ხორციით. დიახაც რომ ასეა, სულელო. მომისმინე, მე გიამბობ რა ჩავიდინე ამ გმირებთან ერთად წმინდა ცეცილიას მონასტერში. იმ დღეს რაკი ვერსად გავინაუარდე, ვთქვი, ერთ ოინს აქ მოვახდენ-მეთქი. შუალამემდე ვუდარაჯეთ, ხმა, კრინტი არ ამოგვიღია. შემდეგ მიჩუმდა ყველაფერი,

ლამპრები ჩააქრეს. ვიფიქრე: ახლა კი მოლოზნებს თიგ-  
 თიკის ლოგინში ტკბილად სძანავთ-მეთქი. გავიყოლე, აი,  
 ეგ თხის თავი, ამათ კი დარიგება მივეცი: ჭიშკართან იცა-  
 დეთ, სანამ სტეწნით ნიშანს არ მოგცემთ-მეთქი. ვტაცე  
 ხელი მონასტრის დარაჯს, წავართვი გასაღები და ავ-  
 ცოცდი კატასავით, სადაც მსახურ ქალებს ეძინათ. მოგ-  
 ხვეტე მათი ტანსაცმელი და გარეთ გადმოვყარე. ამრიგად  
 სენაკიდან სენაკში შეველ და ტანსაცმელი ყველას ავაცა-  
 ლე, არ გადარჩა თვით მოლოზნების უფროსიც. ამ დროს  
 შევუსტინე და ამ ჩემმა მამაცებმა ასტეხეს განგაში, კი-  
 ვილი, წივილი, ყვირილი, კნავილი. ხა! ხა! ხა! შეიქნა ჟრი-  
 ამული, გეგონებოდა მეორედ მოსვლა არისო. ასეთი აურ-  
 ზაურით შევიჭერით საწოლ ოთახებში. როგორც თავუნები,  
 დახტიან მოლოზნები. წრიპინით ეძებენ ტანსაცმელს და  
 რაკი ვერ იპოვეს, ატეხეს წივილი. ამ დროს ჩვენც თა-  
 ნაგრძნობის ნიშნად გულში ვიკრავდით. ზოგმა შიშისაგან  
 იქაურობა ისე მორწყო, რომ შიგ იცურებდი. ისმოდა  
 ზუდარა, თავის შებრალება. ამას ზედ დაემატა კუდიანი  
 ბებრუხანა მოლოზნების უფროსი — იგუმენი. იცი, ძმაო,  
 მთელს დედამიწის ზურგზე ბებრუხანა ისე მძულს, რო-  
 გორც მგელს ობობა. — და აი, წარმოიდგინე, ეს შავი  
 მაშხალა, დაღმენქილი სახის პატრონი, მაფიცებს თავის  
 სიქალწულეს — დალახვროს ეშპაკმა — მე ის-ის იყო უკა-  
 ნასკნელი კბილები უნდა დამეძრო მისთვის. ყოველგვარი  
 ცერემონიის გარეშე მოვთხოვე რაც კი რამ ძვირფა-  
 სეული განძი და მონასტრის ხაზინა მოეპოვებოდათ,  
 რასაც მიხვდნენ ჩემი ვაჟკაცები. ერთი სიტყვით, ამ მო-  
 ნასტერმა ათასი ტალერი ნაღდი მოგვცა და ამ ვაჟკაცებ-

მაც ქალებს ისეთი სახსოვარი დაუტოვეს, რომ მათ თრე-  
ვას სრულ ცხრა თვეს მოუწოდებიათ.  
რაცმან (ფეხის ბრაგუნით). დალახვროს, რატომ მეც იმ დროს იქ  
არ ვიყავ!

**შპიგელბერგ.** ხედავ? განა ეს ცხოვრება არ არის? ამის გარ-  
და, დგები გუნებაზე, მხნე და ჯან-ღონით სავსე, სხეულიც  
მაგრდება და ღიპიც პრელატისას ემსგავსება. არ ვიცი,  
ვგონებ ჩემში რაღაც მაგნიტური მიმზიდველობა არსე-  
ბობს, რომ ჩემსკენ ყოველი ოხერი მოესწრაფება.

**რაცმან.** კარგი მაგნიტი ყოფილა, არ უნდა ლაპარაკი. მაგრამ  
მე მაინც მინდა გავიგო, რა ჯადოს ხმარობ ხოლმე?

**შპიგელბერგ.** ჯადოს? არავეითარი ჯადო. საჭიროა თავი მხრებ-  
ზე გებას; საჭიროა ზოგიერთი პრაქტიკული მიხვედრილო-  
ბა და ალლო, რაც, რასაკვირველია, ციდან არ ვარდება.  
ამიტომ, გამიგონე, მე მუდამ ვლაპარაკობ: პატიოსანი კაცი  
შეიძლება შექმნა ყოველი კუნძისაგან, ხოლო გაიძვერასთვის  
საჭიროა უნარი. საჭიროა აგრეთვე ნაციონალური ტალანტი-  
ანუ ნიჭიერება. ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას,  
გაიძვერული ჰავა, ამიტომ გირჩევ გრაუბუნდენში გაემ-  
გზავრო — ეს არის ათინა დღევანდელი გაიძვერებისა. და  
ქურდ-ბაცაცებისა.

**რაცმან.** მეგობარო, მაგით მთელი იტალია ამაცობს და თავი-  
მოაქვს.

**შპიგელბერგ.** დიახ, დიახ! ყველას თავისი უნდა მივეუზლოთ.  
იტალიასაც შეუძლია იამაყოს თავისი ადამიანებით. და  
თუ გერმანია ისე განაგრძობს, როგორც უკვე დაიწყო, თუ  
ბიბლიას გადაისვრის და თავიდან მოიშორებს, რის ბრწყინ-  
ვალე იმედსაც იგი იძლევა, მაშინ შეიძლება გერმანიიდა-

ნაც რაიმე დადებითი და სახეირო გამოდნეს, ხოლო საერთოდ კი უნდა გითხრა, ჰავა მაინცადამაინც ბევრს არაფერს ნიშნავს, ყველაფერს გენიოსობა სწყვეტს... ხოლო დანარჩენი კი, ძმობილო... იცი რა გითხრა? გარეული მათალო ფორთოხლად არ გადაიქცევა. ჰო, მე განვაგრძობ... რაზე შეეჩერდი?

რაცმან. მოხერხებასა და მარიფათზე.

შპაგელბერგ. ჰო, ასეა, მარიფათზე. ეს მთავარია, როცა ქალაქში შედიხარ, ცნობებს კრეფ იმ ზედამხედველობისგან, რომლებიც მათხოვრებს აღევნებენ თვალყურს. კიდევ ქალაქის და ციხის მცველებისაგან, ვინ უფრო ხშირად ეხმარება მათხოვრებს და ღარიბ ღატაკებს. შემდეგ ბინას დაიდებ ყავახანაში, ან საროსკიპო სახლში. ზეერე და აღევნე თვალყური, ვინ უფრო ხმამაღლა ყვირის სინდისგარეცხილ დროებაზე, ხუთპროცენტიანობაზე, პოლიციელთა მექრთამეობაზე, ვინ უფრო მეტად ჰკილავს მთავრობას და ვინ ილაშქრებს ფიზიოგნომიკის წინააღმდეგ და სხვა და სხვა. შესდექ, ძმობილო, აღმოჩნდა მწიფე ნაყოფი, პატროსნება შერყეულია, როგორც მოფამფალებული კბილი, მხოლოდ საჭიროა გზის მოშველება. ანდა უფრო უკეთესი და უფრო ადვილად მოსაგვარებელი. გაივლი და გზაზე ქისას დააგდებ, მიიმაღე იქვე სადმე და თან ზვერავე, ვინ აიღებს ამ ქისას. როცა აიღებს, მცირე ხანს დააცლი, შემდეგ უკან გამოედევნები... ეძებ... ყვირი და ეკითხები სხვათა შორის: „მოწყალეო ხელმწიფევე, ქისა ხომ არ გიპოვიათ?“ თუ გამოგჩინა, ჯანდაბას მისი თავი და ტანი! ხოლო თუ დატარა და მოიბოდიშა: „ბოდიში, მოწყალეო ბატონო, მე არ მინახავს, ძალიან ვწუხვარო“,

მორჩა, გამარჯვებული ხარ! ჩააქრე შენი სანათური, ცბიერო დიოგენ. შენ ის იპოვნე, ვისაც ეძებდი.

რაცმან. შენ დიდად მოხერხებული ყოფილხარ.

შპიგელბერგ. ღმერთო ჩემო! განა მე ამაში როდისმე ეჭვი მეპარებოდა? როცა კაცი ანკესზე წამოეგება, შენ გონაერება უნდა იხმარო, შენსკენ ამოაგდო. გასაგებია, შევილო ჩემო, ამას მე ასე ვაკეთებდი. როცა კი კვალს მივაგნებდი, ჩემს კანდიდატს აღარ მოვეშვებოდი და ბირკასავით მივეყვრებოდი — მასთან ექამდი და მასთან სადღეგრძელოებს ვსვამდი. ხოლო ეს იცოდე, მის მაგიერ ანგარიში შენ უნდა გაისტუმრო. შექდეგ შეუდექი საქმეს. მიგყავს ბანქოს მოთამაშეებთან და აშალლარ ხალხთან. ისე მოუწყობ, რომ ჩაითრიონ ათასგვარ უსანდისობასა და მუშტი-კრიგში. ვიდრე არ გამოწოვ მისგან წვეწს, ვიდრე არ წაერთმევა ძალ-ღონე, ფული, სინდისი და პატიოსანი სახელი. უნდა გაგაფრთხილო, თუ არ დაამახინჯებ მის სხეულს, გულს და სულს, ისე ვერაფერს გახდები. მერწმუნე, მე ამაში დიდი გამოცდილება მაქვს, და ორმოცდაათი შემთხვევა მაინც მქონია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ღირს რამედ პატიოსანი კალაპოტიდან ამოაგდო და ეშმაკს მონად გაუხადო. მერე იერიშზე გადასვლა მის მიმართ ისე ადვილია, როგორც ფულის ფანტვის შესწავლა როსკიპის მიერ. გესმით? ეს რა ქეჟა იყო?

რაცმან. იქუხა, შენ განაგრძე!

შპიგელბერგ. აი, კიდევ სხვა გზა — მოკლე და იოლი. გაძარცვე, გაგლიჯე, დასვი კაცი ცარიელ-ტარიელზე, მაშინ თვითონ მოგნახავს... ამ ოინში, ძმობილო, მე ცალი არ მყავს. აბა ჰკითხეთ, აგერ, იმ ჭორფლიანს, თუ როგორ მოხერ-

ხებულად მოჰყვა ჩემს ბადეში. მე მას აღუთქვი ორმოცი დუკატი, უკეთუ სანთლისგან გაკეთებულს თავისი ბატონის გასაღების ყალიბს მომიტანდა და, წარმოიდგინე, სულელმა შეასრულა დავალება. გასაღები მომიტანა, გეფიცებით ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკს! უნდოდა ფული მიეღო, მაგრამ მე მოვახსენე: „მუსიო, იცით თუ არა თქვენ, რომ მე მივდივარ პოლიციაში თქვენთვის სახრჩობელის გასამზადებლად?“ უნდა გენახათ, როგორ გადმოკარკლა თვალები და ჰყეტით დარჩა. აკანკალდა, როგორც შეცივებული გოშპარა. „ღვთის გულისათვის, შემობრალეთ, ბატონო... მე ვიქნები... ვიქნები...“ „რა იქნები-მეთქი? თანახმა ხარ დაიკვალთო მკლავები და ჩემთან ერთად ეშმაკთან წამოხვიდე?“ „ო, დიდი სიამოვნებით და სიხარულითო!“ ხა, ხა, ხა! დიახ, უბედურო, თავგებს ქონით იტყუებენ მახეში. გაიცინე მაგ სულელზე, რაცმან... ხა, ხა, ხა!

რაცმან. დიახ, დიახ, უნდა გამოგიტყდე... მაგ ლექციას ოქროს ასოებით აღვიბეჭდავ გონებაში! ჩანს ტარტაროზს ადამიანის შეცნობა შესძლებია, რომ თავის დალაღად ამოურჩევიხარ!

შპიგელბერგ. მართალი ხარ, მეგობარო. რაცმან, თოფისწამლის სუნი მომდის.

რაცმან. მეც მომდის, ფრთხილად იყავ! აქ ახლომანლო იქნებ საქმე კარგად არ იყოს. ჰო, მაგ შენი რეკრუტებით ჩვენი ბელადისათვას პირდაპირ საქები შეიქნები. იმანაც კარგი ვაჟაკები შემოიკრიბა.

შპიგელბერგ. მაგრამ ჩემები, ჩემები რა ბიჭები არიან!

რაცმან. რაც მართალია, მართალია, შენები შეიძლება თითებს

კარგად ამუშავებდნენ, მაგრამ ჩვენი მეთაურის სახელმა ბევრი კარგი გული მოინადირა.

შპიგელბერგ. ე. შენც იტყვი ხოლმე...

რაცმან. არ გეხუმრები! ისეთ ვაქცალებს იკრებს გარშემო, რომლებიც სიკვდილს თვალეში უცქერიან. თავისუფლებას სიცოცხლეზე მალლა აყენებენ, ღარიბების და ჩაგრულების მტარვალებს შიშის ზარსა სცემენ. ის კაცს ჰკლავს არა გაძარცვის მიზნით, როგორც თქვენ. იგი ფულზე სრულადაც არ ფიქრობს! თუ რამეს იშოვის, ღარიბ-მოწაფეთა სწავლის ფულს იხდის, მაგრამ თუ ხელთ ჩაუვარდა მემამულე, რომელიც თავის გლეხებს აწამებს და ტყავს აძრობს, ან რომელიმე არამზადა ზიზილ-პიპილებით მორთულ-მოკაზმული, რომელიც კანონს ამახინჯებს და მართლმსაჯულებას ქრთამით ამრუდებს, ან ვინმე ამათთაგანს ძალსა და ოხერს, მაშინ კი მისი ბუნების რისხვას საზღვარი არა აქვს, სიმკაცრით ბელზებელს აღემატება...

შპიგელბერგ. ჰმ... ჰმ...

რაცმან. ამას წინათ ტრაქტირში შევიტყვეთ, რომ რეგენსბურგიდან უნდა გამოევლო მდიდარ გრაფს, რომელსაც მრავალი საქმე მოეგო თავის გაიძვერა ვეჟილის მეოხებით. ის მაგიდას უჯდა და ვსადილობდით. „რამდენი ვართ“, იკითხა და სწრაფად წამოდგა. შევემჩინე, ქვემო ტუჩს იკენეტდა. ამას ის მაშინ ჩადის, როცა ძალიან გაბრაზებულია. „ხუთნი-მეთქი“, მე მოვახსენე. „ვეგეც საკმარისიაო“, მიპასუხა. დიასახლისი გაისტუმრა, ღვინო დატოვა ხელუხლებელი და გავეშურენით. გზაზე ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. ჩვენგან მოცილებით მოდიოდა, ზანდახან გვკითხავდა, ხმაურობა ხომ არ გესმისთო. გვიბრ-

ძანებდა მიწისთვის ყური დაგვედო და მოგვესმინა. ბოლოს გამოჩნდა გრაფი მძიმედ დატვირთული ეტლით. ვეჭილი გვერდით ეჯდა. წინ ერთი მხედარი. აქეთ-იქიდან ორ-ორი მოსამსახურე—ყველანი ცხენებზე. შენ რომ გენახა ჩვენი მეთაური, ორი დამბაჩით ხელში როგორ გადაენტო ეტლისკენ და რა ხმით დაუყვირა: „შესდექ“! მიეტლეს არ უნდოდა შეჩერებულიყო, გადახტა კოფოდან. გრაფმა ჰაერში ისროლა. ცხენოსნებმა მოკურცხლეს „შენი ფული, არამზადავ!“—საზარლად დაუყვირა. ის კი წაწვა, როგორც დასაკლავი ხარი. „ეს შენ ხარ, შე გათახსირებულო, რომ მართლმსაჯულება როსკიპ ქალად გარდააქციეო?“ ვეჭილი ცახცახებდა და კბილებს ერთმანეთზე აცემინებდა. ხანჯალმა მის მუცელში შეისროლა. „მე ჩემი საქმე შევასრულეო“, დაიძახა მეთაურმა და ამაყად ჩვენ გაგვეცალა. „ძარცვა თქვენი საქმეაო“, თქვა და ტყეს შეეფარა.

შპიგელბერგ. ჰმ! ჰმ! ძმაო, მე რომ წელან გიამბე, ჩვენ შორის დარჩეს, არ შეიძლება მან ეს გაიგოს. ხომ გესმის?

რაცმან. კარგი! კარგი! მესმის.

შპიგელბერგ. შენ ხომ მას კარგად იცნობ, მას თავისი ფანტაზიები აქვს... ხომ გასაგებია, რასაც გეუბნები?

რაცმან. გასაგებია, გასაგებია! (შეშობის შვარცი).

რაცმან. რა დაგემართა? რა მოხდა? ტყეში მგზავრები ხომ არ გამოჩნდნენ?

შვარცი. აჩქარდით! აჩქარდით! ჩვენები სად არიან? დასწყევლის ეშმაკი, თქვენ აქ გაჩერებულხართ და ლაყბობთ, იცით თქვენ... მაშ თქვენ არაფერი იცით? არ იცით, რომ როლერი...

რაცმან. რა მოუვიდა?.. რა მოხდა?

**შვარც.** როლერი ჩამოახრჩეს და მასთან ოთხი სხვაც.

**რაცმან.** როლერი! დასწყევლოს ეშმაკმა! როდის? შენ ეგ საი-  
დან იცი?

**შვარც.** თურმე სამი კვირაა ზის და ჩვენ კი არაფერი ვიცით.  
თურმე სამჯერ დაკითხვაზე გაატარეს, ჩვენ კი არაფერი  
გაგვიგია. დაკითხვის დროს თურმე აწამებდნენ... სად  
არის თქვენი მეთაური? ვაჟკაცს არ გაუცია. გუშინ უკა-  
ნასკნელი სხდომა ყოფილა, ხოლო დღეს დილით სასწრაფო  
ფოსტით ჯოჯობეთისაკენ გაუმგზავრებიათ.

**რაცმან.** დასწყევლოს... იცის ეგ მეთაურმა?

**შვარც.** ნხოლოდ გუშინ გაიგო. ბღღვინავს აფთარივით.  
ჩვენს მეთაურს ისეთი ფიცი მიეცა, რომ ტანში ჭრუან-  
ტელმა დაგვიარა. „ისეთი სამგლოვიარო მამხალა აგინთო,  
რაიც ჯერ არც ერთ მეფეს არ ღირსებიაო“. მე ქა-  
ლაქის მეფიქრება. დიდი ხანია ქალაქი ნიშანშიაქვს ამო-  
ღებული მისი ზნედაცემულობის გამო და, ხომ იცით, თუ  
თქვა, შევაარულებო, ეს იმას უდრის, ვითომც რომელიმე  
ჩვენთაგანს შეესრულებინოს უკვე.

**რაცმან.** ეკ მართალია. ვიცნობ ჩვენს მეთაურს! მაგრამ საბ-  
რალო როლერ! უბედურო როლერ!

**შპიგელბერგ.** ჯანდაბას, მე რაში მენაღვლება. (ისმის სროლის  
ხმა სამჯერ).

**რაცმან.** გესმით? გავარდა!

**შპიგელბერგ.** კიდევ მეორედ!

**რაცმან.** მესამედ! მეთაურია!

**შვაიცერ,** როლერ (სცენის გარეთ). თქვენ ჰეი, თქვენ ჰეი!

**რაცმან.** როლერ! ჰაი ეშმაკის კერძიმც ვყოფილვარ! (შემო-  
ღიან კარლი და დანაწიწნი უჩაღები).

კარლ. თავისუფლება, თავისუფლება!

როლერ მოორ, მოორ!

რაცმან. ჰაი, პლუტონის ცეცხლში კი დაგშამათოს ეშმაკმა,  
მიწიდან ამოძეერ?

შვარც შენ... მართლა შენ ხარ, თუ მელანდები?

როლერ. ჰო, ჰო, ეს მე ვარ, მე, ცოცხალი და უვნებელი.

როგორ გგონიათ, საიდან მოვდივარ?

შვარც. ეშმაკმა არ იცის შენი თავი და ტანი! შენ ხომ გადა-  
გიწყვიტეს...

როლერ. გადამიწყვიტეს და მეტიც მიყვეს. პირდაპირ სახრჩო-  
ბელას მოვსხლტი. მოიცა, მოიცა, ჯერ სული მოვითქვა.  
შვაიცერი გიამბობთ! მორიც, შენ ისევ აქა ხარ. მე კი  
მეგონა ერთმანეთს საიქიოს შევხვდებოდით.

შვარც. აი, დაგლახვროს, ერთი გვიამბე, როგორ დაუსხლტი,  
ჩვენთან როგორ გაჩნდი? ლამის გადავირიო. შენ ამბობ:  
სახრჩობელადანო?

როლერ. სახრჩობელადან, გეუბნებით. თქვენ ვერც კი წარ-  
მოიდგენთ, სახრჩობელადან სამი საფეხურით ვიყავი და-  
შორებული, რომ განმესვენა წიაღსა აბრაამისა! სულ ახ-  
ლოს, სულ ახლოს, მაგრამ ჩვენს მეთაურს უნდა ვუმაღ-  
ლოდე სუნთქვას, თავისუფლებას და სიცოცხლეს.

შვაიცერ. ისეთი ოინი მოვახდინეთ, რომ მართლაც ღირს ლაპა-  
რაკად! წინა დღით ჩვენმა ჯაშუშებმა შეგვატყობინეს, რომ  
როლერის საქმეს ჯვარი დაესვა. და თუ არა რაიმე სას-  
წაულით, ხვალ დღით, ესე იგი დღეს, ფეხებს გაფშეკავ-  
სო. „აჩქარდით, — გვითხრა მეთაურმა, — მეგობრისათვის  
ნურაფერს დავიშურებთ, ჩვენ. მას ვიხსნითო“. შემოიკრიბა  
მთელი რაზმი. ამასთან კი შიკრიკი ვაფრინეთ, რომელმაც

კერძში ბარათი შეაპარა და ჩვენი განზრახვა შეატყობინა.

**როლერი.** მე მაინც მეეჭვებოდა...

**შვაიცერ.** შევიცადეთ სანამ ქუჩები დაცარიელდებოდა. მთელი ქალაქი სახრჩობელას აწყდებოდა.

**გრემ** ცხენოსნები, ეტლები ერთმანეთში აირივ-დაირივნენ. ყვირილი, ყიჟინა, ფსალმუნების გალობა შორს ისმოდა.

**შვაიცერ.** „ახლა კი წაუკიდეთ“, თქვა მეთაურმა. როგორც გატყორცნილი ისარი, ეცნენ ჩვენი ბიჭები და უცებ ოცდაათ ალაგას ცეცხლი ავარდა.

**შუფტარლე.** ანთებული პატრუქი თოფისწამლის საწყობში გადავისროლეთ.

**შვაიცერ.** დალახვროს აღქაჯმა, საათის მეოთხედი არ გასულა, თითქოს ზენა ქარიც ქალაქზე გაბრაზებული ყოფილიყოს, ჩვენ დაგვეხმარა და ცეცხლის ალი მოსდო მწვერვალებს.

**შუფტარლე.** ამ დროს, ჩვენ გადავრბივართ ქუჩიდან ქუჩაზე და ვყვირით, მთელ ქალაქს ყიჟინით ვაყრუებთ: ხანძარი! ხანძარი! ღმუილი, ყვირილი, ჩახაჩუხი!

**შვაიცერ.** დაჰკრეს ნალარა. ბოლოს თოფისწამლის საწყობმაც იფეთქა და ავარდა ჰაერში. გეგონებოდა დედამიწა შუაზე გასკდა, ზეცა გაირღვა და ჯოჯოხეთი ასი ათასი ადლით დაბლა ჩაძვრაო.

**როლერ.** ჩემმა დარაჯებმა უკან მოიხედეს, მთელი ქალაქი ცეცხლში იყო, როგორც სოდომ-გომორი. ალი ცის კამარას სწვდებოდა. კვამლი მიდამოს აბნელებდა. ორმოცგან აფეთქების ქუხილი და გრიალი! შიშმა ყველას თავზარი დასცა. სწორედ ქარიშხალივით უცბად ვიხელთე დრო. ახლა კი თავს უშველევ მეთქი. დავიხსენ ყულფები, დავ-

ქარ ფეხი და ჰაიდა! გავიბრინე სამოცი ნაბიჯი, გავიძრე ტანსაცმელი, ჩავხტი მდინარეში და წყალქვეშ წავველ ცურვით, სანამ არ მოვეფარე... ვხედავ, ჩვენი მეთაურია ნაპირზე, ხელში ტანსაცმელით. ასე გადავრჩი, მეგობრებო. მოორ! მოორ! ღმერთმა ბრძანოს შენც ასეთ გაქირვებაში ჩავარდე, რომ სამაგიერო გადაგიხადო.

**რაცმან.** აი, ხეპრული ნატერა, რის გამო მართლა ჩამოსახრჩობი ხარ!

**როლერ.** ეს იყო შველა გაქირვებაში. თქვენ ამას ვერ დააფასებთ. ამისთვის კისერზე ყულფი უნდა გებათ და ცოცხალი საფლავისკენ მისეირნობდეთ. ძმებო, ძმებო, ყველა ამის შემდეგ უცბად თავისუფლება! მისმინეთ, თქვე დამთხვეულებო, გახურებული ბუხრიდან უცბად ყინულში რომ შემძვრალიყავ ისეთ მძაფრ განსხვავებას ვერ იგრძნობდი, როგორც ვიგრძენ მე მეორე ნაპირზე.

**შპიგელბერგ.** უბედურო, მართლაც რომ ძალიან შეუხურები ხარ. გილოცავ მეორედ დაბადებას!

**როლერ.** არა, გეფიცებით მამონის ყველა საუნჯეს, რაც ერთხელ გამოვცადე, მეორედ აღარ გისურვებთ მის გამოცდას. სიკვდილი არღეკინის მალაყი არ გეგონოს სიკვდილის შიში უფრო შემზარავია, ვიდრე თვით სიკვდილი.

**შპიგელბერგ.** და ის აფეთქებული შეხობა? ახლა ხომ ხვდები რაცმან, თუ რატომ იდგა მთელ საათს გოგირდის სუნი, თითქოს მოლოხის საპირფარეშოს ასუფთავებდნენ. დიდებული საქმე მოგიგვარებია, მეთაურო!. მშურს, მართალი გითხრა...

**შვაიცერ.** თუკი მთელი ქალაქი მზად იყო აღტაცებით ეცქირნა, როგორ დაჰკლავდნენ დანაგეში ღორივით ჩვენს

ამხანაგს, ჩვენ რატომ უნდა შეგვაწუხოს სინდისმა, რომ ამხანაგის სიყვარულს ქალაქი შეეწირეთ? ამის გარდა, ჩვენ ძმებს დიდებული შემთხვევა ეძლეოდათ ხაზინაზე გასანავარდებლად. აბა, ახლა კი გვიამბეთ, ვინ რა მოასწრო, ვინ რამდენი აპკრა. არ იცი, შუფტერლე. ადამის მოდგმას რამდენი დააკლდა?

**შუფტერლე.** ამბობდნენ ოთხმოცდასამიო. მარტო მონგრეულ კოშკს სამოცი ქვეშ მოუტანებია.

**ქარლ.** ძვირად კი დაგვიჯდა შენი თავი, როლერ!

**შუფტერლე.** რას ჰქვიან ძვირად? კაცები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ ჰო, მაგრამ სულ ძუძუთა ბავშვები იყვნენ, რომლებიც ზეწრებს ოქროსფრად ავარაყებენ. კიდევ მოკაკული ბებრუხანები. ერთ სახლს რომ გავუარე, წრიპინი შემომესმა, ვუსტკერ და ცეცხლის აღზე რას ვანჩნევ? პაწია ბავშვს, სულ ახლად შობილს, ფუნთუშას. გდია იატაკზე მაგიდის ქვეშ, რომელსაც საცაა ცეცხლი წაეკიდება. საბრალო ცუგრუმელავ, შენ აქ შეგცივა-მეთქი და შუა ცეცხლში გადაეუძახე.

**ქარლ.** მართლა, შუფტერლე? მაშ იმ ცეცხლის ალი სდაგავდეს შენს გულმკერდს, ვიდრე მარადისობას ქალარა არ გამოერევა. წადი, დამეკარგე, შე ალქაჯო ჩემს გუნდში აღარა განახო! რაო, რად ღელავთ? მსჯელობთ კიდევ? ვინ ბედავს მსჯელობას, როდესაც მე ვბრძანებ? განმშორდითქი, გეუბნები! თქვენ შორის ბევრი მომწიფებულა ჩემი რისხვისათვის. შენც გიცნობ, შპიგელბერგ! მალე მოვეგლინები თქვენს გუნდს და სასტიკ გადარჩევას მოვახდენ. წადით, მონშორდით! (ყველა მიდის).

ვაგლახ, ბავშვთა მკვლელობა, დედაკაცთა და უმწოთა

ხოცვა რარიგ ამძიმებს ჩემს გულს! საუკეთესო მისწრაფებანი მომიწამლეს და აი, ვდგავარ ყოვლად მხილველის თვალთა წინაშე, ვდგავარ როგორც დარცხვენილი, მასხრად აგდებული. არა, არა, რა შენი საქმეა, ჩემო თავო, უზენაესის შურისმაძიებელი მახვილის ხმარება, შენ პირველი ცდის დროს დამარცხდი. (შეჟორბიან ყაჩაღები).

**პირველი ყაჩაღი.** მეთაურო, საქმე ვერ არის კარგად. ბოჰემიელი ცხენოსნები გვზვერავენ! ჩანს, ვილაც ეშმაკს გაუცივართ.

**მეორე ყაჩაღი.** მეთაურო, მეთაურო, ჯარისკაცებმა ჩვენს კვალს მოაგნეს, რამდენიმე ათასი ირგვლივ გვარტყია!

**მესამე ყაჩაღი.** უბედურება, უბედურება, ყველას დაგვიქერენ, დაგვხოცავენ, ჩამოგვახრჩობენ! რამდენიმე ათასი გუსარი, დრაგუნი, სერებზე დააქენებენ და ყოველ გასაქალში საფრედებიან! (მოორი გაღის. შვაიფერ, გრიმ, როლერ, შვარც, შუფტერლე, შპიგელბერგ, რაცმან და ბრბო ყაჩაღებისა).

**შვაიცერ.** აჰა, ხოპ დავძარით თივთიკის ლოგინებიდან, გიხაროდეს, როლერ! დიდი ხანია ვნატრობდი ზურგს ქვევით ამელილავებინა ეს დაქირავებული და მუქთახორა რაინდები. მეთაური სად არის?

**შპიგელბერგ.** თავს გვანებებს გაქირავების დროს. განა ჩვენ კი არ შეგვიძლია მოვკურცხლოთ?

**შვაიცერ.** მოვკურცხლოთ?

**შპიგელბერგ.** რა მრჯიდა, დავრჩენილიყავ იერუსალიმში?

**შვაიცერ.** წუპეშიაც ჩამხრჩვალხარ, შე მურდალო! ქალაჩუნებში ყოყონობ და ახლა ორი მუშტი რომ დაინახე, ისერები? ახლა გვიჩვენე შენი ვაჟკაცობა, თორემ ლორის ტყავში გაგზვევ და შენს თავს ძალილებს ვაგლეჯინებ!

რაცმან. მეთაური! მეთაური! (შემოდის შოორი, თავის თავს ესაუბრება).  
კარლ. საქმე იქამდე მივიყვანეთ, რომ ალყა შემოგვარტყეს.  
(ყველას) ძმებო, დავილუპებით, თუ დაქაილი ვეფხვივით არ  
ვეკვირნეთ!

როლერ. ისე გამოვშიგნო, რომ ნაწლავებს კუდივით მიათ-  
რევენდნენ! აბა, გაგვიძეხ, მეთაურო! შენთან ერთად სიკვ-  
დილს ყბაში შევექცებით!

კარლ. ტყვია-წამალი ხომ საკმარისი გვაქვს?

შვაიცერ. იმდენი, რომ დედამიწას თუნდ მთვარემდე ავაფეთ-  
ქებთ.

რაცმან თვითელს ხუთ-ხუთი დამბაჩა და სამ-სამი თოფი  
გატენილი გვაქვს.

კარლ. კარგია, კარგი! აბა, ახლა ერთი ნაწილი ხეებზე ავი-  
დეს, ან ხშირ ტყეში ჩასაფრდეს და იქიდან დაუშინეთ  
ნიშანში!

შვაიცერ. ეგ შენ შეგფერის, შვიგელბერგ!

კარლ. ჩვენ კი ქაჯებივით გვერდებიდან დავესხმებით.

შვაიცერ. აი, ეგ მე შემფერის!

კარლ. ყველა თქვენგანმა ტყეში უსტეინოს, რომ ჩვენი რიცხვი  
უფრო საშიშრად მოეჩვენოთ! აგრეთვე აუშვით ძაღლები  
და მიუსიეთ, რომ მტერი გაფანტონ და ნიშანში ამოსა-  
ღებად გამოიყვანონ. ჩვენ სამნი კი, როლერ, შვაიცერ და  
მე, ამ არეულობის დროს შიგ შუა გულში შევიქ-  
რებით.

შვაიცერ. კარგი აზრია! ჩინებულაია! ისეთი რეტი დავხვიოთ,  
რომ გონს ვერ მოვიდნენ, საიდან ვუშენთ ტყვიას!.. პირ-  
თან მიტანილ ალუბალს ტყვიას არ ვაცდენ!

კარლ. მოემზადებით! (შემოდის პატერი).

**ბატერ** (გაკვირვებული თავისთვის). ნუთუ აქ არის გველის ბუდე?  
ბატონებო, თქვენის ნებართვით მე გახლავარ მსახური  
ეკლესიისა. აქვე ახლოს ძღვეამოსილი ჩვენი ჯარი თვი-  
თეულ ჩემს თმაზე პასუხისმგებელია.

**შვაიცერ**. ბრავო! ბრავო! დასაწყისი ჩინებულია, რათა კუქი  
თბილად შეინახო!

**ბატერ**. მე ვარ უზენაესი მთავრობისგან მოგზავნილი, რომ-  
ლის ხელთ არის სიკვდილით დასჯაც და სიცოცხლის მინი-  
ჭებაც. თქვენ კი, ქურდო, მძარცველნო, მკვლელნო და  
შხამიანო გველებო, წყვილადსა შინა ქვემძრომნო და იდუ-  
ნალად მგესლავნო, კაცობრიობის ნადირალნო, ჯოჯოხე-  
თის ნაშობნო, ყორანთა და ქვემძრომთა შესაქმელნო,  
სახრჩობელას კერძო...

**შვაიცერ**. ძაღლო, მოიშლი თუ არა მაგ გინებას? (თოფს მიუშვერს).  
**კარლ** გრცხვენოდეს, შვაიცერ! დავთრები მთლად დაუბნიე.  
მერე რა გულდასმით გაუზებირებია თავისი ქადაგება!  
აბა, განაგრძეთ, ბატონო ჩემო! ქვემძრომთა შესაქმელნო,  
სახრჩობელას კერძო, შემდეგ?..

**ბატერ**. და შენც პატიოსანო შეთაურო! თავადო მკვლელთა,  
მეფეო ავაზაკთა, დიდო მოდოლო ყველა გარეწართა ცის  
ქიეშეთისაო; მიტოვებულ დედათა მოთქმა და კივილი  
კვალდაკვალ გდევნ, სისხლსა სვამ შენ, ვითარცა წყალსა.  
**კარლ** სრული სიმართლეა, სოული სიმართლე... სხვა?

**ბატერ**. როკორ? სრული სიმართლეო? განა ეგ პასუხია?

**კარლ**. გეტყობათ ამნაირ პასუხს არ მოელოდით ბ-ნო  
ბატერ! განაგრძეთ, განაგრძეთ! შემდეგ კიდევ რას გვიბ-  
რძანებ?

**ბატერ**. უკუაქციე სახე შენი თვალთა ჩემთაგან! განა რაიხს-

გრაფის სისხლი შენს თითებს არ შეახმა? განა შენ არ შეიქერ საკურთხეველსა შინა უფლისასა და შენ არ წარიტაცე ავაზაკურის თითებით საღვთო საკურქლენი?

კარლ. ეგ ყველა ჩინებულად ბრძანეთ! ახლა კი საქმეს შევეუდგეთ! რას მაუწყებს თქვენის ბაგით დიდად პატივცემული მაგისტრათი?

პატერ. რის მოსმენის ღირსიც შენ არა ხარ! მიმოიხედე, მკვლელო, მძარცველო! სადაც არ უნდა მიაჩერო თვალი შენი, ყველგან ჩვენი ცხენოსანი ჯარია. აღარ გაქვთ გაქცევის საშუალება. თუ ეს მუხა ბალს მოისხამს, ანუ ამ ნაძვზე ატამი დანწიფდება, მაშინ თქვენც გწამდეთ, რომ ამ ტყიდან უვნებელი გახვალთ.

კარლ. გესმის, შვაიცერ? შემდეგ?

პატერ. მაშ მომისმინე! უკეთუ შენ ახლავე ქედს მოიხრი და ჩოქით ითხოვ შენდობას, უმაღ სიმკაცრე შებრალებად გადაგექცევა და მართლმსაჯულება მოსიყვარულე დედად! იგი ნახევარ შენს დანაშაულთა ზედა დახუქავს თვალთა თვისთა და გაკმარებს,—ყურად იღე და შეიგენ,—გაკმარებს მარტოდენ ბორბალთა ქვეშე დაფლეთას.

შვაიცერ. გესმის, მეთაურო! მოდი და ამ დაგეშილ ქოფაკს ყელში ნუ წაუქერ და ყველა ნახვრეტებიდან სისხლს ნუ გამოაღენ!

როლერ. მეთაურო! დალახვროს გამჩენმა, შეხედე, ქვედა ტუჩს როგორ იკვნეტს? მოდი და ამ პირუტყვს ცემით ნუ გახეთქავ.

შვაიცერ. მე მაცალეთ, მე! აი, დაჩოქილი გეხვეწებით, მაჩუქეთ, ერთი სიამოვნებით გავსრისო ეგ გველი!

კარლ. დაეხსენ! არაფინ გაბედლოს ხელის შეხება! (პატერს, ხმალი

ამოილო). მოისმინეთ, თუ რას მოგახსენებთ ქურდთა და მძარცველთა მეთაური მოორი. მართალია, მე მოვკალ რაიხსგრაფი და დომინიკელთა ეკლესიას ცეცხლი მე წავუკიდე. თქვენი ფარისეველი ქალაქიც მე გადავწვი და კეთილ ქრისტიანეთა თავზე თოფისწამლის სარდაფი მე ავაფეთქე, მაგრამ ეს არაფერია. მე უფრო მეტი ჩაიძიდინა. ხელაჲ ჩემ თითებზე ამ უძვირფასეს ბეჭედს? მაშ წადით და დიდად პატივცემულ სამსჯავროს ბატონებს მოახსენეთ, რასაც ნახავთ და მოისმინეთ! ეს ლალი ერთ მინისტრს წავაძრე თითიდან და თვით იგი ნადირობის დროს თავისი მეუვის ცხვირის წინ მოვკალ. იგი მდაბიოთაგანი იყო და ობლების ცრემლებზე ააგო თავისი კეთილდღეობა. ეს აღმასი ერთ საფინანსო მოათათბირეს წავაძრე. რომელიც საპატიო ადგილებს და თანამდებობებს იმათზე ჰყიდდა, ვინც მეტს აძლევდა. ამ იაგუნდს ერთი ხუცესის პატივსაცემად ვატარებ, ისიც თქვენი ჯიშისა იყო და ჩემი საკუთარი ხელით ჩამოვახრჩე, რადგან კათედრიდან მრევლის წინაშე ინკვიზიციის დამხობას დასტიროდა. ამ ბეჭედებზე კიდევ ბევრი რამ შემეძლო მეაძბნა, მაგრამ იმასაც ვნანობ, რომ თქვენთან ლაპარაკში ეს რამდენიმე სიტყვა დავხარჯე.

**ბატერ.** ო, ფარაონ, ფარაონ!

**კარლ.** გაიგეთ? შენიშნეთ, როგორ ამოიოხრა! ო, თქვე ფარისეველნო, სიმართლის დამამახინჯებელნო, ღვთაების მიამუნებო, ნუთუ არ გეშინიათ, როდესაც მუხლს იდრეკთ ჯვრისა და საკუთხეველის წინაშე? წადი და მოახსენე დიდად პატივცემულს სამსჯავროს, რომელიც სიკვდილსიციოცხლით თამაშობს, რომ მე ის ქურდი არა ვარ, რო-

მელიც ძილს გაჰყრია და ბნელ ღამეში კიბეებზე დაცო-  
ცავს. თქვენ კი არა, შე ვარ თქვენი მსაჯული!

**პატერ.** მაშ შენ უარყოფ შეწყალებასა და პატიებას? კარგი!  
შენთან მოვრჩი. მაშ თქვენ მოჰისმინეთ, რასაც მართლმსა-  
ჯულება გიცხადებთ ჩემის ბაგით. უკეთუ ამ გაუსწორე-  
ბელ ბოროტმოქმედს ახლავ შებოქავეთ და მთავრობას ხელ-  
ში მისცემთ, მოგეტყვებათ ყველა ბოროტმოქმედება, ვიდ-  
რე ახალ დანაშაულებას ჩაიდენდეთ. აბა, ეს როგორ მო-  
სწონს თქვენს უდიდებულესობას? თამამად შეჰკარით იგი  
და ჯილდოდ თავისუფლება!

**კარლ.** ხომ მოისმინეთ, ხომ გაიგეთ, მაშ რაღას აყოვნებთ?  
რამ ჩაგაფიქრათ?

**პატერ.** იქნებ გეფიქრებათ ამით მახეს გიგებენ და ცოცხლად  
უნდათ ხელში ჩაგიგდონ? თქვენ თვითონ წაიკითხეთ, აქ  
სრულ პატიებაზეა ხელი მოწერილი. ნუთუ კვლავ ეპკვი გე-  
პარებათ?

**კარლ.** ხომ ხედავთ! მაშ სხვა რაღა გინდათ? საკუთარი ხელით  
არის მოწერილი. ეს ხომ უსაზღვრო მოწყალებაა. განა ასე  
არ არის, ბ-ნო პატერ!

**პატერ.** ქეშმარიტად ასეა!

**კარლ.** როგორ? მაინც პასუხს არ იძლევი? იქნებ გგონიათ,  
იარაღით იხსნათ თავი? ან გმირულად დარხოცოთ? ეგ ფიქ-  
რი თავიდან გამოიბერტყეთ, რადგან თქვენ მოორები როდი  
ხართ! თქვენ მდაბალი ქურდბაცაცები ხართ, გამბედაობას  
და გმირობას მოკლებულნი.

**პატერ.** სწორედ ქ უიდან შევიშლები, ჩქარა გავეცალო!

**კარლ.** ან იქნებ გეშინიათ თავი არ მოვიკლა და ჩემის თვით-  
მკვლევლობით არ ჩავშალო მათი პირობა, რომელსაც მხო-  
ლოდ ცოცხალისათვის სდებენ? უსაფუძვლოა ეგ თქვენი

შიში. აი, უცქირეთ! გადამიგდია ხმალი, ხანჯალიც, ეს დამბაჩებრიც! ეს საწამლაფიც, რომელიც ოდესმე დამჭირდებოდა! ახლა იმდენად უიწყო ვარ, რომ ჩემს საკუთარ თავზედაც დავეკარგე გამგებლობა. მაინც ვერ ბედავთ? იქნებ ფიქრობთ, ხელი გავიღო თავდასაცავად, როდესაც შეპყრობას დამიპირებთ? უცქირეთ, ამ მუხის ტოტზე მივიბამ მარჯვენას.—ახლა იმდენად უღონო ვარ, ბავშვიც შემეკრავს. აბა, რომელია თქვენში პირველი, რომ თავისი მეგობარი გაქირვებაში დატოვოს?

**როლერ.** არაფინ, თუნდ ჯოჯოხეთი გარს შემოგვერტყას! თუ ძაღლები არა ხართ, უშველეთ მეთაურს! (ხმალომწვდილი გაუქნება).

**შვაიცერ** (ხვეს ქალღეს და პატერს პირში აყრის). ჩვენი ხსნა ჩვენს ტყვიებშია! დაიკარგე, შე ყარყუმო! შენს გამომგზავნელ სენატს მოახსენე, რომ მოორის გუნდში ვერც ერთი მოლაღტე ვერ აღმოვაჩინე-თქო. ვიხსნათ, ვიხსნათ მეთაური!

**ყველა.** ვიხსნათ, ვიხსნათ! (მისცვიფლებიან და ანთავისუფლებენ).

**კარლ.** მეგობრებო, ახლა ჩვენ თავისუფლები ვართ. ჩემს მუშტში მთელი რაზმის ძალასა ვგრძნობ! ცოცხლები ნუ ჩაეუვარდებით ხელში! სიკვდილი ან თავისუფლება!

**ყველა.** სიკვდილი ან თავისუფლება! (სიგნალი საიერიშოდ. ბრძოლა. ისმის ძახილი).

# «Buratino»

## მესამე მოქმედება

სურათი პარედი

ამალია ბალში ჩანგზე ამღერებს

ამალია. ის ანგელოზი იყო მშვენებით,  
მაისის დარი უმკობდა თვალებს;  
ნათელი სულით ჩრდილავდა ყველას,  
ვანსგავსე მზესა და ღამით მთვარეს!

მისი ამბორი — სამოთხის შვება —  
იყო ანკარა, წყარო მჩქეფარე;  
მესმოდა მარად ტკბილი სიმღერა,  
და ყუჩდებოდა გული მღელვარე!

მზერას ანთებდა, სულს ალაგზნებდა,  
ირგვლივ ჰყვავოდა, იყო ზაფხული!  
და შეყვარებულს მოჰქონდა ჩემთვის  
სიამე უცხო ჯერ არნახული!

აწ კი ყველაფერს გამოვეთხოვე,  
ის აღარ არის, არც ვარ მნახველი;  
ახ, რა საბრალოდ ჩემს გულს აგლოვებს  
განშორებ-სა მწარე ნალველი!

(შემოდის ჟრანცი).

ფრანც. შენ კიდევ აქ ხარ, თავნება მეოცნებე? დატოვე მხიარული სუფრა და სტუმრებს სიაშე მოუსპე!

ამალია. ვაგლახ ასეთ ზეიმს! შენს ყურებში ჯერ კიდევ უნდა მამიშენის სამგლოვიარო ზარი გაისმოდეს ..

ფრანც. ხუთუ მუდამ მწუხარებას უნდა ეძლეოდე! თავი ანებე გარდაცვალებულებს, ცოცხლები გაახარე! მე მოველ...

ამალია. და, როდის, წახვალ?

ფრანც. ო, ნუ ხარ ასე დასევდიანებული და ნუ ხარ ასე მედიდური! შენ მაგით მაწყენინებ, ამალია! მე მოველ გითხრა...

ამალია. და, რასაკვირველია, მე უნდა მოგისმინოთ. ფრანც ფონ მოორი ხომ ჩვენი ბატონი გახდა.

ფრანც. დიახ, იგულისხმება, და სწორედ მინდა მაგაზე მოგელაპარაკო. კმარა მოთქმა და ჩივილი! მაქსიმილიანე საგვარეულო სავანეში განისვენებს და დღეს მე გავხდი აქაურობის მფლობელი, მაგრამ მე მსურდა სრული ბატონი ეყოფილიყავ. ამალია, თვითონ კარგად იცი, რაც იყავი ჩვენი ოჯახისათვის. მოორების ოჯახში საკუთარი შვილივით იზრდებოდი. მოხუცს შენი სიყვარული თან წაჰყვა, და ვფიქრობ ამას შენ არაოდეს დაივიწყებ.

ამალია. არაოდეს! არაოდეს! და ან ვინ უნდა იყოს ისეთი ქარაფშუტა, რომ დაივიწყოს.

ფრანც. მამის სიყვარულის სამაგიეროდ მისი შვილები უნდა დააჯილდოვო. კარლი მოკვდა! შენ განცვიფრდი? თავბრუ დაგებე? ჰო, ეს ისეთი ამბავია, რომ შეაყვეს ქალის თავმოყვარეობას. ბრწყინვალე ქალიშვილების იმედს ფრანცი ფეხითა სთელავს. ფრანცი თავის გულს, ოქროს, მამულს და ციხე-დარბაზებს ერთს ღარიბს და უმწეო ობოლს სთა-

ვაზობს! ფრანცი, ვის წინაშეც ყველა ცახცახებს და რომლის ბედს შურით უცქერიან, თავის თავს თავის ნებით ამალიას მონად აცხადებს.

ამალია. რატომ ენას მეხი არ დაგიღუმებს მაგ კადნიერი სიტყვებისათვის!

ფრანც. ნუ ცხარობ, ყოვლად მოწყალეო პრინცესა! ფრანცი არ დნება შენს წინაშე გრძნობამიხდილი სელადონიკით, მაგრამ ფრანცი რტყვის და, თუ პასუხს არ აღირსებენ, მაშინ ის ბრძანებს.

ამალია. შენ, კი ამ უნდა ბრძანო? მე მიბრძანებ? მერე შენი ბრძანება რომ ზიზლით უკანვე გტყორცნო?

ფრანც. მაგას შენ ვერ იზამ! ერთი საშუალება, კიდევ დამრჩენია, რომ მოვდრიკო შენი სიახაყე და ჯიუტობა! მონასტერი და მღვიმე!

ამალია. საუცხოოა! მონასტერში და მღვიმეში საამო იქნება ჩემთვის! სამუდამოდ მოვშორდები შენს გველურ თვალებს და კარლოსზე ოცნებაში გავატარებ ჩემს სიცოცხლეს! ჩქარა მღვიმეში!

ფრანც. ააა! მაშ ასეა? მიფრთხილდი! თვითონ მასწავლე რარიგად გტანჯო. ჩემი სახე და გარეგნობა, რაიც შიშის მომგვრელია მსგავსად ცეცხლთმიანი ურჩხულისა, დაგავიწყებს კარლოსზე ფიქრს და ოცნებას. მე, საფრთხობელა ფრანცი, არ მოგეშვები და გიდარაჯებ, როგორც მოჯადოებულნი ხვადი დარაჯობს ქვეშენეთის ზინეთს და მუდამ დაგზვერავ შენი მიჯნურის სახეს ამოფარებული. თმებით მიგათოვე საკურთხეველთან, ხმლით ამოკოი ცოლქმრობის ფიცს, ძალით დავიპყრობ უმანკო სარეცელს და შენს ამაყ მორცხვობას გავთელავ უფრო მეტი სიამაყით.

ამალია. მაშ მზითვად ჯერ ეს მიიღე! (სილას გარტყუმს).

ფრანც. ააა! ათასეულად გადაგიხდი! არა, თუ ამის ღირსი არა ხარ, ხასად დაგისვამ, რომ გლეხის პატიოსანი გოგოებისთვის თითოთ საჩვენებელი გახდე, თუკი ოდესმე გაბედე და გარეთ თავი გამოჰყავ! აფრქვიე ცეცხლი მაგ თვალე-ბიდან! მე სიხარულს მგერის ქალის სიშმაგე. ეგრე შენ უფრო მშვენიერი და სასურველი ხარ! წამო, შენთან ბრძოლა ჩემს გამარჯვებას დაამშვენებს და სიამოვნებას ნაძალადევი ხვევნით შემიმკობს. წამო ჩემთან, ჩემს საწოლში! ვდნები სურვილით... წამომეყ!

ამალია. მაპატიე, ფრანც! (იმ ღროს, როცა ეხვევა, ამალია ხმალს ამოსტაცებს) ჭტარვალო, ხედავ ახლა რა შემიძლია?! დედა-კაცი ვარ, მაგრამ გაათრთებული! აბა გაბედე და შენი ბინძური ხელით შეეხე ჩემს სხეულს, უმალ ეს ხმალი მაგ ბიწიერ გულს გაგიგმირავს და ბიძაჩემის არღილიც ხელს წარმიმართავს. ახლავ დამეკარგე თვალიდან! (კააგლებს).

ამალია (მარტო). ო, რა კარგია მარტოე ყოფნა! ახლა შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო. თავი ძლიერი მგონია, ისეთი, როგორიც არის ფიცხი ბედაური, ანუ შმაგი ვეფხვი, რომელსაც ლეკვები მოსტაცეს. მონასტერშიო, მეუბნება! გმადლობ, მაგ პატიოსანი აზრისათვის. მოტყუებულმა სიყვარულმა გამონახა გზა... მონასტერში! წამების ჯვარი მაცხოვრისა—ეს არის სავანე გაცრუებული სიყვარულისა. (წასვლას დაპირებს. ჰერმან მოკრძალებით შემოდის).

ჰერმან. ფროილიან ამალია! ფროილიან ამალია!

ამალია. უბედურო! რატომ შემიშალე ხელი?

ჰერმან. ჩემს სულს უნდა ჩამოგხსნა სიმძიმე, სანამ ჯოჯოხეთ-

ში არ ჩაუძირავს. (უჩოქებს) გთხოვთ პატიებას... პატიებას!  
დიდი შეურაცხყოფა მოგაყენეთ, ფროილან ამალია!

ამალია. ადექით! წადით! არ მსურს ვიცოდე რამე! (წასვლას  
დააპირებს).

ჰერმან (აჩერებს). არა! დარჩით! ვფიცავ ყოვლად შემძლებელს,  
თქვენ უნდა იცოდეთ ყველაფერი!

ამალია. კრინტი აღარ დასძრათ! მე მიპატიებია შენთვის. გზა  
მშვიდობისა გქონდეს! (სურს სწრაფად გავიდეს).

ჰერმან. მხოლოდ ერთი სიტყვა მომისმინეთ—იგი თქვენ მშვი-  
დობას მოგანიჭებთ.

ამალია (ბრუნდება და გაკვრეხული უცქერს). როგორ, მეგო-  
ბარო! ვის შეუძლია ქვეყნად ან ზეცაში მე მშვიდობა  
მომანიჭოს?

ჰერმან. ეს შეუძლია მხოლოდ ერთ სიტყვას, ჩემის ბაგიდან  
წარმოთქმულს—მომისმინეთ!

ამალია (ხელში ხელი წაავლო, თანაგრძნობით). კეთილო ადამიანო,  
განა შენი ბაგათ წარმოთქმულ სიტყვას შეუძლია მარა-  
დისობის კარი გამიღოს?

ჰერმან (წაშოდგება). კარლი ცოცხალია!

ამალია (შეერთა). უბედური!

ჰერმან დიახ, ასეა! კიდევ ერთი სიტყვა—თქვენი ბიძა...

ამალია (მივარდება). შენ ცრუობ!

ჰერმან. თქვენი ბიძა...

ამალია. კარლი ცოცხალია!

ჰერმან. თქვენი ბიძა!

ამალია. კარლი ჯერ კიდევ ცოცხალია?

6. ფ. შილერი

ჭერმან. და თქვენი ბიძაც... ნუ გამცემთ... (სასწრაფოდ გადის).  
ამალია (ლიღხანს ღვას როგორც გაქვავებული, შემდეგ შეაკანკალებს  
ღა მას უკან გამოეკიდება). მამ კარლი ცოცხალია?

### სურათი მეორე

ყარლები დაბანაკებულან ხის ქვეშ. ცხენები ბორცვზე ხაძოვრად გაუშვიათ

მოორ. აქ უნდა დავისვენო. (მიწაზე დაეშობა). საშინლად მოვი-  
ქანცე. პირი გამშრალი მაქვს. (შეაიცირო შეუმჩნეველად იმალება).  
მინდოდა ერთი მუჭა წყალი მეთხოვნა აგერ იმ წყაროდან,  
მაგრამ თქვენ ყველანი დაღლილები ხართ.

შვარც. ღვინოც გამოგვეღია მოკუპრულებში.

მოორ. შეხედეთ პურის მოსავალს, რა კარგი პირი უჩანს!  
მსხმოიარე ხეხილს თითქოს ემტერევა ტოტები ნაყოფის  
სიმძიმისაგან. ვენახიც კარგ მოსავალს მისცემს.

გრიმ. კარგი მოსავლის წელიწადი იქნება.

მოორ. შენ ასე ფიქრობ? მაშინ ქვეყნად ოფლის ერთი წვეთი  
მაინც დაჯილდოვდებოდა. ერთი? მაგრამ ხომ შეიძლება  
ამ ღამეს დაუშინოს სეტყვამ და ყველაფერი გაანად-  
გუროს?

შვარც. ეგ ადვილად შეიძლება მოხდეს. შეიძლება სარჩოს  
აღებამდე რამდენიმე წუთში ყველაფერი განადგურდეს.

მოორ. მეც მაგას ვამბობ. ყველაფერი განადგურდება! რა-  
ტომ არის, რომ ადამიანი აღწევს იმას, სადაც ის მოსაქმე  
ქიანქელად მოჩანს; ხოლო ვერ აღწევს იმას, სადაც ის  
ღმერთს უთანაბრდება? ნუთუ ყველაფერი ბედისწერით  
არის განსაზღვრული?

შვარც. მაგისი მე არაფერი გამეგება.

მოორ. კარგად შიპასუხე, და უფრო უკეთესი იქნება შენთვის, თუ არ ეცდები მისწვდე ამ საიდუმლოებას. ძმაო, მე ვიცნობ ხალხს, რომლებიც ფოტკრებივით ფუსფუსებენ, აქვთ დიდი და ღვთაებრივი გეგმები—ლტოლვა ბედნიერებისადმი. ერთი დანდობილია თავის ბედაურზე, მეორე—თავისი ვირის ყნოსვაზე, მესამე—თავის საკუთარ ფეხებზე. ეს არის ცხოვრების კრელი და ცვალებადი ლატარია, სადაც ზოგიერთი განსაცდელში აგდებს თავის უმანკოებას და თავის ციურ ბედნიერებას, რათა მოგებას სტაცოს ხელი, მაგრამ ამ ხელში რჩება ფშუტი ბილეთი, სადაც, შესაძლოა, არც იყო მოგება აღნიშნული. ეს, ჩემო ძმაო, ისეთი ამბავია, რის გამო თვალი ცრემლს აფრქვევს და ამავე დროს გაიძულვებს გადაიხარხარო-

შვარც შეხიდე, რა დიდებულად ჩადის მზე!

მოორ (უცქერს მზის ჩასვლას). ასე კვდება გმირი! ღირსია სცე თაყვანი.

გრიმ. შენ რალაც დარდს ღრმად შეუპყრიხარ.

მოორ. როცა მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ჩემი სათაყვანებელი ოცნება იყო: მეცხოვრა, როგორც ცხოვრობს მზე და მოვმკვდარიყავ, როგორც კვდება მზე. (იღუშალი სევლით შეპყრობილი) ეს იყო ბავშვური ოცნება!

გრიმ ალბათ.

მოორ (ქუღს ჩამოიფარებს სახეზე). იყო დრო... მარტო დამტოვეთ, ამხანაგებო!

შვარც. მოორ! მოორ! რა მოსდის? დალახვროს ეშმაკმა... როგორ შეეცვალა სახე.

გრიმ რა ღმერთი უწყურება! რა ემართება? გულის დაღონება ხომ არ დაჩემდა?

მომრ. იყო დრო, არ დამეძინებოდა, უკეთუ სალამოს ლოცვის წარმოთქმა დამავიწყდებოდა.

გრამ. შენ კუდიდან ხომ არ იშლები? ხომ არ ფიქრობ, ისევ იმ ბავშვური ალლოთი იარო?

მომრ (გრამს შეერღზე მიადებს თავს). ძმაო! ძმაო!

გრამ. რა იყო? ბავშვობას თავი ანებე, გთხოვ...

მომრ. ო, რომ შექედლოს ვიქცე კვლავ ბავშვად...

გრამ. კარა! კარა!

შვარც. გამხიარულდი, უცქირე ამ სურათს, ამ მშვენიერ შემოღამებას.

მომრ. დიახ, მეგობრებო! ეს ქვეყანა მომხიბვლელია და სასურველი.

შვარც. აი, მაგას მართალს ამბობ.

მომრ. ეს დედამიწა რამდენად საყვარელია!

გრამ. სწორია... აი, ეგ მომწონს!

მომრ (კვლავ ფუქსს მიეცემა). მე კი რა საზიზღარი ვარ ამ მომხიბვლელ ქვეყანაში მე კი რა ურჩხული ვარ ამ წარმტაც დედამწახე!

გრამ. ვაგლახ! ვაგლახ!

მომრ. ჩემო უმანკოებავ! ჩემო უმანკოებავ! უცქირეთ: გაზაფხულის მყუდრო მზის სხივებში ყოველი სულდგმული სტკებება და სულს ითქვამს, მარტო მე ჩად ვსვამ შხამის ფიალას? ყველაფერი ამქვეყნად პედნიერებით და მყუდროებით შემოსილა, მთელი ქვეყანა ერთი ოჯახია და ერთი მამა ჰყავს ზეცაში, ძაგრამ ის არ არის ჩემი მამა. მარტო მე ვარ უარყოფილი და უცოდველთაგან განდევნილი. ჩემთვის ტკბილად არ ჟღერს შვილის სახელწოდება... ჩემთვის არ არსებობს სატრფოს აღერსი და შემოხედვა. არც მე-

გობრის გადახვევნა. (შეშინებული უკუიხევს) გარს მახვევიან მკვლელები... მოსისინე ქვეწარმავალნი... მიჯაჭვული ვარ ბოროტებასთან... მივქანები მცდარი გზით საფლავისკენ, სამუდამო დაღუპვისკენ...

**შვარც** (შეგობრებს). გაუგებარია! არაოდეს მინახავს ასეთ ყოფაში.

**მორ** (წუხარებით აღსავსე). რომ შესაძლო იყოს და დავიბადო ხელახლა მასხოვრად! არა! მე მხოლოდ ერთადერთს ვისურვებდი, ცაო, ვყოფილიყავ ღარბ ღატაკი... ო! ვიმუშავებდი და საკუთარი ოფლით ვრგემებდი სიამეს...

**გრიშ** (ღანარჩენებს). აცალეთ, უკვე გონს მოდის...

**მორ**. იყო დრო, ცრემლი თავისუფლად იღვრებოდა. ო, მყუდროების დრო იყო მაშინ! შენ, მამიჩემის ციხე-ღარბაზო, შენ, მწვანე ველ-მინდორო, ოცნების შთამაგონებელნო, ჩემი ბავშვობის ბრწყინვალე დღეებო, ნუთუ არაოდეს დამიბრუნდებით, ნუთუ თქვენი ნიავის ქროლვა არაოდეს გააგრილებს ჩემს ანთებულ გულს? იტირე ჩემთან ერთად, ბუნებავ! არაოდეს დამიბრუნდება... გაქრენ, წარვიდნენ სამარადისოდ... (შვიცვრს ქულით მოაქვს წყალი).

**შვაიცერ**. დალიე. მეთაურო, წყალი საკმარისად არის, ცივია, როგორც ყინვა.

**შვარც**. შენ სისხლით მოსვრილხარ, რა დაგემართა?

**შვაიცერ**. სულელო, კინალამ ამის გამო ორივე ფეხი მოვიტეხე... მივიდიოდი მდინარის ნაპირ-ნაპირ ქვებიან ბორცვზე. ბახს და ჩაზვავდა ნაპირი— ჩავექანე ძირს ათი ფუტის სიმაღლიდან. როცა გონს მოველ, ვნახე წმინდა წყარო, ავავსე ქული და მეთაურს წაწოვჯღღე, ვთქვი, ანხელად ეს ეყოფა-მეთქი.



კოსინსკი. ჯარისკაცად წამიყვანეს. თან ამეკვიატა უბედურება. ჩვენი ხომალდი ინდოეთის სანაპიროზე კლდეს დაეჯახა და მას შემდეგ მხოლოდ უბედურებასთან მაქვს საქმე. ბოლოს მესმოდა მხოლოდ თქვენი ამბები გამარჯვების, მკვლელობის, ხანძრის გაჩენისა, — როგორც ისინი ნათლად დნენ ამ ამბებს, — მოველ აქ თქვენთან შორეული გზიდან მტკიცე გადაწყვეტით, რათა მივიღო თქვენი მეთაურობა, უკეთუ თქვენ აძას მოისურვებთ. გთხოვთ, მეთაურო, უარს ნუ მეტყვიან!

შვაიცერ. ვაშა! ვაშა! ამრიგად როლერის დანაკლისი შეივსო ერთიორად! ეს უთუოდ ნამდვილი თავზეხელალებული ყმაწვილი იქნება ჩვენს გუნდში.

მოორ. შენი სახელი?

კოსინსკი. კოსინსკი.

მოორ. როგორ! კოსინსკი? იცი თუ არა, რომ შენ, მოუფიქრებელი ყმაწვილო, ეთამაშები ცხოვრების სახითათო ნაბიჯს, როგორც თავქარიანი ქილიშვილი... შენ ნუ გგონია ეს იყოს ბურთის თამაში.

კოსინსკი. მესმის, რასაც მეუბნები. მე ოცდაოთხი წლისა ვარ, მაგრამ მე მნახველი ვარ ხმალთა პრიალისა და გამომიციდია, როგორ ზუზუნებდა ტყვია ჩემს გარშემო.

მოორ. მაშ ასეა, ყმაწვილო! ხმალში მიტომ ივარჯიშე, რომ აკუწო ღარიბი მგზავრი, მიპარვით თავს დაეცე უნწეო დედაკაცს?.. წადი! წადი! შენ, ალბათ, ძიძას გამოიქეცე, რაკი დაგემუქრა გაგასილაქებო!

შპიგელზერგი. რას ჰგავს ეს, დალაზეროს ეშმაკმა, რას ფიქრობ, მეთაურო? ნუთუ უკან გინდა დააბრუნო ეს ჰერკულესი? განა მას ისეთი გამომეტყველება არა აქვს, თითქოს

ლამობებს საქსონიის მარშალს კუდიტ ქვა ასროლიოს და განგის იქით გადაჰკარგოს?

**შოთრ.** იმიტომ, რომ შენ ხელი არ წაგემართა რაღაც უბრალო სისულელეზე, მოხველ აქ და გინდა გახდე არამზადა და მკვლელი? მკვლელობა, ყმაწვილო, იცი რას ნიშნავს ეს სიტყვა?

**კოხინსკი.** ყოველ მკვლელობაზე ვაგებ პასუხს, რომელსაც კი მიბრძანებს მეთაური.

**შოთრ.** მართლა? აი, თურმე რარიგ ქვიანი ყოფილხარ! შენ ფიქრობ მლიქვნელობით კაცის გული მოიგო. რატომ გგონია, მე არ ვხედავდე ბოროტ სიზმრებს და არ ვაფეთრდები სიკვდილის დანახვაზე? განა იმდენი რა გაქვს გაკეთებული, რაც გაკისრებდეს პასუხისმგებლობას?

**კოხინსკი.** მართალი გითხრა, ძალიან მცირე, მაგრამ შენი გზის ძიება, პატივცემულო გრაფო..

**შოთრ.** შენმა აღმზრდელმა ხელში რომინ გუდის ისტორია ხომ არ მოგცა? იმგვარ გააფრთხილებელი პიროვნების გაკიცხვა მართებული იქნებოდა, იმან მოხიბლა შენი ბავშვური ფანტაზია და შთაგაგონა გახდე დიდი ადამიანი. პატივი და სახელი აბრუებს შენს უმწიფარ გონებას. ავაზაკობით გინდა მოიპოვო უკუდავება? ეს კარგად დაიხსომე, პატივმოყვარე ყმაწვილო! ყაჩაღისთვის დაფნის გვირგვინი არსად მზადდება. ბანდიტების გამარჯვებას ზემით არ ხვდებიან— მათი ხედრია წყეკლა და შეჩვენება, საფრთხე, განსაცდელი, სიკვდილი და შერცხვენა. ხედავ სახრჩობელას აი იმ გორაკზე?

**შპიგელზერგ** (უკმაყოფილოდ გაივლ-გამოივლის). რა ხეპრულად იქცევა! რარიგ უმსგავსოდ, სულელურად! ასე არ შეიძლება! მე სულ სხვანაირად მოვიქცეოდი.

**კოხინსკი.** კაცს სხვა რაღა შეაშინებს, თუ სიკვდილისა არ ეშინია?

**მოორ.** კარგად მიპასუხე! შეუღარებლად! სანაქებოდ გაგიზეპირებია სენეკას ლექსები. მაგრამ, მეგობარო, მაგით ვერ დააამებ ადამიანის ტანჯულ ბუნებას. კარგად იფიქრე, შეილო ჩემო, ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდე. (ხელს ხელში მოჰკიდებს). იფიქრე, გირჩევ, როგორც ურჩევს მამა თავის შეილს. ჯერ გაზომე უფსკრულის სიღრმე და მერე ჩახტი. იქნებ შემდეგ გონს მოხვიდე, მაგრამ უკვე გვიან იქნება. შენ აქ კაცობრიობის წრიდან ამოვარდნილი იქნები. შენ ან უნდა ამალღდე ადამიანებზე, ან გადაიქცე ალქაჯად! ერთხელ კიდევ, შეილო ჩემო! თუკი საღმე ოდნავი იმედის შუქი გიბეუტავს, თავი ანებე ჩვენთან საშინელ კავშირს... გამიგონე, წადი, გაგვეცალე!

**კოხინსკი.** არა! ვერ გაგეცლებით. თუ ჩემი თხოვნა შენს გულს არ ხვდება, მაშ მოისმინე ჩემი უბედურების ამბავი. მაშინ შენ თვითონ გამომიწვდი ხანჯალს სამოქმედოდ.

**მოორ.** თქვი, მოგისმენ!

**კოხინსკი.** მე გახლავარ ჩეხი აზნაური. ადრე გარდამეცვალა მამა და მე გადმომეცა დიდი მემკვიდრეობა. ჩემი სამყოფელი იყო სამოთხის შესადარი, რადგან იქვე ცხოვრობდა ანგელოზი—ერთი ქალიშვილი, აღსავსე ყოველგვარი სათნოებით და ისეთი წმინდა, როგორც ცის ლაქვარდი. თუმცა მე ამას ვის ვეუბნები, თქვენ არაოდეს არც გყვარებით, და არც ვისმეს ჰყვარებიხართ.

**შვაიცერ.** გაჩუმდი, ხედავ, ჩვენი მეთაური ცეცხლივით აენთო!

**მოორ.** ნურაფერს მეტყვი! სხვა დროს მოგისმენ... ხვალ... ან უფრო ადრე. როცა სისხლს ვნახავ...

**კოსინსკი.** სისხლს! სისხლს!.. ბოლომდე მომისმინე... სისხლი მოგაწვება და სუნთქვას შეგიკრავს. ის ქალი მდაბიო წარმოშობისა იყო, გერმანელი, მაგრამ მისი გარეგნული სიტურფე ავიწყებდა წოდებრივ ცრუ შეხედულებას. მან ჩემგან მოკრძალებით მიიღო ნიშნობის ბეჭადი და ერთი დღის შემდეგ ჯვარი უნდა დამეწერა ჩემს ამალიაზე. (მოორი უცბად წამოდგა). ამ ბედნიერების მოლოდინში ვიყავ, რომ მივიღე ბრძანება, რათა მეფის კარზე გამოვცხადებულიყავ. მე გამოვცხადდი. მიჩვენეს რაღაც წერილები, ბოროტ განზრახვით შეთხზულნი, თითქოს ის წერილები მე დამეწეროს. მე გავცეცხლდი ასეთი ცილისწამების გამო. შემომხსნეს ხმალი და ჩამსვეს ციხეში. გონებაზე აღარ ვიყავ...

**შვაიცერ.** და ამ ხნის განმავლობაში... განაგრძე... ვიცი, რა სუნიც უდის.

**კოსინსკი.** ციხეში ერთი თვე მამყოფეს. მე ამალიას ბედი მაწუხებდა. ბოლოს მინახულა კარის მინისტრმა, მომესალმა, ტკბილი საუბარი გამიმართა და ბოდიში მოიხადა, რომ უდანაშაულოდ ვიყავ დასჯილი. წამიკითხა ბრძანება, რომ მე თავისუფლება მენიჭებოდა და ხმალიც დამიბრუნა. აღტაცებული წამოველ ჩემს ბინაზე, ვისწრაფი ვნახო ჩემი ამალია და გულში ჩაეკრა. მაგრამ სად არის ამალია? იგი ცამ ჩაყლაპა. თურმე შეუღამისას წაეყვანათ, სად? არავინ იცოდა. და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს. თავში აზრმა გამიელვა. უმალ ქალაქისკენ გავეშურე. მოვიკითხე სასახლეში. ყველანი გაშტერებით მიცქერდნენ, მაგრამ არაფერს მეუბნებოდნენ. ბოლოს ვნახე პატიმრად რკინის მოაჯირის იქით... მოახერხა წერილის გადმოცემა.

შვაიცერ. ხომ ვთქვი, მივხვდი-მეთქი.

კოხინსკი. წყევლა და კრულვა! შევიტყვე იმ წერილით, წინა-  
დადება მიეცათ აერჩია ან ჩემი სიკვდილი, ან თავადის  
საყვარლად ყოფნა. მან გასწირა თავისი პატიოსნება, ხოლო  
მე (ივინის) სიცოცხლე შემიწარჩუნა.

შვაიცერ. მერე, შენ რა ჰქენ?

კოხინსკი. თავზარი დამეცა. გავქვავედი. სისხლი!—იყო ჩემი  
პირველი აზრის გაელვება. სისხლი!—იყო ჩემი უკანასკ-  
ნელი აზრი. გაშმაგებული მიველ სახლში. ამოვარჩიე  
სამხაზიანი ხმალი და გავეშურე მინისტრის ბინისკენ, რად-  
გან ის წყეული იყო მაქანკალი. ალბათ, ქუჩაშივე შემნიშ-  
ნეს, რადგან, როცა შეველ, ყველა კარი დაკეტილი დამხე-  
და. ვეძებ, ვეკითხები, მეუბნებიან: თავადთან წავიდაო.  
პირდაპირ იქით გავწიე. იქ მეუბნებიან: არ გვინახავსო.  
უკან ვბრუნდები. შევამტვრიე კარი. ენახე ის, და ის იყო  
უნდა... მაგრამ ჩასაფრებულნი მეცნენ ხუთნი თუ ექვსნი  
და ხმალი წამგლიჯეს.

შვაიცერ (ფეხებს უბრაგუნებს). მას ვერაფერი დააკელ, წამოხველ  
ხელცარიელი?

კოხინსკი. შემიპყრეს. და როგორც ბოროტგანმხრახველი მიმ-  
ცეს საპართალში. გამასამართლეს და სამარცხვინო—ამას  
დაუკვირდით—სამარცხვინო გაძევება მომისაჯეს განსაკუთ-  
რებული წყალობის ნიშნად. ჩემი ქონება მინისტრს დარჩა,  
ჩემი ამალია მტარვალს. ის გლოვობს თავის დაღუპულ  
ცხოვრებას, ხოლო ჩემი შურისძიება დამრჩა უშედეგოდ  
და ჩედმოხრილი მტარვალის წინაშე.

შვაიცერ (წაშოღვა და ლესავს თავის ხმალს). მეთაურო, ამას ჩვენ  
უნდა გავცეთ პასუხი! ეს უკვე ჩენი საქმეა! მოუხდება  
ცეცხლის წაკიდება.

ზოორ (აქამდე აღელოვებული მიდი-მოდიოდა, უცბად უაჩალებს უახლოვდება)-  
ამალია მე უნდა ვნახო. წამოდექით! შენ ჩვენი ხარ, კო-  
სინსკი! აბა, მოემზადენით! ჩქარა!

უაჩალებო. საით? რას გვიბრძანებ?

ზოორ. საით? ვინ კითხულობს: საით? (შვაციერს მრისხანედ) მო-  
ლალატევ! შენ გინდა შემაჩერო? ვერა!.. ვფიცავ ზეტას...

შვაციერ. მე ვარ მოლალატე? გამიძებ ჯოჯოხეთში, მეც შენ-  
თან ვარ!

ზოორ (ეხვევა უელზე). ძმაო! შენ არ მიზტყუნებ. ის ტირის...  
ის გლოვობს თავის დაღუპულ ცხოვრებას... გავწიოთ!  
ჩქარა! ფრანკონიისკენ... ერთ კვირაში იქ უნდა ვიყოთ-  
(გაღიან).

## მეოთხე მოქმედება

სურათი პირველი

ხოფლის მიდამო მორის სასახლის მახლობლად

კარლ და კოსინსკი

**კარლ.** დაწინაურდი და ჩემს შესახებ მოახსენე. ხომ გახსოვს ყველაფერი, რაც უნდა უთხრა?

**კოსინსკი.** თქვენ ბრძანდებით გრაფი ფონ ბრანდი. მოემგზავრებით მეკლენბურგიდან. მე ვარ თქვენი მხლებელი—მეჯინიბე. ნუ გეფიქრებათ, ჩემს როლს კარგად გავითამაშებ. ნახვამდის! (გაღის).

**კარლ.** სალამი შენ და მშობლიურო მხარეე! (მიწას ეამბორება). მშობლიურო ცაო! მშობლიურო მზეო! მინდვრებო, ბორცვებო, წყაროებო და ტყეო, თქვენ ყველას ჩემი გულითადი სალამი! რა საამოა ჰაერი, მონაბერი ჩემი ქვეყნიდან! რა სურნელებას აფრქვევთ, რათა თქვენგან გაქცეულს მოაგებოთ! ეს არის ელიზიუმი! პოეტის სამოთხე. შეჩერდი, მორი! აწ შეღიხარ შენს წმინდა ტაძარში.

აი, მერცხლების ბუდეები სასახლის ეზოში. აი, ბალის კიშკარი. აი, ის კუთხე მოაჯირთან, სადაც ბუს ვდარაჯობდი და მის ძახილს ვბაძავდი. იქ დაბლა კი პატარა ველია, სადაც მე, ვითომ ალექსანდრე მაკედონელს, ჯარი გადამყავდა არბელასთან საბრძოლველად, იქვე გვერდით კი ბალახ-ბულახით შემოსილი ბორცვია, საიდანაც უკუ-

აქცოე სპარსელი სატრაპი და შენი გამარჯვებული დროშა მალა აღიმართა. (ილიება) ბრწყინვალე ბავშვობის დღენი კვლავ აღმედრნენ უბედურს გულში. თავო ჩემო, შენ იმ დროს რაოდენ ბედნიერი იყავ და უსაზღვროდ, უსაზღვროდ მხიარული!... ახლა კი—აი, შენს წინ გართხმულა იმედის ნამსხვრევები. ბოლოს შენ აქ უნდა გეცხოვრა, სახელოვან და ძღვეამოსილ ადამიანს, შენ აქ უნდა ხელახლა განგეცადა შენი ახალგაზრდობა ამალიას მშვენიერ ბავშვებში... აქ უნდა ყოფილიყავ სათაყვანებელი შენი ხალხისთვის. მაგრამ ეს ცბიერმა ეშმამ არ ისურვა. (წაშოვარდება). მე აქ რისთვის მოველ? მისთვის, რომ განვიცადო ის, რასაც განიცდის პატიმარი, როდესაც ჯაჭვის ჩხარუნი უკრთობს თავისუფლების სიზმარს? არა! მე ისევ უკან უნდა დავბრუნდე ჩემს უბედურებასთან! პატიმარს დამავეწყდა ამქვეყნიურობისა, მაგრამ თავისუფლების ნაპერწკალი კვლავ გაჭკრავს ხოლმე, როგორც ელვა ბნელით მოცულ ღამეში, მაგრამ ღამე უფრო მოიცვა წყყვილადმა... მშვიდობით, ნაცნობო ველ მიხნდვრებო! ოდესღაც თქვენ ხედავდით ბავშვს კარლსა და ეს ბავშვი იყო ბედნიერი. ახლა ნახეთ გაზრდილი ვაჟკაცი და ეს ვაჟკაცი უბედური და იმედგაცრუებულია. (სწრაფად გამოტრიალდება და მიღის სიღრმისკენ, მაგრამ უცბად შეჩერდება და ნაღვლიანად უცქერს სასახლეს). ნუთუ არ უნდა ვნახო და ერთხელ მაინც თვალი არ გადავკრა? მხოლოდ ერთი კედელი გვაშორებს მე და ამალიას. არა, მე უნდა ვნახო ამალიაც, უნდა ვნახო ისიც, თუნდაც მე ამ ნახვამ სამუდამოდ დამამხოს.

მამაჩემო! შენი შვილი გიახლოვდება! შორს ჩემგან სისხლის აღრევა-აღელვებავ! შორს ჩემგან მომაკვდავთა თვა-

ლების კრთომავ! მხოლოდ ანუამად მანყოფე მოსვენებით! ამალია! მამაჩემო! ახლოა თქვენი კარლი! (სასახლოქენ სწრაფად გაეშურება). მაწამე, როდესაც ხვალინდელი დღე გამითენდეს, ნუ განმეშორები, როდესაც ხვალინდელი დღე დამილამდეს და მაწამე, თუგრნდ სიზმრებში ვიყო. მხოლოდ ნუ მომიშხამავ ამ ერთადერთ სიხარულს. (ჭიშკართან შეჩერება) რა მემართება! რა მოგდის, მოორ? იყავ ვაეკაცი... მომაკვდინებელი შიში... საზარელი წინაგრძნობა!.. (შეღის).

სურათი მუთრე

ხახახლის ვალერეა

უჩალი მოორ. ამალია შემოდის

ამალია. მაშ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ამ ნახატთა შორის იცნობთ მის სურათს?

მოორ. ო, რასაკვირვილია! მისი სახე ჩემში ცოცხლად აღბეჭდილია. (სურათებს ჩაუკლის) ეს იგი არ არის.

ამალია. მართალს ბრძანებთ. იგი გრაფის ოჯახის წინაპარია, რომელმაც ბარბაროსასაგან მიიღო აზნაურობა და რომელმაც გაილაშქრა ზღვის მეკობრეების წინააღმდეგ.

მოორ (კვლავ სურათთან დგას). იგი არც ეს არის, არც ეს, არც ის სურათია... ის აქ არ არის.

ამალია. როგორ? კარგად დაათვალიერეთ! მე მეგონა, თქვენ მას იცნობდით.

მოორ. მამაჩემს მასზე ნაკლებ არ ვიცნობდი. მას ღიმილი აქლია ბაგესთან, რის მეოხებით შეიძლებოდა მისი ცნობა, თუნდ ათასი ასეთი სურათიც ყოფილიყო. ეს იგი არ არის.

ამალია. დიდად მაკვირვებთ! როგორ, თვრამეტი წელიწადი  
თქვენ იგი არ გინახავთ და მაინც...

მოდრ (სახეზე სიწითლემ დაჭკრა). აი, ეს, ივია!.. (ღვას თავზარ-  
დაცემული).

ამალია. საუკეთესო ადამიანი!

მოდრ. მამავ! მამავ! მაპატიე! დიახ, საუკეთესო ადამიანი!  
(ცრემლებს იწმენდს) ღვთაებრივი ადამიანი!

ამალია. თქვენში მისი გახსენება დიდ თანაგრძნობას იწვევს.

მოდრ. ო, საუკეთესო ადამიანი... ცოცხალი აღარ არის?

ამალია. აღარ არის! კვდება ჩვენი საუკეთესო სიხარული.  
(ნელა შეეხება მის ხელს) ძვირფასო გრაფ, ცის ქვეშ არ  
არსებობს ბედნიერება!

მოდრ. მართალს ბრძანებთ, სრულიად მართალს... მაგრამ თქვენ  
ეგ თქვენს თავზე გამოსცადეთ? თქვენ ჯერ ოცდასამი  
წლისაც არ იქნებით.

ამალია. ჩემს თავზე გამოცადე. ყველაფერი იმიტომ ცხოვ-  
რობს, რომ ბოლოს უნუგეშოდ შთაინთქას. ჩვენ იმიტომ  
ვიძინთ, რომ შემდეგ გულისმწუხარებით ისევ დაგკარგოთ.

მოდრ. განა თქვენ დაჰკარგეთ რამე?

ამალია. არაფერი! ყველაფერი! არაფერია... გრაფ, ქვევით გან-  
ვაგრძოთ გზა!

მოდრ. ასე მალე დავშორდებ? ვისი სურათია იქ, მარცხნივ? მე  
ვგონებ, უბედური სახის პატრონია.

ამალია. ეგ მარცხნით—გრაფის შვილია, დღევანდელი ბატონ-  
პატრონი. წავიდეთ, გავშორდეთ..

მოდრ. მაგრამ აგერ, ის, მარჯვნივ?

ამალია. თქვენ არ გსურთ ბალში გამოისეირნოთ?

მოდრ. მაგრამ ის სურათი, მარჯვნივ?.. შენ ტირი, ამალია?

7. ფ. შილერი

(ამალია სწრაფად გაღის). მას მე ვუყვარვარ! მას მე ვუყვარვარ! მისი არსება ლელვამ შეიპყრო, ცრემლი გამცემლურად დაწვებზე გადმოედინა! მას მე ვუყვარვარ! უბედურო, განა შენ ამას იმსახურებ? განა მე აქ ისე არ ვდგავარ, როგორც დასჯილი სახრჩობელას წინ? განა ეს ის დივანი არ არის, სადაც მე ვტკბებოდი მისი ამბოროთ? განა ეს დარბაზი ჩემი მშობლიური დარბაზი არ არის? (აღღვებული უუქერს მამის პორტრეტს) შენ... შენ... შენს თვალთაგან ცეცხლი გამოკრთის... წყევლა და კრულვა. სად ვიმყოფები? თვალთ მიბნელებდა... საშინელებაა, ღმერთო! მე მოვკალ იგი? (გარბის).

ფრანც ფონ მოორ (შეჰოლის ღრმად ჩაფიქრებული). შორს ჩემგან მისი სახე! განიშორე, მშიშარა დიაცო! ვისი გეშინია, ან ვის წინაშე კრთი? ამ მოკლე დროში, რაც ის გრაფი აქ მოვიდა, ასე მგონია, თითქოს კვალდაკვალ ჯაშუში ამედევნა. ასე მგონია, თითქოს მე მას ვიცნობდე. მის გარუჯულ სახეში გამოჩანს რაღაც დიდებული იერი, კარგად ნაცნობი, რაიც მე შიშის ზარს მცემს. ხოლო ამალია არ არის მისდამი უგულოდ მყოფი. ისერიგად უცქერს, ისერიგად ვნებით აღსავსე თვალებს მიაპყრობს, რასაც სხვას არ აღიროსებს და ძუნწობს. ჰკონიათ მე ვერ შევნიშნე, ღვინის ჭიქაში ცრემლები ჩაუცვივდა და ისე სწრაფად დალია ჩემგან ფარულად, თითქოს ჭიქაც კი უნდოდა თან ჩაეყოლებინა. დიახ, მე ეს დავინახე სარკეში ჩემი საკუთარი თვალით. ფრანც, ფრთხილად იყავ! აქ რაღაც საზარელი და უცნაური ამბავი ხდება, რასაც უთუოდ საბედისწერო შედეგად მოჰყვება! (უუქერს კარლის სურათს) მისი ყოლყელა კისერი... მისი მგზნებარე შავი თვალები! ჰმ! მისი შეკმუხვნილი წარ-

ბები... (შეუჩქოლა) ჯოჯოხეთო, შენ აღმიძრავ ამ ექვებს? იგი კარლია! ჩემს წინაშე ცოცხლდება მისი სახე! ეგ არის ის! მიუხედავად იმისა, რომ ნიღაბს ატარებს, ეგ ის არის. წყევლა და სიკვდილი! (აღღვებული დაღის აქეთ იქით) ნუთუ მისთვის შევძარ ცა და ხმელეთი, მისთვის ავმხედრდი ადამიანურ ალღოთა წინააღმდეგ, რომ ბოლოს ჩემს ლაბირინტში შემოკრილიყო ვიღაც დაუპატიებელი მაწანწალა? ფრთხილად, მხოლოდ ფრთხილად! იოლი საქმე დამრჩენია. მე ხომ ისედაც ჩაფლული ვარ ცოდვათა მორევში, უაზრობა იქნება უკან დახევა! არავითარი ფიქრი უკან დასახევად! ამიტომ გასწი წინ, როგორც შეფერის გამბედავ ვაეკაცს! (ზარს რეკავს). დაე მამის სულს დაეწიოს.... მე მკვდრებს მასხარად ვიგდებ... დანიელ! ჰეი დანიელ! უთუოდ დანიელიც მოისყიდეს და ჩემს წინააღმდეგ აამხედრეს. მას რალაც იღუმალი გამომეტყველება ეხატება სახეზე. (შეშოდის დანიელ).

**დანიელ.** რას მიბრძანებ, ბატონო ჩემო?

**ფრანც.** არაფერს. წადი ამივსე ჭიქა ღვინით, სასწრაფოდ! (დანიელ გაღის). მაცალე, მოხუცო! მე შენ მოგატან მახეში! თვალყურს გადევნებ და შენი უწმინდური სინდისი სახეს გაგიფითრებს! ის უნდა მოკვდეს! იგი სულელია, ვინც საქმეს ნახევრამდე მიიყვანს, მერე თავს ანებებს და ელოდება, თუ რა ნაყოფს გამოიღებს. (შეშოდის დანიელ ღვინით). აქ დადგი! აბა, მიცქირე პირდაპირ თვალეებში! როგორ იხრები მუხლებში? რატომ კანკალებ? გამოტყდი, ბებერო! რა განგიზრახავს?

**დანიელ.** არაფერი, მოწყალეო ბატონო, ჩემს სულსა და ღმერთს გეფიცებით.

ფრანც. ვერ გაგიბეღია? რყევაში ხარ? თქვი, რა ჩაპყარე ამ ღვინოში?

დანიელ. ღმერთო, დამიფარე! როგორ? მე ღვინოში?

ფრანც. შენ ამ ღვინოში შხამი ჩაყარე. ხედავ, როგორ გაფით-  
რდი! გამოტყდი! გამოტყდი! ვინ მოგცა შხამი? გრაფმა  
განა, იმ გრაფმა!?

დანიელ. გრაფმა? იესო მაცხოვარო! გრაფს ჩემთვის არაფერი  
მოუცია!

ფრანც (განრისხებული სტყეებს ხელს). მიგაღრძობ, ცრუ ბებერო!  
არაფერი? მაშ ერდად რას აკეთებდით ის, შენ და ამალია?  
ერთად რას ჩურჩულებდით? თქვი! რა საიდუმლო მოგანდო?

დანიელ. ღმერთმა ხომ იცის, მას ჩემთვის არავითარი საიდუმ-  
ლო არ მოუნდვია!

ფრანც. უარპყოფ კიდევ? რა ვერაგული გეგზები შეიმუშავეთ,  
რომ მე ბოლო მომიღოთ? დამახჩოთ ნამძინარევი? სამარ-  
თებლით ყელი გამომქრათ? ღვინოში ან შოკოლადში შხამი  
შემომპაროთ? ან იქნებ წვნიანში? გამოტყდი! მე ვიცო  
ყველაფერი!

დანიელ. ღმერთმა გაქირვებაში ხელი ნუ მომიმართოს, თუ მე  
სიმართლეს არ გეუბნებოდე...

ფრანც. ამხელად მიპატიებია შენთვის! მაგრამ, გამიგონე, მან  
ალბათ, ფული გაჩუქა, არა? ხელი ჩამოგართვა პატივისცე-  
მით, როგორც ეს მიღებულია გულის მოსაგებად, როგორც  
ძველს ნაცნობს...

დანიელ. არაფერი მაგის მსგავსი რამ, ბატონო!

ფრანც. განა არ გეუბნებოდა, მაგალითად იმას, რომ ძველი  
ნაცნობი ხარ... რომ შენც მას კარგად იცნობდი... რომ  
შენ, ერთხელაც არის, თვალიდან ბინდი გადაგეცლება...  
და რომ... თქვი, ამისთანა რამეს არ გეუბნებოდა?

დანიელ. არა, ბატონო.

ფრანც. რომ ზოგიერთი გარემოება მას იძულებულს ხდის...  
რომ სკირდება ნიღაბში ყოფნა, რათა მტერს დაუახლოვ-  
დეს, რომ მას სურს სასტიკი შური იძიოს...

დანიელ. სულ არ ყოფილა მაგნაირი ლაპარაკი...

ფრანც. როგორ? სულ არ ყოფილა? აბა გაიხსენე კარგად.  
რომ ის კარგად იცნობდა მოხუც გრაფს... რომ უყვარდა,  
როგორც შვილს...

დანიელ. რაღაც მაგდაგვარი, მაგონდება, მისგან გავიგონე...

ფრანც (კაჟიორდა). გაიგონე? ხომ მართლა გაიგონე? მითხარ,  
როგორ გაიგონე? თქვა, რომ ის ჩემი ძმა არის?

დანიელ (ზარდაცემული). რა, ბატონო? არა, ეგ არ უთქვას.  
მაგრამ როცა ამალიამ გალერეაში გაატარა, იქ მე ამ  
დროს სურათებიდან მტვერს ვწმენდდი, ის ზარდაცემუ-  
ლი შეჩერდა განსვენებული გრაფის სურათთან, ასულმა  
სურათზე მიუთითა და უთხრა: „უპატიოსნესი ადამიანიო“.  
„მართალიაო“, უპასუხა მან და აცრემლებული თვალები  
მოიწმინდა.

ფრანც. გამიგონე, დანიელ! იცი, რომ მე შენთვის კეთილი  
და მოწყალე ბატონი ვარ. მე შენ გასაზრდობედი, გაც-  
მევედი და მძიმე საქმისგან განთავისუფლებედი, რადგან  
სუსტი და მოხუცი იყავ...

დანიელ. ღმერთმა ორმაგად გადაგიხადოს, მეც მუდამ პატი-  
ოსნად გემსახურებოდით.

ფრანც. აი, სწორედ ეგ მინდოდა შეთქვა. ცხოვრებაში შენ  
ჩემთვის წინააღმდეგობა არ გაგიწევია, რადგან შენ კარგად  
იცი, რომ მოვალე ხარ მე გამიგონო და რაც გიბრძანო,  
შემისრულო.

დანიელ. ყველაფერს სულით და გულით, თუ არ ეწინააღმდეგება ღმერთსა და ჩემს სინდისს.

ფრანც. სისულელეა, სისულელე! არ გრცხვენია? კაცი დაბერებულხარ და მაგისტანა ზღაპრებისა გჯერა! არ შეგფერის დანიელ! ეგ იყო ძველი სისულელე! მე ხომ შენი ბატონი ვარ! მე დამსჯის ღმერთიც და სინდისიც, თუკი არსებობს ან ღმერთი, ან სინდისი!

დანიელ (ხელები გასავსავა). ღმერთმა დაგვიფაროს...

ფრანც. თუ შენ მართლა ჩემი მორჩილი ხარ, კარგად დაუკვირდი ჩემს სიტყვას, გავალებ და გიბრძანებ ამ მორჩილების სახელით: ხვალ ის გრაფი ცოცხალი აღარ უნდა იყოს!

დანიელ. ჯვარიმც გვწერია... რატომ?

ფრანც. იმიტომ, რომ შენმა ბრმა მორჩილებამ ეს უნდა შეასრულოს და მე შენზე ვამყარებ იმედს.

დანიელ. ჩემზე? ღვთისმშობელო... ჩემზე? მე მოხუცა ცუდი რა ჩავიდინე?

ფრანც. აქ დიდი ფიქრი არ არის საჭირო. შენი ბედი ჩემს ხელშია! გინდა ჯურღმულში დალიო დღენი, სადაც შიმშილით შენს ძვლებს დაუწყებ ღრღნას, ხოლო წყურვილს მოიკლავ შენი საკუთარი შარდით? არ გინდა სიბერის დროს მყუდროდ იცხოვრო და კეთილ ლუკმას შეექცეოდე?

დანიელ. ეგ როგორ, ბატონო? მყუდროება კაცის მკვლელისთვის?

ფრანც. შენ მე კითხვაზე მიპასუხე!

დანიელ. ჩემი ჭაღარა, ჩემი ჭაღარა!

ფრანც. ჰო თუ არა?

დანიელ. არა! ღმერთო, შენ მიშველე!..

ფრანც (წასვლას აპირებს). მაშ კარგი... შენთვის მართლა საკი-  
რო იქნება... (ღანოელ აჩერებს და მის წინ მუხლებზე დაეცემა).  
ღანოელ. შემობრალე, ბატონო, შემობრალე!

ფრანც. ჰო თუ არა?

ღანოელ. მოწყალეო ბატონო! სამოცდათერთმეტი წლის შეე-  
სრულდი, დედათქვენს და მამათქვენს პატივისცემით ვე-  
პყრობოდი, ისინი მე გროშის ოდენაზედაც არ მომიტყუე-  
ბია. სარწმუნოებაც მტკიცე მქონდა. თქვენს სახლში ორ-  
მოცდაათი წელიწადი ვიმსახურე და ახლა ვეძებ მყუდრო  
განსვენებას. (მუხლებზე ეხვევა მხურვალედ) თქვენ გინდათ წა-  
მართვად უკანასკნელი ნუგეში, გინდათ რომ სინდისი და-  
მიმძიმოთ და სულის ამოხდის დროს ლოცვა ველარ წარ-  
მოვთქვა. გინდათ, რომ იმ საიქიოს ღვთისა და ადამიანის  
წინაშე წარვდგე ბოროტმოქმედად. არა! არა! ჩემო ძვირფა-  
სო ბატონო! ეს თქვენი სურვილი არ არის, ამას თქვენ არ  
მოითხოვთ სამოცდაათი წლის მოხუცისგან.

ფრანც. ჰო თუ არა? რა საჭიროა მაგდენი ყბედობა?

ღანოელ. მე თქვენ უფრო ერთგულად გეჩსახურებით, ვიმუშა-  
ვებ უკანასკნელ შეძლებამდე, როგორც დაქირავებული,  
ავდგები ადრე, დავწვები გვიან. ო, მე თქვენთვის ვილო-  
ცებ დილით და საღამოს ეამს. ღმერთი შეისმენს მოხუცის  
ლოცვას...

ფრანც. მორჩილება აღემატება ლოცვასაც და მარხულობასაც.  
განა როდისმე გსმენია, რომ ჯალათი უკუიხევდეს, როდე-  
საც მან განაჩენი უნდა მოიყვანოს სისრულეში?

ღანოელ. ო, დიახ, ეგ ასე გახლავს... მაგრამ უდანაშაულოს  
მოკვლა... ისეთისა...

ფრანც. განა მე შენ ანგარიშს უნდა გაბარებდე? განა ჯალათს

ნაჯახი ეკითხება, რატომ ასეა და არა ისეო? მაგრამ ხედავ, მე რამდენად სულგრძელი ვარ, მე შენ ჯილდოს გპირდები იმის გამო, რაზედაც შენ ფიცით ხარ მოვალე.

დანიელ. მაგრამ მე როცა ფიცს გაძლევდი, მეგონა შემეძლო ქრისტიანად დავრჩენილიყავ.

ფრანც. ნუ შეკამათები! ვადად მთელ დღეს გაძლევ! იფიქრე კიდევ! ბედნიერება თუ უბედურება — ხომ გესმის? უდიდესი ბედნიერება თუ უკიდურესი უბედურება! შეგიჩივებ ჯერ არნახულ წამებას.

დანიელ (ფიქრის შუქვით). მე მაგას შევძლებ... ხვალ შევასრულებ. (გაღის).

ფრანც. ცთუნება დიდი ხედა, მაგრამ არ დაბადებულა, რომ იყოს წამებული თავისი რწმენისთვის. კეთილად შეგერგოს, პატივცემულო გრაფ. ალბათ, ხვალ სალამოს საიქიოს გაემგზავრები! მთელი სიმძიმე იმაშია, თუ იმ საქმეს რა თვალთ უცქერ. სულელია ის, ვინც ასეთ მოქმედებაში თავის ზარალს ხედავს. მაშამ თუ ზედმეტი ღვინო გადაჰკრა, ღინი აეშლება და აქედან წარმოიშვება ადამიანი. აი ახლა მეც ამეშალა ღინი, მივალრძო ადამიანი. და, რასაკვირველია, ამეშად უფრო მეტი ჰკუთხა და მიზანი ჩანს, ვიდრე მაშინ, როცა ადამიანი პირველად ჩაისახა. განა სიცოცხლე ადამიანთა უმრავლესობისა უმთავრესად არ არის შედეგი ივლისის მცხუნვარე შუადღისა, ლოგინის მიმზიდველობისა, პორიზონტალური პოზისა, როდესაც სამზარეულოს კეკლუცი განისვენებს, ან რომელიმე სანთლის ჩაქრობისა? და თუ კაცის წარმოშობა შედეგია პირუტყვეული ალტკინებისა და შემთხვევისა, მაშინ ამ წარმოშობის მოსპობას რად უნდა ვუცქერდეთ ისე, თითქოს რაიმე მნიშ-

ვნელობა ჰქონდეს? წყეულიმც იყოს ჩვენი ძიძების და გამ-  
 დელების უმეცრება, რომ ბავშვობიდანვე რაღაც სულე-  
 ლური ზღაპრებით სწამლავენ ჩვენს ფანტაზიას და ჩვენს  
 უსუსურ ტვინზე აღბეჭდავენ მეორედ მოსვლის განსჯის  
 სურათებს, რის გამო ადამიანი ცახცახებს მისი წარმოდ-  
 გენის დროს, სისხლი ეყინება, ბორკავს და ხელს უშლის  
 მისი ნების გადაწყვეტილებას და ჩვენს გაღვიძებულ ტვინს  
 აფერხებს რაღაც ცრუმორწმუნეობის წყვილიადით. მკვლე-  
 ლობა! თითქოს მთელი ჯოჯოხეთის ფურიები დაქროდნენ  
 ამ სიტყვის გარშემო! ნამდვილად კი ბუნებამ ერთი კა-  
 ცით ნაკლები წარმოშვა ამქვეყნად. ვთქვათ, დაბადების  
 დროს ჭიპი არ შეუკრეს! ან მამამ ვერ ჩასახა ქორწინების  
 ღამეს! თითქოს სულ ერთი არ იყოს, არ იყო არაფერი და  
 არც რამე დარჩა და არც ღირს არარაობაზე რაიმე ლა-  
 პარაკი. ადამიანი გამოდის ტალახიდან, რამდენიმე ხანს  
 ტალახში ფათურობს, კმნის ტალახს და ისევ ტალახად იქ-  
 ცევა და იქ ლპება, სანამ თავისი წინაპრების ტალახიან  
 ძვლებს არ დაუბრუნდება. აი, აქ თავდება სიმღერაც —  
 ტალახიანი წრე ადამიანის დანიშნულებისა მთავრდება და  
 ამიტომაც — გზა მშვიდობისა, კარგო ძმობილო! წახვალ  
 იმ საიქიოსს (გაღის).

სურათი მესამე

ხვა ოთახი ხახხლემში

დანიელ და ყაჩაღი კარლ მოორი

კარლ (ასწრაფებული). სად არის ფროილაინი?  
 დანიელ. მოწყალეო ბატონო! ნება უბოძე საბრალო ადამიანს  
 გთხოვოს მცირე რამე.

კარლ. კეთილი! რა გინდა?

დანიელ. ეგ მცირე რამე ყველაფერია, ცოტაა, მაგრამ ჩემთვის ბევრია! ნება მიბოძე ვეამბორო თქვენს ხელეზს.

კარლ. რა საჭიროა, კეთილო მოხუცო! (გხვევა) მე შემეძლო თქვენთვის მამა მეწოდებინა!

დანიელ. თქვენი ხელი! თქვენი ხელი! გთხოვთ!

კარლ. ნუ გინდა!

დანიელ. ჩემთვის არის საჭირო! (სტაცებს ხელს, მას უცქერს და მის წინ მუხლებზე დაეცემა) ძვირფასო! საყვარელო კარლ!

კარლ (შეკრთა, შემდეგ თავს დასძლევს და ვიწოთ განცვიფრდება). მე-გობარო, რა მითხარ? მე შენი არ მესმის!

დანიელ. ჰო! ჰო! დამალეთ! თვალთმაქცობა საჭიროა! კეთილი! კეთილი! ჩემთვის მაინც საყვარელი ბატონი ხართ. მადლობა ღმერთს, რომ თქვენ ერთი სიხარული კიდევ მომანიჭეთ! რა სულელი ვარ, რომ უმალვე ვერ გიცანით! ახ, შენ, მეუფეო ზეცათაო! თქვენ დაბრუნდით, ხოლო მოხუცი ბატონი სამარეშია... თქვენ კვლავ აქ ხართ... რა გაოგნებული ხეპრე ვარ (უხლში ხელს ირტყამს), რომ პირველი შეხედვისთანავე... ახ! ბატონო! ამას ვინ იფიქრებდა? ვისთვისაც მე ცრემლმორეული ვლოცულობდი... იესო მაცხოვარო!.. აი, ის ჩემს წინაშე დგას ცოცხალი და ჯანმრთელი ამ ძველ ბინაზე...

კარლ. ეგ ლაპარაკი არ მესმის? სიცხეში ბოდვას ჰგავს. ან იქნებ გინდათ კომედიიდან რომელიმე როლი გაითამაშოთ?

დანიელ. გრცხვენოდეთ! გრცხვენოდეთ! არ არის კარგი, ასე დასცინოთ ძველს მსახურს. აი, ეგ ქრილობის დაღი. ალბათ, ისევ გახსოვთ! მე მუდამ ასერიგად მიყვარდით, და თქვენ კი კინალამ უბედურებაში ჩამაგდეთ. თქვენ მე კალ-

თაში მიჯექით, გახსოვთ? იქ მრგვალ ოთახში, გახსოვთ, გიეო! რასაკვირველია, თქვენ ეს არ დაგავიწყდებოდათ. ან ის გუგული დაგავიწყდათ, თქვენ რომ ასერიგად გიყვარდათ მისი ძახილი? მოიგონეთ, გუგული კი გატეხეთ, ნამსხვრევებად აქციეთ — ბებერმა სუზანამ გატეხა, როცა ოთახს ალაგებდა — და აი, თქვენ კალთაში მიჯექით და დაიძახეთ: „ჰოპ! ჰოპ!“ გავიქეც თქვენი ცხენუკას მოსაყვანად... იესო მაცხოვარო!.. მე ხეპრე, რისთვის გავიქეც? ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა თქვენი ტირილი შემომესმა... უკან გამოვბრუნდი და თითქოს ყინვა გადამასხეს... ყოველთვის ასე ხდება, როცა ბავშვებს ყურადღებას არ აქცევენ... ღმერთო ჩემო... თვალში რომ მოგხვედროდა... მარჯვენა ხელში მოგხვდა. მაშინ ვთქვი, ჩემს სიცოცხლეში ბავშვს ხელში არც დანას მივცემ, არც მაკრატელს, არც წვეტიან რამეს... საბედნიეროდ, სახლში არც ბატონი იყო და არც ქალბატონი... დიახ, დიახ, ვიფიქრე, ჩემს სიცოცხლეში გაკვეთილად გამოდგება მეთქი. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! შესაძლო იყო ადგილი დამეკარგნა... ღმერთმა შეგინდოთ, ურწმუნო ბავშვი იყავით, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა, ნხოლოდ დაგაჩნდა უშველებელი დალი.

**კარლ.** რაც თქვი, ყველაფერი ჩემთვის გაუგებარია!

**დანეელ.** ჰო, როგორ არა! მაგრამ ხომ იყო დრო, რამდენჯერ ჩამიჩრია პირში ნამცხვარი ან ბისკვიტი — მე ხომ თქვენ ყველაზე მეტად მიყვარდით! ის არ გახსოვთ, მე რომ მეუბნებოდი, იქ, საჯინიბოში, როცა მე მოხუცი ბატონის წითურაზე შეგსვი და მინდორზე გაგანავარდე: „დანეელ! — თქვენ მითხარით, — ნახე, გავიზრდები და თქვენ ჩემი მო-

ურავი იქნებით და ჩემთან ერთად კარეტით ისეირნებთო!“. მე გიპასუხეთ, — ჰო, თუ დამცალდა, თუ მოხუცი მიკადრეთ, მაშინ მე გთხოვდით, სოფელში ჩემთვის ერთი ოთახი მოგეწყით. მე ოციოდე ჩაფ ღვინოს ვიყიდი და სიბერის დროს მიკიტნის ხელობას დავადგები-მეთქი! — გაიცინეთ, გაიცინეთ! ჩემო ახალგაზრდა ბატონო, ეს ყველაფერი დაგავიწყდათ? მოხუცი ვილას რად სჭირდება, ყველა ივიწყებს! თქვენ მაინც ჩემთვის საყვარელი, ოქროს ბატონი ხართ! რასაკვირველია, თქვენ ცოტა თავქარიანი იყავით, ამას საწყენად არ მოგახსენებთ. საზოგადოდ ისეთი, როგორც სჩვევიათ ახალგაზრდებს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოწესრიგდება და ნაგუბარში წყალი ჩადგება.

კარლ (გულში ჩაიკრავს). დიახ, დანიელ... აღარ შემძლია დაფთარო, მე ვარ შენი კარლი! უბედური კარლი! როგორ ცხოვრობს ამალია?

დანიელ. მე უბედურს, ასეთი სიხარული!.. (იწეებს ტირილს).

კარლ. პატიოსანო მოხუცო! მე ჩემს დაპირებას ვასრულებ იმ წითურა ცხენის გამო (საესე ქისას აძლევს). მე მოხუცი არ დამვიწყებია.

დანიელ. როგორ? რას სჩადით? ეს ძალიან ბევრია, ხომ არ შეგცდათ?

კარლ. მე არ შეგცდები, დანიელ!

დანიელ (ლამობს მის წინ ლემოსს).

კარლ. აღექ! მითხარ, როგორ არის ამალია?

დანიელ. ღმერთმა გაბედნიეროს, დიდხანს გაცოცხლოს... ო, ღმერთო! თქვენი ამალია, ო, ამ სიხარულს ვერ გადაიტანს...

კარლ (აღლევხული). მას მე არ დავვიწყებია?

**დანიელ.** დავიწყებიხართ? რას ბრძანებთ? მან დაგივიწყოთ? თქვენ რომ აქ ყოფილიყავით, თქვენ რომ მოგეხილათ მას რა დაემართა, როდესაც თქვენი სიკვდილის ამბავი ჩემმა ახალმა ბატონმა მოჰტინა.

**კარლ.** რას ამბობ! ჩემმა ძმამ?

**დანიელ.** დიახ, თქვენმა ძმამ. ახალმა ბატონმა, თქვენმა ძმამ. ამაზე სხვა დროს ვიამბობთ. ის როგორ უკუაგდებდა და იცილებდა, როცა თქვენი ძმა წინადადებას აძლევდა სასახლის ქალბატონად გამხდარიყო. ო, უნდა წავიდე, შევატყობინო. (წასვლას აპირებს).

**კარლ.** შეჩერდი, შეჩერდი! მან ეს არ უნდა იცოდეს. არავინაც არ უნდა იცოდეს, არც ჩემმა ძმამ.

**დანიელ.** თქვენმა ძმამ! არა, გეფიცებით, მან არ უნდა იცოდეს. მან—არავითარ შემთხვევაში, არავითარ გზით! თუ მან უკვე არ შეიტყო. უფრო მეტი... გეუბნებით, არიან ბოროტები... ბოროტი ძმები... ბოროტი ბატონები... მაგრამ არ ვისურვებდი ვყოფილიყავ უმადური მსახური, თუნდაც ჩემს ბატონს ყელაღდე ოქროში ჩავესვი. ახლანდელ ბატონს მკედარი ჰგონიხარ...

**კარლ.** რას ბურტყუნებ, მოხუცო!

**დანიელ** (ყრუე). ცხადია, როცა ასე უდროოდ მკვდრები ცოცხლდებიან... თქვენი ძმა ერთადერთ მემკვიდრედ იყო განსვენებულისა...

**კარლ.** მოხუცო, რას ბურტყუნებ? რაღაც საშინელ საიდუმლოებას ფარავ, მაგრამ ის უნდა შენ თქვა! თქვი გარკვევით!

**დანიელ.** მე მირჩევნია ჯურღმულში ჩემი ძვლები გამოვხრა და წყურვილი მართლაც შარდით მოვიკლა, ვიდრე მკვლელობა ჩავდიხარ. (სასწრაფოდ გადის).

კარლ (აკანკალდა. შემსუთველი სიჩუმის შემდეგ). მოატყუა! მოატყუა!  
თითქოს ელვას გაენათებინოს ჩემი სული! არამზალობა! ვე-  
რაგობა! ცაო და ჯოჯოხეთო! შენ არა, მამაჩემო! ვერაგო-  
ბა! მკვლელი, ყაჩაღი არამზადის მეოხებით! მის წინაშე მე  
მან გამაშავა! ის აყალბებდა ჩემს წერილებს, უმაღავდა.  
მისი მამობრივი გული აღსავეს იყო სიყვარულით...ო, მე  
სულელი! მისი მამობრივი გული აღსავეს სიყვარულით...  
ო, ზნედაცემულობავ! საკმარისი იყო მის წინაშე ცრემლი  
დამეფურქვია... ო, მე საცოდავი და უგუნური! (კეფელს ეხლებს).  
შემეძლო ვყოფილიყავ ბედნიერი... ო, უსვინდისობავ! ჩემი  
სიცოცხლის ბედნიერება წარქტაცა თახსირმა არამზადამ!  
(აღშფოთებული მიღი-მოღის) მკვლელი, ყაჩაღი, არამზადა თახ-  
სირის მეოხებით! მას აზრადაც არ მოსვლია ჩემი შეჩვენე-  
ბა! ო, ბოროტო! უსაზღვროდ თახსირო! სიბილწით აღ-  
სავეს ბოროტმოქმედო! (შეშლის კოსინსკი).

კოსინსკი. აბა, მეთაურო, სად ხარ? რა მოხდა? გეტყობა, კი-  
დევ დიდხანს აპირებ აქ დარჩენას!

კარლ. წავიდეთ! შეკაზმე ცხენები. მზის ჩასვლამდე უნდა გავ-  
შორდეთ საზღვარს.

კოსინსკი. ხომ არ გვეხუმრები?

კარლ (ბრძანებით). აჩქარდი! აჩქარდი! ნულარ აყოვნებ, დატო-  
ვე ყველაფერი! ეცადე, ვერავენ განახოს. (კოსინსკი გაღის).  
უნდა გავშორდე ამ კედლებს. მცირეოდენ დაყოვნებას შე-  
უძლია კჭუდიდან შემშალოს, ის კი — შვილი მამაჩემისა...  
ძმა! ძმა! მან უბედურ კაცად მაქცია. მისთვის მე შეურაცხ-  
ყოფა არ მიმიყენებია... შენ მე ძმურად არ მომექეც! მო-  
იბკე შენი ბოროტების ნაყოფი! ჩემი აქ ყოფნა შენ ხელს  
არ შეგიშლის და არც მოწამლავს შენს სიტკბოებას, მაგ-

რამ, ცხადია, ძმურად არ მომექეც. დაე წყვილიაღმა დაფაროს შენი ბოროტმოქმედება... (შემოდის კოსინსკი).

კოსინსკი. ცხენები გავანზადე. შეგვიძლია გავქუსლოთ.

ქარლ. მტანჯველო! მტანჯველო! რატომ ისწრაფი! ნუთუ მას მე ველარ ვიხილავ?

კოსინსკი. ისევ მოვხდი საკაზმებს, რაკი ასე გინდა! შენ მიბრძანე, აჩქარდით!

ქარლ. მხოლოდ ერთხელ კიდევ... უკანასკნელად გეტყვი მშვიდობით! უნდა ძირამდე დავცალო შხამით აღსავსე ფიალა და შემდეგ... შეჩერდი, კოსინსკი! მხოლოდ ათი წუთი!

სურათი მოდის

ბ ა ლ შ ი

ამალია. „შენ ტირი, ამალია?“ მან ასე მითხრა ისეთი ხმით, ისეთი ხმით,! მომეჩვენა, თითქოს ბუნება უცბად გაახალგაზრდავდა... ჩემი დამატკობელი სიყვარულის გაზაფხული თითქოს კვლავ მეწვია, როცა მე მისი ხმა გავიგონებულბული ამღერდა, როგორც მაშინ. ყვაფილებიც სურნელებას აკმეფდნენ, როგორც იმ დროს. მეც გადასვენებული ვიყავ მის მკლავებზე სიამით აღსავსე. გულს, ცბიერს და ორპიროს! შენ გინდა გაამართლო შენი ფიცის გატეხა? არა! არა! შორს ჩემი გულიდან მისი მაცდური სახე! მე ჩემი ფიცი არ დამირღვევია, შენ ხარ ჩემი ერთადერთი! შორს ჩემგან უღვთო და წარმწყმენდი სურვილი! იმ გულში, სადაც კარლი მეფობს, სხვა მომაკვდავს არც ერთს ადგილი არა აქვს. მაგრამ ჩემი სული ჩემს ნებას რად ეურჩება და რად ისწრაფის იმ უცხო ყმაწვილისკენ? მისი სახე რად

ეოანაბრება ჩემი კარლის სახეს? „შენ ტირი, ამალია!“ ო-  
მე მას აღარ შეეხვდები. ჩემკა თვალებმა აღარ უნდა იხი-  
ლონ ის უცხო ყმაწვილი! (გულის უბიდან კარლის სურათს აშო-  
ილებს) შენ, ჩემო კარლ! იყავ ჩემი სულის წინამძღოლი  
და დამიფარე მოსული უცნობისგან, რომელმაც ჩემი სი.  
ყვარული განცდის გზას დააყენა. (კარლი შემოდის ნილაშე-  
ამალია შეკრთა). გესმის, გესმის... ჭიშკრის ხმაურია. (შენიშნა)  
ის არის! საით წავიდე? თითქოს მივეყარ დედამიწას... არ  
შემიძლია გაქცევა... ღმერთო, ნუ დამტოვებ უმწეოს! არა,  
შენ ვერ ამომგლეჯ ჩემს კარლოსს! ჩემს გულში ორ ღმერთს  
არა აქვს ადგილი, მე მომაკვდავი ქალი ვარ! (სურათს აშო-  
ილებს) შენ, ჩემო კარლ! იყავ კეთილ მფარველად, დამიფა-  
რე მოსულ სტუმრისგან!

კარლ. აქ ხართ, ფროილანი? და ასერიგად დაღვრემილი? ამ  
სურათზედაც ცრემლები? (ამალია ღუმს). ვინ არის ეს ბედ-  
ნიერი, ვინც ანგელოზის თვალებს ცრემლებს აფრქვევინებს?  
შემიძლია მეც ვნახო ეს უნეტარესი მომაკვდავთა შორის?  
(სურს პორტრეტს დახელოს).

ამალია. არა! ჰო! არა!

კარლ (უკან იხევს). აა! მერე, იმსახურებს მას ასერიგად აღმერ-  
თებდეთ? ნუთუ იმსახურებს?

ამალია. ო, თქვენ რომ ის გცნობოდათ!

კარლ. მისდამი შურით ავივსებოდი!

ამალია. „თაყვანსა ვცემდი“, გინდოდათ გეთქვათ.

კარლ. ო!

ამალია. თქვენ მას დიდად შეიყვარებდით. ო, მის სახეში იმ-  
დენი იყო, იმდენი... მის თვალებში... მის ხმაში იმდენი  
იყო ისეთი, რაც თქვენც გაგაჩნიათ და მისას მიაგავს და

მე მიყვარს... (კარლი თავჩაღუნულია). აი, აქ, სადაც ახლა  
თქვენ დგახართ, ის ათასჯერ მდგარა და მის გვერდით  
მდგარა ერთიც, რომელსაც ავიწყდებოდა ცა და ქვეყანა.  
აქ, ლამაზ ბუნების კალთაზე, მისი თვალები სხივებს  
აფრქვევდნენ მის მიჯნურს და ისიც გრძნობდა მის კე-  
თილშობილურ ნზერას და უფრო მშვენიერდებოდა მისი  
კეთილგანწყობილების მეოხებით. აქ ის ხიბლავდა ციური  
ჰანგით ჰაეროვან მსმენელს. აი, ამ ბუჩქიდან სწყვეტდა  
ვარდებს, სწყვეტდა იმ ვარდებს ჩემთვის... აქ... აქ მის  
მკერდზე ვიყავ მიყრდნობილი, მისი ბაგე მემამბორობოდა  
და ყვავილნი სიამით იფერფლებოდნენ, შეყვარებულთა წი-  
ნაზე გაფენილნი.

კარლ. განა ის უკვე აღარ არის?

ამალია. ცხოვრების აღელვებულ ზღვაზე მას გრიგალი დააქ-  
როლებს! ამალიას სიყვარული მისი თანამგზავია! ის და-  
იარება გაუვალსა და ქვიშიან ტრაპალებში! შუადღის მზე  
სწვავს მის შიშველ თავს, თოვლი ჩრდილოეთისა აზრობს  
და ჰყინავს მის სხეულს, სეტყვა უშენს სახეში, მაგრამ  
ამალიას სიყვარული ნანას უმღერს საზარელ ქარიშხალ-  
შიაც. გრაფ! თითქოს ჩემმა სიტყვებმა დაგაღონეს!

კარლ. სიყვარულის სიტყვები ჩემს სიყვარულს აცხოველებს!

ამალია. როგორ? თქვენ სხვა გიყვართ? ვაგლახ, ეს რა ვთქვი?

კარლ. ასულო, თქვენსავით იმასაც ამალია ჰქვიან.

ამალია. ბედნიერი ყოფილა თქვენი ამალია!

კარლ. უბედური ჩემი ამალია!

ამალია. უბედური? მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გიყვართ?

კარლ. უბედური, რადგან მას ვუყვარვარ! მაშ რა იქნება, თუ-  
კი მე კაცთა მკვლელი ვარ? ან თქვენ, ასულო, რა მდგო-

მარეობაში იქნებოდით, რომ თქვენმა სატრფომ ყოველ  
კოცნასთან თითო მკვლელობა გაიხსენოს? ვაი ჩემს ამა-  
ლიას! მართლაც რომ უბედური ქალია იგი.

ამალია. ო, მე რაოდენ ბედნიერი ვყოფილვარ! ჩემი კარლოსი  
ღვთაების სხივია. ღვთაება კი მოწყალე და შემბრალებე-  
ლია. რომელიმე მწერის ტკივილი მის გულს ხედებოდა.  
სისხლისმღვრელ აზრებს ისევე დაშორებული იყო, რო-  
გორც შუადღე შუალამისაგან! ლექსებს ვამბობდით:

„რად გამირბიხარ შორს, ჩემო ჰექტორ,  
სად ბასრი ხმალი ეაკიდისა  
პატროკლესათვის საზარ მსხვერპლს ითხოვს?  
მშვილდისრის სროლას, ღმერთების პატივს,  
შემდეგ შენს ბავშვებს ვინღა ასწავლის,  
თუკი ქსანტუსი ქვესკნელში შთანგოქავს?“

კარლ (განაგრძობს). ჩემო ერთგულო, მომეც აბჯარი,  
მინდა შევიქრა საზარელ ომში  
და მოვიპოვო კვლავ გამარჯვება...“

(უცებ მოეფარება. ამალია სახტად დარჩა. იძახის: კარლ! კარლ! და გარბის).

### სურათი მღვთაჲ

ახლომდებარე ტყე. ღამეა. შუაში მოჩანს ძველი ციხის ნანგრევები.  
ბრბო ყაჩაღებისა განლაგებულია.

ყაჩაღები (მღერიან). მკვლელობა და ცარცვა-გლეჯა  
ჩვენთვის არის გართობა;  
ხვალ ჩვენ იქნებ ჩამოგვაბრჩონ,  
მაშ დღეს ლხინი, დათრობა!

თავაწყვეტით ვიქეიფოთ,  
დავეშუროთ დროს და სმას;  
ტყეში ლამეს გავათენებთ,  
არ ვუქრთებით ქარიშხალს!

ჩვენ ვეწვევით დღეს ხუცესებს,  
გავუდგებით ხეალ სხვა გზას;  
და ჩვენ რაც კი არ გვქირდება,  
ღმერთსა ვწირავთ გულით მას!

როცა ღვინო თავში ბრწყინავს,  
ჩვენ ვაჩალებთ ცეცხლის ალს;  
ეშმაკიც კი პირს გვარიდებას,  
არ გავურბით კაცის კვლას!

ყურს არ ვუგდებთ დაკლულ მამას  
და არც დედის მუდარას;  
ვხოცავთ, ველეტავთ ყრმას და მოხუცს,  
ვაფნებთ ყველგან სუდარას!

ვიდრე დრო გვაქვს, მაშ ვილხინოთ  
და გადავკრათ, ჰეი, ღვინო!

შვაიცერ. უკვე ღამდება და ჯერ მეთაური კი არსად ჩანს.  
რაცმან. ის კი დაგვპირდა, შებინდებისას უთუოდ მოვალო.

შვაიცერ. თუ რამე შეამთხვიეს, ამხანაგებო, გადავწვათ ყვე-  
ლაფერი და არ დავინდოთ თვით ბავშვებიც კი.

შპიგელბერგ (რაცმანი განზე გაჭყავს). ორიოდ სიტყვა, რაცმანი!  
შვარც (ტრიშს). იქნებ საჭირო იყოს გავგზავნოთ მზვერავები?

გრამ. თავი ანებე. ისეთი დავლით დაბრუნდება, რომ ჩვენ სირცხვილით ვიწოდეთ!

შვაიცერ. მიადგა ღორი რკოს! განა დაგავიწყდა მისი გაფრთხილება? „თუ გავიგე, რომ გიქურდნიათ, თუნდ ბოლოკო მოგიპარავთ, მე მოორი არ ვიქნები, თუ დამნაშავეს თავი ტანზე შეეპარჩინო!“ უფლება არ გვაქვს ვიქურდოთ ან ვინმე გავძარცოთ!

რაცმან (ჩუმაღ შპიგელბერგს). რა გინდა მითხრა, თქვენი გარკვევით.

შპიგელბერგ. ჩუ! ჩუ! არ გამეგება, როგორ გესმით თქვენ თავისუფლება. როგორც ხარები ტვირთს მივათრევთ და ამ დროს ბევრს ვმსჯელობთ დამოუკიდებლობაზე... მე ეს არ მომწონს...

შვაიცერ (გრამს). თავქარიანს სწალია რაღაც ამბის წამოწყება. რაცმან (შპიგელბერგს). შენ მაგას მეთაურზე ამბობ?

შპიგელბერგ. ჩუმაღ! ჩვენ შორის ჰყავს, ყური გვიგდონ!.. ვინ დააყენა ის ჩვენს მეთაურად! განა მან ეს ტიტული, რომელიც მე უნდა მრგებოდა, ძალით არ მიისაკუთრა? განა სიცოცხლეს იმიტომ ვწირავთ, იმიტომ ვიტანთ ამდენ გაქირვებას, რომ ჩვენ ყმები გავმხდარიყავით? ყმები მონისა? ყმები, როცა ჩვენ შეგვეძლო თავადები ეყოფილიყავით? ღმერთს გეფიცები, რაცმან, მე ეს არ მომწონს...

შვაიცერ (სხვას შიპართავს). ჰო, შენ, აი ნამდვილი გმირი ხარ, როცა ბაყაყებს ქვებს უშენ. მისი ხმის გაგონებაზე, როცა ცხვირს აცემინებს, ნემსის ყურში ძვრები.

შპიგელბერგ. მთელი წლობით მაგაზე ვფიქრობ. ეს უნდა შეიცვალოს, რაცმან, თუ შენ მართლა ისეთი ხარ, როგორიც მე წარმოდგენილი მყავხარ. რაცმან, მე ვგონებ, დად-

გა მისი აღსასრულის ჟამი. როგორ? შენ არაფერს იმჩნევ, როცა ზარმა ჩამორეკა და გამცნო, რომ შენ თავისუფალი ხუნდა იყო? შენ ვაჟკაცობა არ შეგწევს, შეიგნო გაბედული ნაბიჯი, რასაც მე განიშნებ..

ზაცმან. ა! სატანა! მაგით გინდა მომხიბლო?..

შპიგელბერგ. მიმიხვდი! გამომყე. ორი გატენილი დამბაჩა მიზანს არ აცდება.. შემდეგ ჩვენ ვიქნებით... (სურს გაიყოლიოს).

შვაიცერ (დანა იძრო). ა! ძაღლო! კარგ დროს გამახსენდა ბოქმების ტყე. შენ ის ლაჩარი არა ხარ, რომელიც აკანკალდა, როცა გავიგეთ ალყა შემოგვარტყესო? მე მაშინ ჩემს თავს შევფიცე.. მოკვდი, შე სულმდაბალო მკვლელი! (ჰკლავს).

ჟაჩალები. მკვლელიობა! მკვლელიობა! შვაიცერ!.. შპიგელბერგ... გააშველეთ!

შვაიცერ (დანს მის გვამზე დააგდებს). აგრე! ჩაძაღლდი! გაჩუმდით, ამხანაგებო! მაგდენი ყურადღების ღირსი არ არის ეს მურდალი. ამას სძულდა ჩვენი ბელადი, მაშინ როდესაც მას თვითონ არც ერთი კრილობის ნასახი არ ატყვია! გეუბნებით, დამშვიდდით-მეთქი! ვერაგი! უნდოდა ზურგიდან მიპარვით ვაჟკაცი მოეკლა! განა ჩვენ მიტომ ვიწურებით ოფლში, რომ ჩვენ, როგორც არამზადები, გავგისტუმრონ იმ საიქიოს? გაქნილი არამზადა! ნუთუ ჩვენ იმიტომ განვვლეთ ცეცხლის ნიაღვარი, რომ ბოლოს ვირთხებივით ამოგვხოცონ?

გრამ. რა პასუხი გავცეთ ჩვენს მეთაურს?

შვაიცერ. ეგ მე მოძანდეთ. შენ კი, უბედურო, (რაცმანს) შენ მისი თანამოზიარე იყავ. წადი, დაიკარგე აქედან!

შუფტერლიც შენებრ იქცეოდა და აკი იმიტომაც ჩამო-  
ახრჩეს შვეიცარიაში, როგორც უწინასწარმეტყველა ჩვენ-  
მა მეთაურმა. (ისმის სროლა).

შვარც (წამოხტა). ჩუ! დამბაჩა გავარდა! (კიდევ სროლა). კიდევ!  
ჩს მეთაურია!

გრიმ. მოიკათ! მოითმინეთ! მან სამჯერ უნდა ისროლოს. (შე-  
საშელ სროლა).

შვარც. ის არის! ის არის! შვაიცერ, მოეფარე. პასუხს ჩვენ  
მოვახსენებთ. (ისვრიან, შემოდის კარლ მოორი და კოსინსკი).

შვაიცერ. მეთაურო! უშენოდ მე ცოტა ავლელდი. იყავ მსა-  
ჯული. მას შენი მოკვლა უნდოდა მოპარვით.

კარლ. ეგ დანა შესწირეთ შურისმაძიებელ ღმერთს. მაგა შენ  
არ იზამდი, შვაიცერ!

შვაიცერ. გეფიცები, მე მოვიქმედე. და ეს არ არის ყველაზე  
უმსგავსო, რაც კი ჩემს ცხოვრებაში ჩამიდენია, დალახვ-  
როს ეშპაკმა! (უკმაყოფილო განზე გადაება).

მოორ (ფიქრში წასული). მესმის... ძალნო ციურნო... მესმის...  
ფოთლები სცვივა ხეს... ჩანს ჩემი შემოდგომა დამდგარა.  
ეგ გვამი გაათრიეთ. (შპიგელბერგის გვამი გააქვთ).

გრიმ. გვიბრძანე, მეთაურო, კიდევ რა გავაკეთოთ?

მოორ. მალე... მალე ყველაფერი ასრულდება! მომიტათ ჩემი  
საკრავი! მას შემდეგ, რაც იქ ვიყავ, ჩემი თავი ველარ  
მიცვნი, წამერთო ნებისყოფა. სიმების ჟღერით მინდა  
ძალა მოვიკრიბო... მარტო დამტოვეთ.

ყაჩაღები. შუალამეა, მეთაურო!

მოორ. რაც უნდა იყოს, ის ცრემლი მაინც თეატრალური  
იყო. მე მსურს მოვისმინო რომაელების სიძღერა, რომ  
აღსდგეს თვლემიდან ჩემი ძალ-ღონე. საკრავი! თქვენ ამ-  
ბობთ: შუალამეაო?

**შვარც.** მალე გადავა. ძილი თავს გვართმევს. სამი ღლეღამეა თვალი არ მოგვიხუქავს.

**მოოზ.** მაშ ტკბილი ძილი არამზადების ხვედრიც არის? რატომ მე არ მეკარება? მე არაოდეს არც მზდალი და არც არამზადა არ ვყოფილვარ. წადით, დაიძინეთ, ხვალ გზას განვაგრძობთ.

**ყაჩაღები.** ძილი ნებისა, მეთაურო! (მიწაზე მიწვებ-მოწვებთან. ღრმასიჩუქე).

**მოოზ** (საკრავზე ღამღერის).

### ბ რ უ ტ ო ს

სალამი თქვენდა, ველ-მინდვრებო, ჩემი სალამი!  
აღბათ, მიმიღებთ უკანასკნელ რომაელთაგანს  
იმ ფილიპოდან, სად იბრძოდნენ ბუმბერაზები.  
სული გესწრაფით შეუმკრთალი კრილობებისგან.  
ჩემო კასიო, მითხარ, სად ხარ?—რომი ენხოზა!  
ჩემს ჯარსა სძინავს და მას ჰფარავს ბნელი წყვიდადი!  
შენი ბრუტოსი მოუწოდებს მკვდართა აჩრდილებს!  
აღარ არსებობს ჩემთვის ნწუხრი, არც განთიადი!

### კ ე ი ს ა რ ი

ვისი აჩრდილი დადის მთებში ჩაფიქრებული?  
მას შეწუხებულს დალი აზის განდევნილისა!  
ო, მხედველობა თვალისა თუ არა მღალატობს,  
ვგონებ არ ვცდები, ნაბიჯი აქვს რომაელისა!  
როდის დატოვა დედამიწა ტიბროსის შვილმა?  
ნეტა თუ რომი ისევ არის შვილბორცვიანი?

მას კეისარი აღარა ჰყავს, აღარც განაგებს,  
დავტირი ობოლს, ვარ ნიადაგ თვალცრემლიანი!

• ბ რ უ ტ ო ს

იგი აჩრდილი ჭრილობებით დაფარულია!  
ვინ გამოიხშმო საფლავიდან განსვენებული?  
წადი და ჰკითხე დამწუხრებულს მდინარე კოციტს:  
ჩვენ შორის თუ ვინ მართალია, ვინ ბრალდებული?  
თავისუფლების გულისათვის დაღვრილი სისხლი  
ფილიპოს წმინდა სამსხვერპლოზე კვლავად დაღადებს.  
ღიახ, სულს ლაფავს დიდი რომი ბრუტოსის გვამთან  
და მას, დანხობილს, თვით ბრუტოსიც ველარ აღადგენს!

კ ე ი ს ა რ ი

მოვკვდე და ისიც შენი ხანჯლისგან,  
ნუთუ შენც ბრუტოს აღმართე ხელი?  
ო, შვილო, მე ხომ მამად გეკუთვნი,  
და რად შეიქენ შენ მამისმკვლელი?

წადი! შენ დიდზე დიდი შეიქენ,  
რაკი შენ მამის სისხლი დაღვარე;  
ო, არ არსებობს კვლავ განკურნება,  
ჟმადურისგან დავრჩე მწუხარე!

ბ რ უ ტ ო ს

მოიცა, მამავ! ერთს ვიცნობ მხოლოდ,  
ვინც კეისარსა ეტოლებოდა;

შვილად მიგაჩნდა და ამ შვილობილს  
თავისუფლება ენატრებოდა!

ძალა შეგწევდა დაგემხო რომი,  
ბრუტოსმა შევძელ ხელის შეხება;  
იცოდე, სადაც ბრუტოსი ცოცხლობს,  
იქვე კეისარს არ ეცოცხლება! (ღასღებს ციტრას და ჩაფიქ-  
რებული გაივლ გამოივლის).

რა საშინელი წყევლიაღია! არსად გამოსავალი! არსად  
გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი! თუ ყველაფერი გათავდება  
უკანასკნელ აღმოქმენასთან, როგორც ტიკინათა უბრალო  
თამაში, მაშ რა საჭიროა ბედნიერების ესოდენ დაუცხრო-  
მელი წყურვილი? რა საჭიროა ლტოლვა მიუწვდომელ  
სრულყოფილ იდეალისადმი, თუ ამ უბრალო ნივთზე თი-  
თის ოდნავ დაქერა (ღამზაჰს იმიზნებს) ბრძენს სულელთან  
ათანასწორებს, მხდალს მ.მაცთან და პატიოსანს გაიძვე-  
რასთან? უჯულო ბუნებშიც კი ღვთაებრივი ჰარმონიაა,  
მაშ გონიერ არსებაში რად უნდა იყოს ამისთანა უთანხ-  
მოება? არა, არა! არსებობს რაღაც უდიდესი, რადგან  
ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ.

ხომ არ გგონიათ, ჩემ მიერ გასრესილნო აჩრდილნო,  
თქვენ წინაშე თრთოლვა დავიწყო? არა, არ ავთრთოლდები  
(კანკალეს). თქვენი გაფითრებული სახეები, თქვენი პირდა-  
ღებული კრილობანი ბედის განუწყვეტელი ჯაჭვის რგოლე-  
ბია, რომელთაც მკიდრო კავშირი აქვთ ჩემი მშობლების  
ზნესა და სისხლთან! პერილმა ხარად რატომ მაქცია, რომ  
ჩემს გავარვარებულ გვამში იწვის კაცობრიობა? დროვ  
და მარადისობავ. (კვლავ იმიზნებს ღამზაჰს), ერთი წუთით

ერთმანეთთან გადახლართულნი, საზარელი გასაღებით ცხოვრების საპყრობილეს რომ მიკეტავთ და ბნელეთის სამეფოს მიღებთ, მითხარით, სად, სად მიმიყვანთ? უცხო, არვისგან ნახულო მხარე! მოქანცული კაცობრიობა შენს წინ მუხლს იყრის და უცხო აჩრდილნი ელანდებიან. არა, არა, ადამიანი არ უნდა განიცდიდეს რყევას! იყავ რადაც გინდა, უსახელო რაღაცა სიცოცხლის გადაღმა... თუ ერთგული დამრჩება ჩემი მე... იყავ, რაც გინდა, ოღონდ შემეძლოს ჩემი მე თან წავემძღვარო! მე თვით ვარ ჩემი ზეცაც და ჯოჯოხეთიც! ხომ შემიძლია სიცოცხლის გადაღმა დართული ძაფი გაწყვიტო ისევე ადვილად, როგორც აქ შენ შეგიძლია გამანადგურო, მაგრამ ამ თავისუფლებას კი ვერ აღმიკვეთავ! ნუთუ გავეჩქე ტანჯულ სიცოცხლეს? არა! არა! მინდა ვიტანჯო! ვიქონიო მოთმინება! (თანდათან ბნელდება).

**ჭერმან** (შემოდის ბღდან). ჩუ! ჩუ! ბუ როგორ საზარლად გაჭკივის. სოფელში საათმა თორმეტი დარეკა. კარგია, იმ ბოროტს სძინავს. ამ მიგდებულ ადგილზე არა კაცს გაეფლება და ვერცა ვინ მოგვისმენს. (უახლოვდება აკლამას და არახუნებს) გამოდი, ტანჯულო! ამ ციხის ბინადარო! ვახშამი მოგიტანე.

**მოღრ** (ფეხკრფით უკან დაიხია). რას ნიშნავს ეს?

**ხმა** აკლამიდან. ვინ არახუნებს? ა! შენ ხარ, ჰერმან, ჩემო ყოვანო?

**ჭერმან**. ეს მე ვარ, ჰერმან, შენი ყოვანი! მოდი მოაჯირთან და ჰამე... (ბუ კივის) შენი ღამის ამხანაგები საზარლად კივიან, მოხუცო! გესიამოვნება! გემრიელია?

**ხმა**. ძალიან მომშივდა. მაღლობა მომიხდია, ჩემო ყოვანო. როგორ არის ჩემი შვილი, ჰერმან?

ჰერმან. ჩუმაღ... გესმის, თითქოს ხვრინავენ! შენ არაფერი გესმის?

ხმა. როგორ, განა შენ რამე შემოგესმა?

ჰერმან. ციხის ნაპრალებში ქარი ღმუის. ეს ღამის მუსიკაა, რის გამო... მოიცა, ვგონებ, ვიღაც ხვრინავს. შენთან ვინმე ხომ არ არის მოხუცო! უხ! უხ!

ხმა. ხელაჲ რამეს?

ჰერმან. მშვიდობით! მშვიდობით! საშინელი ადგილია! შეძვერ შენს ხერელში. შენი მხსნელი და შენი შურისმაძიებელი მაღლა ზეცაშია. წყეული შვილი! (უნდა გაქცევა).

მოორ. შესდექ!

ჰერმან (შეჰკვივლა). ო, ვაგლახ!

მოორ. შესდექი-მეთქი!

ჰერმან. ვაგლახ! ვაგლახ! ახლა კი ყველაფერი დაიღუპა!

მოორ. შესდექ! ვინ ხარ შენ? აქ რას აკეთებ? თქვი!

ჰერმან. შემბრალებთ, ო, შემბრალებთ, მრისხანეთ ბატონო! ჯერ მორისპინეთ, ვიდრე მომკლავდეთ.

მოორ (ხმაღს იძრობს). რა მესმის?

• ჰერმან. მართალია, თქვენ სიკვდილის დამუქრებით ამიკრძალებთ... მაგრამ მე სხვაფრივ არ შეგეძლო... მე არ უნდა მექნა.. ღმერთია ზეცაში... იქ ხომ თქვენი მშობელი მამაა. მებრალებოდა... ახლა გინდ მომკალით.

კარლ მოორ. აქ რალაც ამბავი იმალება. თქვი! თქვი! მე მინდა ვიცოდე ყველაფერი!

ხმა აკლდამიდან ვაგლახ! ვაგლახ! ეს შენი ხმა მესმის, ჰერმან? ვის ესაუბრები, ჰერმან?

კარლ მოორ. იქ ვიღაც არის. რა ხდება აქ? (მოირბენს აკლდამასთან). მანდ ვინ ხარ? პატიმარი, რომელსაც ხალხმა პირი შეაქ-

ცია? მე მას გავანთავისუფლებ ბორკილისგან. მისი ხმა!  
კიდევ! სად აქვს კარი?

ჭერმან. შემიბრალეთ, ბატონო! ღვთის გულისათვის, წადით,  
ნუ მიეკარებით... (გზას უღობავს).

კარლ მ. ზო. ცხრაკლიტულშია? ჩამოდექ! ყველაფერს უნდა  
ფარდა ჩამოეხსნას. აი, ახლა კი პირველად ჩემს სიცოცხ-  
ლეში დამეხმარე, ქურდის ხელობავ! (კარებს ამტვრევს. გა-  
მოღის მოხუცი, გამხდარი, როგორც ჩონჩხი).

მოხუცი მოოზ. შეიბრალე მოხუცი, შეიბრალე!

კარლ მოოზ. ეს ხმა მამაჩემის ხმა არის.

მოხუცი მოოზ. მადლობა უფალს! დადგა ქამი ჩემი განთავი-  
სუფლებისა.

კარლ მოოზ. მოხუცი მოოზის აჩრდილო! სამარეში რამ შეგა-  
წუხა? იქნებ იმ საიქიოს თან წაგყვა რაიმე მძიმე ცოდვა,  
რომელიც გიღობავს სამოთხეში შესასვლელ გზას? მე გავ-  
ცემ ბრძანებას ილოცონ შენთვის, წირვა გადაგიხადონ,  
რომ შენმა მოხეტიალე სულმა განისვენოს. იქნებ ქვრივ-  
ობლების ოქრო ჩაჭვალ მიწაში და იგი გაიძულეbs აქ იხე-  
ტიალო შუალამისას? მიწაში ჩაფლულ განძეულს გამოვგლეჯ  
ურჩხულს, თუნდაც მან ცეცხლი გადამაფრქვეიოს და კბი-  
ლებით ჩემი ხმალი ღირღნოს. ან იქნებ იმიტომ გამომეც-  
ხადე, რომ ამიხსნა მარადისობის საიდუმლოება? მითხარ!  
მითხარ! შიში მე ვერ მომეკარება!

მოხუცი მოოზ. მე არც აჩრდილი ვარ და არც სული! აბა,  
შემახე ხელი. ო, მე ვცოცხლობ უბედური სიცოცხლით.

კარლ მოოზ. როგორ? მაშ შენ დამარხული არ ხარ?

მოხუცი მოოზ. მე დამარხული... ესე იგი ჩემი წინაპრების  
სამარხში ძაღლი ჩაფლეს. სამი თვეა ვიტანჯები ჯურღმუ-

ლის ცივსა და ბნელ თაღებქვეშ, საცა არც მზე აღწევს, არც ნიაფი, არ მნახულობს არც ერთი მეგობარი. აქ მესმის მხოლოდ ყორანთა ყვირილი და მიკიოტების კივილი. კარლ მოორ. ციურნო ძალნო! ვინ გიქნა ეგ?

მოხუცი მოორ. მას ნუ შეაჩვენებ! ეს მიქნა ფრანცმა, ჩემმა შვილმა!

კარლ მოორ. ფრანც! ფრანც! ო, ქაოსო მარადიულო!

მოხუცი მოორ. თუ ხარ შენ კაცი და თუ შენში ძგერს გული ადამიანისა, მხსნელო, რომელსაც მე ვერც კი გიცნობ, ო, მოისმინე მამის ვაება, რაიც დამმართეს მე ჩემმა შვილებმა. სამი თვე არის შევჩივი ამ ცივს კედლებს, მაგრამ პასუხად ჩემი ჩავილისა მხოლოდ ყრუ გამოძახილია! ამიტომ, თუ ხარ შენ კაცი და თუ შენში ძგერს გული ადამიანისა...

კარლ მოორ. მაგნაირი თხოვნა თვით ნადირსაც კი გამოიყვანდა თავისი ბუნაგიდან.

მოხუცი მოორ. მე ვიყავ ავად და ის იყო დამეტყო მომჯობინება, მომიყვანეს ვიღაც უცნობი, რომელმაც მითხრა, რომ პირმშო შვილი ომში დაიღუპაო. მან თან ხმალიც მოიტანა, სისხლით შესვრილი, და უქანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა, რომ ჩემს წყევლას იძულებული გაუხდია წასულიყო ომში და იქ სიკვდილს გადაჰყოდა.

კარლ მოორ (აღვლევებული პირს იბრუნებს). ახლა კი ცხადია ყველაფერი!

მოხუცი მოორ. შემდეგიც მომისმინე! როდესაც ეს ამბავი გავიგე, ცნობა დავკარგე. ალბათ, მკედრად ჩამთვალეს და როდესაც ხელახლა გონს მოველ, მე უკვე სუღარაგადაფარებული კუბოში ვიყავ ჩასვენებული. კუბოს სახურავს

ფრჩხილებით ვფხოქნიდი. ახადეს. შუალამე გადასული იყო. ჩემი შვილი ფრანცი თავზე მადგა. „როგორ!—დაიყვირა საშინელი ხმით,—ხომ არ გინდა მარად ცოცხალი იყო“, და კუბოს კვლავ სახურავი დააფარეს. ამ საზარელმა სიტყვებმა ცნობა დამიკარგა. როცა კვლავ გონს მოველ, ვიგრძენ კუბო ასწიეს და წამასვენეს. მიდიოდნენ ნახევარ საათს. ბოლოს, აი აქ, ამ აკლდამასთან მომიყვანეს. ჩემ წინ ჩემი შვილი იდგა და ის კაცი, რომელმაც კარლოსის ხმალი მომიტანა. ათჯერ მუხლებზე მოვეხვიე, ვეზუდარე, მაგრამ მამის ვედრება გულთან არ მიიკარა. „ჩაუშვით ძირს მოხუცი! — შეჰყვირა მისმა ბაგემ, — ეყო რაც იცოცხლო“. და მე უმოწყალოდ შემაგდეს ამ ჯურღმულში და ჩემმა შვილმა ფრანცმა გამომიკეტა კარი.

**კარლ მოორ.** ეგ შეუძლებელია! შეუძლებელია! შეიძლება თქვენ ცდებოდეთ!

**მოხუცი მოორ.** ვცდებოდე... შემდეგიც მომისმინე, ხოლო ნუ აღელდები. ასე დაყავ ოცი საათი. არც ერთს არ გაახსენდა ჩემი ტანჯვა. აქ აღამიანის ფეხი არ დადგებულა, რადგან დიდი ხანია ამბად ლაპარაკობენ, თითქოს ჩემი წინაპრების აჩრდილები ამ ნანგრევთა შორის დადიოდნენ, ჯაჭუს აჩხარუნებდნენ და სამგლოვიაროს გალობდნენ. ბოლოს, შემომესმა, რომ კარი ხელახლა გაიღო. იმ კაცმა მომიტანა პური და წყალი. მან მე შემატყობინა, რომ შიმშილით სიკვდილი მაქვს მისჯილი და ის სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა, უკეთუ შეუტყობდნენ, რომ მე საზრდოს მაწვდიდა. ასე ვატარებდი დროს. მუდმივმა ყინვამ, ჩემი სიბინძურის სიმურალემ, უსაზღვრო ნწუხარებამ ღონე მიმხადეს. მრავალჯერ შევთხოვდი უფალს ჩემს სიკვდილს,

მაგრამ, ჩანს, ჩემი სასჯელის საზომი ჯერ აღუვსებელი იყო, ან შეიძლება რაიმე სიხარული უნდა განმეცადნა, ან შეიძლება სასწაულმა გადამარჩინა. ნაგრამ მე ამ სასჯელს ვიმსახურებ. ხოლო ჩემი კარლი.. ჩემი კარლი... თმაში ჯერ თეთრი არ ჰქონდა გამოჩენული.

**კარლ მოორ.** კმარა! აიშალებით! თქვენ, ლოდადქცეულნო, უგულო კუნძებო, ზარმაცებო, უგრძნობელნო, არ იღვიძებთ? (ისგრის ღამბაჩას).

**ყაჩაღები.** ჰეი! აღეკით! რა ამბავია!

**კარლ.** კანონი სათამაშო გამხდარა, ბუნების კავშირი დარღვეულა! შუღლი, ქაოსი გამეფებულა, შვილს საკუთარი მამა მოუკლავს!

**შვარც.** რას ამბობს მეთაური?

**კარლ.** არა, ეს სიტყვა ძლიერ ნაზია, შვილს თავის მამა ათასჯერ ბორბალზე უგლეჯია, უწვავს, უჭრია, უწამებია! არა, ეს სიტყვები ღმობიერია, თვითონ ცოდვა გაწითლდებოდა, კანიბალი შეძრწუნდებოდა, შვილს თავის მამა... აბა შეხედეთ, ერთი შეხედეთ, გრძობა მიხდია! ამ ჯურღმულში შვილს თავისი მამა სიცივით, შიმშილით, წყურვილით... აბა შეხედეთ, ეს ხომ მამაჩემია.

**ყველა.** მამაშენია, მამაშენი?

**შვარც.** ჩემი მეთაურის მამავ! ვეამბორები თეხთა შენტა! ჩემი ხანჯალი შენს სამსახურად მომირთმევია.

**კარლ.** სამაგიერო! სამაგიერო შენ შეურაცხყოფელს, წამებულ მოხუცო! ასე ვწყვეტ ამიერიდან ძმობის კავშირს უკუნისამდე! (იგლეჯს ტახსაცმელს) ასე შევაჩვენებ ძმის თვითეულ სისხლის წვეთს, დანთხეულს ზეცის წინაშე! მისმინეთ, მთვარეც და ვარსკვლავებო! ისმინე, ცაო შუაღამისაგ,

წალლით რომ დასცქერ ამ ბოროტებას! მისმინე, სამგზის, მრისხანე ღმერთო, გამსჯელო და შურისმგებელო! აქვიდრეკ მუხლს, აღვაპყრობ სამ თითს და ვღებ ფიცს: დაე ბუნების წიალიდან ვიქმნე გადმონთხეული, როგორც უღირსი, მაენე ქმნილება, თუ ჩემი ფიცი დავარღვიო, დღის სინათლე ნულარ ვიხილო, თუ არ დავღვარო ამ ქვასთან სისხლი მაძისმკვლელისა!

**რაცმან.** ვფიცავ ვეშაპებს, ასეთ სისაძაგლეს ჩვენც ვერ მოვახერხებდით!

**კარლ.** დიახ, ვფიცავ ყველა მათ საზარელ კენესას, ვინც თქვენი დანის ქვეშ გათავებულა, ვინც ცეცხლს შთაუნთქავს, ან ჩემგან აფეთქებულ კოშკს გაუსრესია! კაცის კვლას გულში ნუ გაიტარებთ, სანამ თქვენი ტანსაცმელი იმ ბოროტის სისხლით არ გაიეღინთება! თქვენ, ალბათ, არც კი დაგსიზმრებიათ, რომ ოდესმე განგების იარაღი შეიქნებოდით. დღეს თქვენი ხელობა უხილავმა ძალამ გააკეთილშობილა. ქუდები მოიხადეთ, დაემხეთ მიწას და აღსდექით განწმენდილნი!

**შვარც.** გვიბრძანე, რა ვქნათ, მეთაურო?

**კარლ.** ადექ, შვაიცერ და ამ წმინდა ჭაღარას შეეხე. გახსოვს, ერთხელ შენ ბოჰემიელ ცხენოსანს თავი გაუპე, როდესაც ხმალი მომიქნია? მაშინ მე, ძალმიხდილმა და სუნთქვაშეხუთულმა, დაგიჩოქე და მეფურ ჯილდოს დაგპირდი. მაგრამ ეს დაპირება დღემდე ვერ შეგისრულე.

**შვარც** მართალია, დამპირდი, მაგრამ ნება მიბოძე, მუდამ ჩემს მოვალედ გთვლიდე!

**კარლ.** არა, მაგიერს ახლა გადაგიხდი. შვაიცერ, ასეთი პატივი არც ერთ მომაკვდავს არ ღირსებია! შვაიცერ, მამაჩემის გულისათვის იძიე შური!

**შვაიცერ.** დიდებულო მეთაურო! პირველად დღეს შემიძლია ვიამაყო. მიბრძანე: სად, როდის და როგორ მოვკლა იგი? **კარლ.** ყოველი წუთი ძვირფასია! უნდა ისწრაფო! გუნდიდან ღირსეულნი ამოიჩიე და შეიჭერ გრაფის სასახლეში. ლოგინიდან გამოათრიე, თუ მძინარე ნახო ან თუ ვნებით დამტკბარი! სუფრიდან წამოაგდე, თუ ქეიფობდეს! აპგლიჯე ჯვარცმას, თუნდაც მუხლმოყრილი ლოცულობდეს! მხოლოდ გაფრთხილებ: ცოცხალი უნდა მომგვარო! ვინც მას კანს დაუკაწრავს, ან თმის ერთ ღერს მოაკლებს, დამნაშავეს ლუკმად ავგლეჯ და დამშეულ ყორნებს შევაქმევ! ცოცხალი მინდა იგი, ცოცხალი! და თუ მას ცოცხალს და უვნებელს მომგვრი, ჯილდოდ მილიონი! თავს დავდებ და იმ მილიონს მეფეს გამოვტაცებ! მაშინ შენ ისე თავისუფალი შეიქნები, როგორც ნიაფი გაშლილ მინდორზე! ხომ მიმიხვდი, შვაიცერ! აბა, ისწრაფე!

**შვაიცერ.** კმარა, მეთაურო! აჰა, ჩემი ხელი! ან მასთან ერთად დავბრუნდები, ან ცოცხალს ველარ მნახავ! აბა, შვაიცერის შავო ანგელოზებო, მომყევით! (გაღიან).

**კარლ.** თქვენ კი ტყეში გაიფანტებით! მსურს მარტო დავრჩე...

# მეხუთე მოქმედება

სურათი პირველი

ღარბაზი მოორების სახახლეში. შუალაშე გადახულია

დანიელ (შეჟოდის ფარნით ხელში). მშვიდობით, მშობლიურო სახლო! მე აქ მრავალი კარგი და კეთილი მინახავს, ვიდრე ცოცხალი იყო აწ განსვენებული ბატონი! ცრემლი შენს ნეჭტს მოხუცი მსახურისაგან! ეს ბატონი კი... ეს სახლი ერთ დროს ობლების და გაჭირვებულების თავსაფარი იყო, ხოლო მისმა შვილმა მკვლელობის ბუდედ გადააქცია. მშვიდობით, იატაკო, რამდენჯერ დამიგვიხარ, გამიწმენდიხარ. მშვიდობით, ბუხარო, მოხუც დანიელს ეძნელება შენთან განშორება. ღარიბი მოველ, ღარიბი მივდივარ, მაგრამ ჩემს სულს ვიხსნი... (იმ დროს, როცა წასვლას დაპირებს, შემორბის ფრანცი ხალათის ამარა). ღპერთო, შენ მიშველე! (აქრობს ფარანს).

ფრანც. ღალატი! ღალატი! საფლავებიდან სულნი დგებიან! საუკუნო ძილიდან აწყვეტილი მკვდართა სამეფო უკან მომძახის: „მკვლელი, მკვლელი“! ააა! ვინ დგას მანდ? დანიელ!

დანიელ (შეშკრთალი). დედაო ღვთისაო! გრაფ! ეს თქვენ ყვიროდით ასე საზარლად, ბატონო ჩემო, რომ სასახლეში ყველანი დაფეთდნენ და შეშლილივით ნამძინარევი წამოვარდნენ?

ფრანც. ნამძინარევი?.. ვინ მოგცათ ძილის ნება? არავინ გა-  
ბედოს ძილი ამეამად! ყველა ფხიზლობდეს! შეიარაღდ-  
ნენ! თოფები მზად! ვერა ნახე, გალავანთან როგორ მოაქ-  
როლებდნენ?..

დანიელ. ვინ, ბატონო ჩემო?

ფრანც. ვინ? უტვინო! ვინ? ასე ცივად, ასე გულგრილად მე-  
კითხები! ვინ? მე თითქმის გული შემიღონდა! აჩრდილები  
და ეშმაკები! წადი, სანთელი მოიტა.

დანიელ. ბატონო ჩემო!

ფრანც. რაღას აყოენებ? ეს ღამე, ჩანს, მეორედ მოსვლამდე  
აპირებს გაგრძელებას და მე მესმის ხმაურობა, ბრძოლის  
ყვირილი, ცხენების თქარა-თქურო! ცა, ჯოჯოხეთი, ყვე-  
ლანი ჩემს წინააღმდეგ შეთქმულან, ჩემს წინააღმდეგ!

დანიელ. ბატონო ჩემო!

ფრანც. არა! მე არ მეშინია, არც ვკანკალებ! ეგ მხოლოდ  
სიზმარი იყო! მკვდრები არ დგებიან! ვინ თქვა, ვკანკა-  
ლებდე ან გაფითრებული ვიყო? მე ძალიან კარგ გუნებაზე  
ვარ, სრულიად კარგად!

დანიელ. სიკვდილის ფერი გადევთ! ხმა გიკანკალებთ და ენაც  
აღარ გემორჩილებათ.

ფრანც. არა, მაციებს... პასტორი რომ მოვა, უთხარ:  
აციებს თქო.

დანიელ. შაქრით რამდენიმე წვეთ ბალზამს ხომ არ ინებებთ?

ფრანც. დააწვეთე შაქარს. პასტორი გვიან მოვა? ხმა მიკან-  
კალებს, ენა მებმება... მოიტა წვეთები!

დანიელ. მიბოძეთ გასაღები! დაბლა გიახლებით და მოგართ-  
მევთ.

ფრანც. არა, არა, არა! დარჩი, ან მეც შენთან ერთად წამო-

ვალ. ხომ ხედავ, მარტო რომ დავრჩე, შეიძლება გული შემიღონდეს განა ვერ მატყობ? საჭირო არ არის! ისედაც გაივლის! აქ იყავ!

დანიელ. ო, თქვენ მართლა ავად ბრძანდებით!

ფრანც. დიახ, მართლა, მართლა ავად ვარ და ეგ ავადმყოფობა ტვინს ურევს ადამიანს! უაზროს, საშინელს სიზმრებს მაჩვენებს!.. მაგრამ სიზმრები არაფერს ნიშნავენ. ეგრე არ არის, დანიელ? სიზმრები კუჭის ბრალია! სიზმრები არაფერს ნიშნავენ... აი, ახლა ისეთი უცნაური სიზმარი ვნახე... (გულშეღონებული დაეცემა).

დანიელ. ღმერთო ჩემო, იესო მაცხოვარო! რა ემართება? რაიმე ხიზანს მაინც იძლეოდეს, რომ ცოცხალია. ვაი, თუ მე დამბრალდეს...

ფრანც. შორს, შორს საზიზღარო ჩონჩხო! რას მანჯღრევ? მკვდრები არ დგებიან!

დანიელ. ო, ღმერთო მოწყალეო! კუჭიდან შეიშალა! სრულ გონებაზე აღარ არის.

ფრანც (ძლივს წამოღგება). სად ვარ? ეს შენ ხარ, დანიელ? რას ვამბობდი? ყურადღებას ნუ მიაქცევ, რაც კი რამ ვთქვი. ყველაფერი სიცრუეა, მტკნარი სიცრუე! მოდი, მიშველე! ეს მხოლოდ თავბრუდასხმა იყო, რადგან.. კარგად ვერ გამოვიძინე.

დანიელ. ნეტავ იოჰანი მაინც იყოს აქ... ექიმის მოსაყვანად გავაგზავნიდი..

ფრანც. დარჩი! მომიჯექ გვერდიო! ჰო, ასე!.. დანიელ, დანიელ! შენ მიხვედრილი კაცი ხარ, კეთილი ადამიანი! მოდი, გაამბობ.

დანიელ. ახლა ნუ, სხვა დროს იყოს! საწოლში მოისვენეთ, თქვენთვის სიმშვიდეა საჭირო.

ფრანც. არა, გთხოვ მომისმინო და ჩემზე გულიანად გაიცინო... იცი, მესიზმრა, თითქოს მეფურად დროს ვატარებდი და სიამოვნებით გული მიძკერდა. განცხრომით ვიწექ ბაღში მწვანეზე, რომ უეცრად, ეს თითქოს შუადღისას იყო, უეცრად... გაიცინე-მეთქი, გეუბნები, გაიცინე!

დანიელ. უეცრად?

ფრანც. უეცრად საშინელმა ქექა-ქუხილმა თავზარი დამცა. ათრთოლებული წამოდექი ზეზე და რას ვხედავ? მთელი არემარე ცეცხლის ალშია გახვეული! მთელი ტყეები, ქალაქები დნებიან ისე, როგორც სანთელი გალხვება ცეცხლზე. გრიგალი ანღრევს, აფორიაქებს ზღვას, ცას და ხმელეთს. უცებ მაღლიდან მოისმა თითქოს საყვირთა ხმა: „შიწავ, მომეც შენი მკვდრები! ზღვავ, მომეც შენი მკვდრები!“ ვხედავ, მთის მწვერვალზე, კვამლის სამ ტახტზე, ზის სამი მოხუცი, რომელთა მზერისაგან განილტვის ყველა მიწიერი.

დანიელ. ეგ ხომ მეორედ მოსვლის ცოცხალი სურათია!

ფრანც. ეს ხომ სრული უაზრობაა! აგერ, წამოდგა ერთი მათგანი, ბნელ ღამესავით მოღუშული. აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა სასწორი ეჭირა ხელში და ასე ამბობდა: „ახლოს მოდით, ადამის ძენო! თქვენი გულის ზრახვებს და საქმეებს ჩემი რისხვის შურისგების სასწორზე ვწონიო“.

დანიელ. ღმერთო, შენ დამიფარე!

ფრანც. თოვლივით გაფითრებულნი ვიდექით ყველანი! შიშით ველოდით განკითხვის წუთებს. უცებ მომეჩვენა, თითქოს პირველად ჩემი სახელი დაიძახეს ქექა-გრიგალის ხმაურობაში. ძვლებში ტვინი გამეყინა და კბილებს ვაკაწკაწებდი! სასწორმა დაიჩხრიალა, კლდემ დაიგრგვინა და

რიგრიგობით მომაკვდინებელ ცოდვებს ჰყრიდნენ მარცხენა თასზე.

დანიელ. შეგინდოს უფალმა!

ფრანც. არა, არ შემინდო! თასზე ცოდვები იზრდებოდა, და მეორეს, შენდობის თასს, სძალავდა. ბოლოს მოვიდა ერთი მოხუცი, მწუხარებისაგან წელში მოხრილი. ამ სანახაობამ ყველა შეხარა და მოხუცს თვალი მოარიდეს. მე ვიციან მოხუცი. ვერცხლის თმის ერთი ბლუჯი დააგდო ცოდვების თასზე და უვსკრულამდე მსწრაფლ დაიძირა. შენდობის თასი კი მალლა ჰაერში ფრიალებდა. მაშინ მომესმა გრგვინვა-ქუხილში მქექარე ხმა გულშემზარავი: „შენდობა ყველას, ყველა ცოდვილს ქვეყნისასა და ქვესკნელისას, მხოლოდ შენა ხარ განრიდებული!“ რაო? რატომ არ იციანი, დანიელ?

დანიელ. რა დროს სიცილია, ბატონო ჩემო! სიზმარი ღვთისაგან არის მოვლენილი!

ფრანც. რაო? მაგას ნუ მეტყვი! მიწოდე სულელი, უგუნური, უაზრო, რეგვენი! ღვთის გულისათვის, ძვირფასო დანიელ, გთხოვ, გვედრებო გაიცინო! გულიანად იცინე ჩემზე!

დანიელ. სიზმრები ღვთით არის. ვილოცებ თქვენთვის... თქვენს მაგიერ შევედრები.

ფრანც. ცრუობ, გეუბნები! ახლავე წადი, სულ ირბინე, მოძებნე პასტორი, უთხარ აჩქარდეს! მაგრამ, გიმეორებ, ცრუობ-მეთქი!

დანიელ. ღმერთმა შეგინდოთ!

ფრანც. ბრბოს სიბრძნე - ბრბოს სილაჩრეა! ჯერ ხომ არ ვიცით, გაქრა წარსული თუ არსებობს ვარსკვლავებს მალა... ჰმ, ჰმ! განა იქ არის ვინმე შურისმაძიებელი? არა!

არა!.. მაშ ვინ ჩამჩურჩულებს, არისო? მაშ ამაღამ უნდა წარვდგე მის წინაშე? იქ არაფერია! მაგრამ თუ არის? მე ვბრძანებ, რომ იქ არაფერი არის! არაფერი არ უნდა იყოს! მაგრამ მაინც თუ არის? ვაი შენ, თუ ყველაფერს მოგკითხავენ! რატომ მივლის შიშის ქრუანტელი ძვალსა და რბილში? სიკვდილი! მაშ უნდა მოგვედო?.. ეს სიტყვა რატომ მცემს თავზარს! ანგარიშს მომთხოვეს შურის მძიებელი, იქ, მალლა... და თუ ის სამართლიანია... ქვრივობლები, ჩაგრულები, წამებულები მასთან ჩივიან, მას შელაღადებენ და თუ სამართლიანია, რატომ იტანჯებოდნენ, მე რატომ ვზეიმობდი მათზე? (შეშლის პასტორ მოზერ).

მოზერ. თქვენ დამიბარეთ, გრაფ! გაკვირვებული ვარ; პირველი შემთხვევაა! იქნებ აზრად გაქვთ რელიგია მასხარად აიგდოთ! ან იქნებ ცახცახებთ მის წინაშე?

ფრანც მასხარად ავიგდებ თუ შიშით გაფიქვალები, დამოკიდებულია შენს პასუხზე! გამიგონე, მოზერ! მე მტკიცებას დავიწყებ, რომ ან თვითონ შენ ხარ სულელი, ანდა ხალხს ასულელებ! უნდა გამცე პასუხი! უარპყავ ჩემი მტკიცება, გესმის? სიცოცხლის ფასად დაგიჯდება, თუ არ მიპასუხებ!

მოზერ. ნუთუ უზენაეს განგებას იწვევ შენს სანსჯავროზე? იგი ჩვენ ოდესმე გვიპასუხებს.

ფრანც შენთვის ხშირად ბურგუნდიის ქიქა ღვინოზე ხუმრობით მითქვამს: „არ არის ღმერთი!“ ახლა ხუმრობის გარეშე გეუბნები და გიმეორებ: „არ არის ღმერთი!“ მოიხმარე ყოველნაირი იარაღი, რაც კი შენს ხელთ არის და მე მათ ერთი შეხვედრით გავაცამტვერებ!

მოზერ. მაშინ შენ შეიძლებდი მეხის უკუგდებასაც, რომელიც

ათიათასი ფუთის სიმძიმით გასრისავს შენს ზვიად სულს!  
ის ყოვლის მხილველი ღმერთი, რომლის განადგურებაც  
თავისსავე შემოქმედების წიაღში შენ გწადია, შენ, რეგვენს  
და ბოროტს, არ საჭიროებს მომაკვდავ ბაგეთაგან დაცვას,  
ან თავის მართლებას! იგი იმდენადვე დიადია მტარვალთა  
მიმართ, რამდენადაც ლმობიერი სათნოებასთან.

ფრანც. დიდებულია, ხუკესო! საუცხოოა!

მოზერ. აქ მე მოვსულვარ უმაღლესი ბატონის ბრძანებით და  
ვესაუბრები ისეთსავე ქიას, როგორიც ვარ მე თვითონ  
და რომელსაც არ მინდა მე მოვწონდე. რასაკვირველია,  
მე უნდა შემეძლოს მოვახდინო სასწაულთმოქმედება, რათა  
მით თქვენც გამოგტეხოთ თქვენს ბოროტმოქმედებაში,  
მაგრამ თუ თქვენი რწმენა ესოდენ მტკიცეა, რა საჭირო  
იყო ჩემი აქ მოწვევა? მითხარით, რატომ მომიწვიეთ შუა-  
ლამისას?

ფრანც. იმიტომ, რომ მომეწყინა და ჭადრაკის თამაში აღარ  
მესიამოვნება. და აი, აზრად მომივიდა, მხოლოდ უგუნე-  
ბოდ ყოფნის გამო, ხუკესს წავეკინკლაო. უბრალო დაში-  
ნებით ჩემთან ბევრს ვერაფერს გახდები. კარგად ვიცი, ვინც  
აქ უღლეურია, ის უკვდავებას ებლაუჭება, მაგრამ სცდება  
სასტიკად! ფილოსოფოსნი და მეცნიერნი ამტკიცებენ,  
რომ ჩვენი ყოფნა სისხლის თრთოლვაა და სხვა არაფერი,  
და სისხლის უკანასკნელი წვეთის შეჩერებასთან ქრება  
სულიც და აზრიც. სული ინაწილებს სხეულის ყოველგვარ  
უძლურებას, მაშასადამე, სული ისპობა სხეულის გახრწანას-  
თან ერთად!

მოზერ. ეგ არის თქვენი განწირულების და სასოწარკვეთის  
ფილოსოფია. მაგრამ თქვენი დამფრთხალი გული თვითონვე

გამხელთ და გამტყუნებთ! ყველა მაგ სისტემათა ქსელს დასწყვეტს ორიოდ სიტყვა: „შენ უნდა მოკვდე“. და თუ სიკვდილის ჟამსაც ასევე შეურყეველი იქნებით, თქვენ გაიმარჯვებთ, ხოლო თუ წუთით მაინც შიშმა შეგიპყროთ, ვაი თქვენ მაშინ — დაშთებით გაცრუებული!

ფრანც (შეპკრთალი). თუ სიკვდილის ჟანს შიშმა შემიპყრო? მოზერ. მე მინახავს მრავალი ისეთი უბედური, რომლებიც თავის სიცოცხლეში არაჩვეულებრივი სიჯიუტით სიმართლეს ეწინააღმდეგებოდნენ. მაგრამ სიკვდილის ჟამს ყოველი ცთომილება ქრება. მე მინდა თქვენს საწოლთან ვიმყოფებოდე, როდესაც თქვენ ის-ის არის უნდა მოკვდეთ. ძალიან მინდა ვნახო, როგორ კვდება მტარვალი. მე იქ გავჩერდები და დაგიწყებთ ცქერას, როდესაც ექიმო თქვენს გაციებულ ხელს შეეხება, როცა ძნელადღა შეგატყობს მაჯისცემას, დაგხედავს და იტყვის მხრების აწევით. „შველა ადამიანის მიერ შეუძლებელი და ამაოა!“ მაშინ გმართებთ სიფრთხილე, რომ არ გარდაიქცეთ რიჩარდად ან ნერონად!

ფრანც. არა! არა!

მოზერ. და ეგ „არა“ მაშინ მლაღადებელ „ჰოდ“ გარდაგექცევათ. შინაგან მსაჯულს ვერ მოისყიდით ვერავითარ სკეპტიკური მსჯელობით, მაშინ იგი გაიღვიძებს და გაგასამართლებს. ეს დაემართება ისეთ ხალხს, ვინც დამარხა სამარეში ცოცხალი ადამიანი, ეს იქნება სასოწარკვეთა თვითმკვლელისა, როდესაც თავის თავს სასიკვდილო ქრილობა მიაყენა და იგრძნო სინანული. ეს იქნება გაელვება. რომელიც ჯაანათებს ჩვენი ცხოვრების წყვილადს. ეს იქნება წამით შეეხედვა, და თუ მაშინაც მტკიცე და ურყევი გამოდქვით, მაშასადამე, თქვენ მართალი იქნებით!

ფრანც (აღლევებული გაივლ-გამოივლის). ხუცესის ზღაპრები! ხუცე-  
სის აბდაუბდა!

მოზერ. და აი, მაშინ პირველად თქვენს სულს დაგლევჯს მარა-  
დიულობის მახვილი, მაგრამ უკვე გვიან იქნება. აზრი  
ღმერთზე გაადვიძებს საშინელ მეზობელს, რომლის სახე-  
ლი არის—მსაჯული! განსაჯეთ, მოორ, თქვენი ხელის ნიშ-  
ნებაზე დამოკიდებულია სიცოცხლე ათასი ადამიანისა.  
აქედან თქვენ უბედურ ჰყავით ცხრაას ოთხმოცდაცამეტი!  
თქვენ ღირსი არ გახდით რომის იმპერიისა, თორემ ნე-  
რონი იქნებოდით, არ გეკუთვნით პერუ. თორემ პისარო  
იქნებოდით. ნუთუ თქვენ გგონიათ ღმერთი თანახმა იყოს,  
რომ თქვენ ერთადერთმა ადამიანმა იპარპაშოთ, იბატო-  
ნოთ მისგან შექმნილ ქვეყანაში, როგორც მტარვალმა და  
ის ქვეყანა თავდაყირა დააყენოთ? ამას ნუ იფიქრებთ!  
ყოველი წუთი, რომელიც თქვენ მათ მოუკალით, ყოველი  
სიხარული, რომელიც თქვენ მათ მოუწამლეთ, ყოველი  
სრულყოფა, რომელიც მათ ჩაუხშეთ, ოდემე მოგეთხოვე-  
ბათ და, თუ თქვენ ამაზე პასუხი გაეკით, მაშასადამე, თქვენ  
მართალი იქნებით!

ფრანც (გამწარებული შივარღება). სიცრუის გუდა! ბაგე შენი მეხმა  
ჩაღეწოს! მაგ ენას პირიდან ამოგგლეჯ'..

მოზერ. განა უკვე იგრძენით სიმართლის მთელი სიმძივე? მე  
ხომ ჯერ არ მიხსენებია არც ერთი დამამტკაცებელი სა-  
ბუთი! ნება მიბოძე შევუდგე დამ ოკიცებას!

ფრანც. გაჩუმდი! ქაჯებს წაუღიხარ შენი საბუთებით! გეუბ-  
ნები, სული ჩვენი ისპობა-მეთქი და არ მსურს შენი მტკი-  
ცება მოვისმინო.

მოზერ. მაგრამ თქვენი უკვდავი სული ებრძვის მხოლოდ სი-  
ტყუებს და ამარცხებს უვიც აზროვნებას.

ფრანც. მაგრამ მე არ მინდა უკვდავი ვიყო. მე მას ვაიძულებ  
გამანადკუროს, გავახელებ, რომ გახელებულმა მომსპოს.  
აბა ყველაზე უდიდესი ცოდვა დამისახელებ, რომ იმ ცოდ-  
ვამ შესძლოს მისი განრისხება.

მოზერ მე ვიცი მხოლოდ ორი ცოდვა, მაგრამ ისინი ადამიან-  
ნის ხელიდან არ გამოვა და არც ფიქრად მოუვა ვისმეს.

ფრანც. რა ცოდვებია ამისთანა?

მოზერ. ერთს ეწოდება მამისმკვლელობა და მეორეს ძმის-  
მკვლელობა.

ფრანც. მოზერ! ჯოჯობითან ხარ თუ ზეცასთან შეთქმული?

მოზერ. ვაი იმას, ვისაც ორივე სულს უმძიმებს! ერჩივნა სულ  
არ დაბადებულყო.

ფრანც (საფარძელში ჩაეცემა). მოსპობა, განადგურება!

მოზერ იხარებდე! მამისმკვლელთან შედარებით თქვენ წმინ-  
დანი ხართ. წყევლა, რომელიც თქვენ შეგაჩვენებთ, სიყვა-  
რულის სიმღერაა იმასთან შედარებით, რაც მამისმკვლელს  
მოელის. შურისძიება!

ფრანც (წამოხტება). გასდეს დედამიწა და თან ჩაგიტანოს,  
ყარყუმო! დამეკარგე! ვინ გიხმო აქ? დამეკარგე, თორემ  
თავპირს ჩაგამტვრევ!

მოზერ. ნუთუ ხუცესის უბედობამ ასეთ ფილოსოფოსს თავზარი  
დასცა? შესძელით მისი განქარვება! (გაღის)

ფრანცი (აქეთ-იქით ეხლება. მოუხვენრად არის. სიჩუმის შემდეგ შემო-  
ღის მსახური.)

მსახური. ამალია გაიქცა! გრაფიც მოულოდნელად გაქრა!  
(შემოღის ღანიელ).

ღანიელ. ბატონო ჩემო, მხედრების მთელი ჯარი სასახლისაკენ  
მოქრის და ყვირის: სიკვდილი, სიკვდილიო! ფეხზე დამ-  
დგარა სოფელი!

ფრანც. წადი, უბრძანე, უბრძანე ზარები დარეკონ! დაე საყდ-  
რისკენ გასწიოს ყველამ, მუხლი მოიდრიკონ და ჩემთვის  
ილოცონ! ყოველი პატიმარი ანთავისუფლონ! ლარიბ-ლა-  
ტაკებს ერთიორად, ერთისამად დავასაჩუქრებ... ნე... წადი,  
უხმე სულიერ მამას, დაე, განმტვირთოს ცოდვებისაგან...  
ისევე აქა ხარ?

დანიელ. ღმერთო, შემინდე მე ცოდვილსა! გონს ვერ მოვსულ-  
ვარ. თქვენ ხომ არასოდეს არ გწამდათ ღმერთი!

ფრანც. სიტყვა არ დასძრია! სიკვდილი მოდის! გესმის, სიკვ-  
დილი! აჩქარდი, თორემ დაგვიანდება! ილოცე, ილოცე-  
მეთქი!

დანიელ. არ გეუბნებოდით: „აი, თქვენ ლოცვებს აგინებთ,  
მაგრამ დადგება საშინელი წამი და“...

ფრანც. მაპატიე, ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო დანიელ,  
მაპატიე! შეგმოსავ თავით-ფეხამდე! ილოცე მეთქი! მუხლ-  
მოდრეკილი გვედრები, გაფიცებ ეშმაკის სახელს, ილოცე!  
ილოცე-მეთქი!

შვაიცერ (გარეთ). დაჰქარ! მოჰკალ! შეამტვრიე! სინათლე მო-  
ჩანს, უთუოდ იქ არის! მიდით იერიშით!

გრიმ. მონათეთ! ცეცხლი სასახლეს!..

ფრანც. ისმინე ლოცვა ჩემი, მეუფეო ზეცათაო! ეს პირველია  
და ვგონებ სხვა დროს არც განმეორდეს! გამიგონე, ცათა  
მპყრობელო...

დანიელ. ღმერთო ჩემო! ეგრე ღმერთს განა ვინ ევედრება!  
ეგ უფრო გმობაა, ვიდრე ლოცვა. (ცვივა ქვები, იმსხვრევა  
ფანჯრები. ცეცხლი ეღება სასახლეს).

ფრანც. დამბადებელო! მე არ ვყოფილვარ უბრალო მკვლელი,  
მცირედი არასოდეს არ შემიცოდავს, ყოვლის შემქმნელო!

**დანიელ.** შეუხდე, ზეციერო! მისი ლოცვაც ცოდვად იფქვევა! ფრანც არ ძალმიძს ლოცვა. აქ, აქ ცარიელია, ბნელით მოცული! არა, არა! არ მსურს ვილოცო! ზეცას არ ერგოს ეს გამარჯვება! ნურც ჯოჯოხეთმა იხაროს ჩემზე!

**დანიელ.** ღმერთო მოწყალეო! გვიშველეთ, გვიშველეთ, გვიშველეთ, ცეცხლი გაუჩნდა მთელს სასახლეს!

**ფრანც.** ჩქარა დაშნა ხელში დაიქი და ჩამეც მუცელში, რომ იმ უჯიშო ძაღლების საგინებელი არ გავხდე!

**დანიელ.** ღმერთმა დამიფაროს, მაგას რას მიბრძანებთ! მე ჩემს სიცოცხლეში ვერაფერს დამითანხმებს, რომ ვინმე უდროოდ ზეცას გავგზავნო, არა თუ...

**ფრანც.** ჯოჯოხეთში, გინდოდა გეტქვა. შენ მართალი ხარ, მე უკვე ვგრძნობ რაღაც მაგდაგვარს. (შერეულივით) ეგ სიმღერა იმათი ისმის... სისინი იმათი არის! ქვესკნელის გველნო, აქეთ მორბიან, კარებს მოაწყდნენ! რად მეშინია მომაკვდინებელი მახვილისა? კარი ჭახჭახებს, ჩამოვარდა! ხსნა აღარ არის! შენ მაინც მექმენ შემბრალებლად!.. (თავს იხრჩობს. შემორბის შვაიცერ, უკან რაზმი):

**შვაიცერ.** არამზადავ, მეჩვენე სად ხარ? ხედავთ, როგორ შემოეთანტნენ. ცოტა მოკეთე ჰყოლია. ის ძალღი სადღა მიიმალა?

**გრემ.** ეს ვინლა არის?

**შვაიცერ.** ჩვენთვის დაუსწრია! ხმლები ჩააგეთ! შეხედეთ, დაიხრჩვალ კატასავით ჰკიღია!

**შვაიცერ.** მკვდარია? როგორ, უჩემოდ მომკვდარა?

**რაცმან.** ნუ წუხარ, გათავებულა!

**შვაიცერ.** დიახ, სიხარულს გამოსალმებია. მკვდარია, მკვდარი... წადით და მეთაურს უთხარით: მოკვდა-თქო და მეც ვერაოდეს ველარ მიხილავს. (ღამზაჩას ღაიყმს).

მოხუცი მოორ, მის წინ კარლი

კარლ. იგი არ ბრუნდება! (ხანჯალს კლდეს ღარტყამს ისე, რომ ნაპერწკლები სცვივა).

მოხუცი მოორ. იყოს მისთვის პატიება სასჯელად, ჩემი შურისძიება—გაორკეცებულ სიყვარულად!

კარლ. არა, ვფიცავ ჩემს აღშფოთებულ სულს, ეგ არ იქნება, ეგ მე არ მინდა!

მოხუცი მოორ. ო, შვილო ჩემო, შვილო ჩემო!

კარლ. როგორ, შენ მისთვის ცრემლს აფრქვევ ამ აკლდამასთან?

მოხუცი მოორ. შემბრალებ, გემუდარები, შემბრალებ! დიახ, მე ჩემი შვილი ვაწამე და ახლა იგი მე მაწამებს. ეს ღვთის განგებაა. ო, კარლ, თუ დამფრენ თავზე მყუდროების სამყოფელიდან! შემინდე მე! ო, მაპატიე!

კარლ. თქვენ ასე გყვარდათ თქვენი მეორე შვილი?

მოხუცი მოორ. ღმერთია ამის მოწმე! ო, რად გაუგონე უმადურ ფრანკს, მის ცბიერ რჩევას? მე ვიქნებოდი უბედნიერესი მამა მთელ კაცობრიობის მამათა შორის! ვაგლახ, მე ვაგლახ! სიკვდილი მელის სხვის ხელში უშვილოდ, რომელსაც შეეძლო ჩემთვის თვალები დაეხუჭა.

კარლ. შენ მართალი ხარ, მოხუცო! შენი შვილი დაღუპულია შენთვის სამუდამოდ.

მოხუცი მოორ. სამუდამოდ? შენ ამბობ მაგას?

კარლ. მეტს ნულარ მკითხავ! დიახ, სამუდამოდ!

**მოხუცი მოზრ.** უცნობო, რად გამანთავისუფლე ამ ციხიდან?  
რად გამანთავისუფლე, რად?

**კარლ** არ იქნება, რომ ქურდულად დალოცვა გამოვტყუო და  
შერდეგ გადავიკარგო ღვთაებრივი ნადავლით? ამბობენ,  
მამის კურთხევა სამარადისოდ დაურღვეველია. მე დავუმ-  
სხვრიე შენს ციხეს კარები! დამლოცე!

**მოხუცი მოზრ.** ო, რატომ არ დაინდე ფრანცი, მამის მსხნელო?  
ღვთაება გულუხვია თავისი ლმობიერებით.

**კარლ.** დამლოცე, მოხუცო! დამლოცე!

**მოხუცი მოზრ.** იყავ ბედნიერი, როგორათაც იყავ შემბრალებ-  
ბელი!

**კარლ.** ო, სად გაქრა ჩემი ვაჟკაცობა?

**მოხუცი მოზრ.** სიბრძნე შენი იყოს სიბრძნე ქადაროსანთა  
და გული შენი იყოს უმანკო ბავშვისა!

**კარლ.** მემამბორე, ღვთაებრივო მოხუცო!

**მოხუცი მოზრ.** წარმოიდგინე, ვითომც მამის ამბორია. მე კი  
წარმოვიდგენ, რომ ჩემს შვილს ვემამბორები!

**კარლ.** მე წარმომიდგენია, რომ ეს მამის ანბორია! ვაგლახ!  
ცაო, მისმინე! მამავ, მამავ, ნულარას მკითხავ! შენი მსხნელი  
ავაზაკები და კაცისმკვლელები არიან და მათი ბელადი  
შენი კარლ!

**მოხუცი მოზრ.** კარლ! კარლ!

**კარლ.** მამავ, მამათა შორის უბედურზე უბედურო, შენ მოკვდი  
ჩემგან... მამა! მამა! (შეშლის გუნდი უჩაღებისა).

**გრიმ** მეთაურო!

**რაცმან.** ჩვენ დამნაშავენი არა ვართ, მეთაურო!

**კარლ** ვინ თქვენ? ვინ ხართ?

**შვარც.** შენ არც კი გინდა შემოხედო შენს ერთგულებს!..

კარლ. ვაი თქვენ, თუ ამჟამადაც ერთგულება გამიწიეთ...  
რაცმან. მიიღე შენი ერთგული შვაიცერის უკანასკნელი გამო-  
თხოვება! აღარ დაგიბრუნდება შენი ერთგული შვაიცერი!

კარლ. მაშ თქვენ იგი ვერ ნახეთ?

შვარც. ვნახეთ მკვდარი.

კარლ. გმადლობ, შენ, ზეციერო გამგებელო! გადამეხვეით, ჩემო  
ძმებო, ჩემო ბავშვებო! დღეის შემდეგ ჩვენი მიზანია ღმრ-  
ბიერება, და თუ ამის დროც გადასულა, ჩანს ყველაფერი  
ამაოა. (შეორე რაზმი და ამალია).

ყაჩაღი. მეთაურო, მეთაურო ნადავლი, საპატიო ნადავლი!  
ამალია (თმაჩამოშლილი)? აქ არის ტყეში? ცოცხალია? სად არის  
იგი? კარლ, კარლ! ესენი ყვირიან, რომ მკვდრები აღდგნენ  
შენს ხმაზე... რომ ბიძა ცოცხალია! სად არის იგი? კარლ!  
ბიძაჩემო! (მოხუცთან დაიხიბა).

კარლ. ვინ მოიხმო ჩემთან ეგ სახე?

ამალია. კვლავ ჩემთან არის! ო, ზეცის ძალნო, კვლავ ჩემ-  
თან არის!

კარლ. გავეშუროთ! თვითონ სატანამ მიღალატა.

ამალია. დანიშნულო, აღთქმულო ჩემო, შენ ჰბორგავ! ჰო,  
უთუოდ სიხარულისგან! ო, მარტო მე რად ვარ ასე უგრძ-  
ნობი, ასე ცივი ამ სიხარულის ქარიშხალში?

კარლ. მკერდიდან მომაცილეთ! მოჰკალით იგი? მომკალით მე!  
დე დაიღუპოს მთელი ქვეყანა!

ამალია. საით? სიყვარული მარადისობაა, სიხარული—უსაზღ-  
ვროება, და შენ გარბინარ?

კარლ. შორს, შორს ჩეგვან სასძლოთა შორის უბედურზე  
უბედურო!

ამალია. ღვთის გულისათვის, მომეცი თ ხელი! თვალთ მიბნელ-  
დება! იგი გამირბის!

კარლ. ჯოჯობეთის კერძო, აქ რომელმა თქვენგანმა შემო-  
მიტყუა? სულნო ჩემგან განწირულნო სიყვარულის ჩანასახ-  
შივე, გასრესილნო საღვთო ძილის ეამს!..

ამალია. მაშ მართალია, ღმერთო ზეციერო, მაშ მართალია?  
რით შეგცოდე მე უბედურმა? იგი მიყვარდა!

კარლ. ეს კაცის ძალ ღონეს აღემატება. ჩემს ირგვლივ სიკვდილი  
ათას ლულიდან ბევრჯერ წიოდა, მაგრამ არც ერთხელ არ  
შევმდრკალვარ იმის წინაშე. და ნუთუ ახლა დედაკაცივით  
ავცახცახდე ქალის წინაშე? არა, დედაკაცი ვერ შეარყევს  
ჩემს ვაჟკაცობას. (სურს გაფარღეს).

ამალია. მკვლელი! ბოროტო! უშენოდ ყოფნა არ შემიძლია.

კარლ. შორს ჩემგან ცბიერო გველო! შენ გინდა აბუჩად აიგდო  
ჩემი სიშმაგე, მაგრამ მე დაგძლეე ჩემს მტარვალ ბედს.  
რად ტირი? ო, ურცხვო, ღვარძლიანო ბედო! სახეს მაჩ-  
ვენებ, თითქოს ტიროდე, თითქოს მყავდეს ვინმე კიდევ  
დამტირებელი!

ამალია. კარლ, კარლ!

კარლ. ამას რას ეხედავ? ხელი არ მკრა, არ მიცილებს. ამა-  
ლია, იქნებ შენ დაგავიწყდა, ვის ეხვევი, ამალია?!

ამალია. ერთადერთს ჩემთვის განუყრელს, განუშორებელს!

კარლ. მან მაპატია. მას მე ვუყვარვარ, წმინდა ვარ, როგორც  
ზეცის ეთერი! ო, უცქირე, სინათლის შვილნი ცრემლებს  
აფრქვევენ, ატირებულნი ბოროტ სულეებთან! მაშ თქვენც  
იტირეთ, იტირეთ! თქვენც ხომ ბედნიერნი ხართ. ო, ამა-  
ლია, ამალია! (კოცნის).

რაცმან. სდექ, მოლაღატევე! განუშორდი, თორემ სიტყვას გე-  
ტყვი, ყურში აწივლდეს და კბილებმა ელდისგან ღრქენა  
დაგიწყოს.

**პირველი.** ბოჭემის ტყე გაიხსენე, გესმის, ბოჭემის ტყე!  
**მეორე.** რად ყოყმანობ! გაიხსენე ბოჭემის ტყე!

**პირველი.** უპიროვ, სად გაქრა შენი ფიცი? განა კრილობებს ასე მალე იფიწყებენ? როცა ჩვენს ბედნიერებას, სახელს და სიცოცხლეს შენთვის ვწირავდით, როდესაც ჩვენ შენი სიცოცხლის დასაცავად მტკიცედ ვიდექით, როგორც კედელი, როგორც ფარი, განა შენ მაშინ არ აღაპყარ ხელი ზეცისაკენ და არ შემოგვფიცე, რომ არასოდეს დაგვტოვებდი, ისე როგორც ჩვენ განუყრელი ვიყავით შენთან?.. ფიცის გამჩეხო! ვისი გულისთვის გინდა დაგვტოვო? ამ გომბიოს წრიპინის გამო?

**შვარც.** ნუთუ არ გრცხვენის ფიცის დარღვევა? როლერის სულიც გაწითლდებოდა შენს სილაჩრებზე და შექპურვილი საფლავიდან აღსდგებოდა შენს დასასჯელად.

**გრიმ.** აჰა, უცქირე... ამ კრილობებს! აჰა, უცქირე!

**პირველი.** აჰა, უცქირე!

**ჟგვლა.** აჰა, უცქირე!

**რაცმან.** არ გეცნობა შენ ეს კრილობები? ჩვენი სისხლით ნაციდი ხარ! სულით და ხორციით ჩვენი ხარ, ჩვენი! თუნდაც ამისთვის თვით მოლოხი შეებრძოლოს მიქელ გამრიელს. წამოდი ჩვენთან! მსხვერპლისთვის მსხვერპლი! ამალია რაზმს შეეწიროს.

**კარლ.** მორჩა ყოველი. მონანიება მოვინდომე, მაგრამ ზეცამ სხვარიგ განსაჯა. ბეცო, უკუნურო! დიდ ცოდვილს განა შეუძლია უკუმოიქცეს? არა! არასოდეს!

**ამალია.** შესდექ, შესდექ! დამიც მახვილი! კვლავ მარტო დავრჩი. დამეც მახვილი და მით შემებრალე!

**კარლ.** მებრალემა, დათვებს ხვდათ წილად, მე შენ ვერ მოგკლავ.

ამალია...ო, ღვთის გულისათვის! გემუდარები! სიყვარული ჩვენთვის საჭირო აღარ არის. დიახ, კარგად ვიცი, ჩვენი ვარსკვლავნი გადამტერებულან და ერთმანეთს გაურბიან. მხოლოდ სიკვდილს გემუდარები... მიტოვებული, მიტოვებული! გესმის შენ ამ სიტყვის საზარი ხმები? მიტოვებული! არ ძალმიძს ამის გადატანა. შენ თვითონ ხედავ, ქალს არ შეუძლია ამის გადატანა! სიკვდილს გთხოვ მხოლოდ! ხედავ, ხელი მიკანკალებს, ძალა არ მყოფნის თავი მოვიკლა. ბასრი მახვილის მე შეშინია... შენთვის კი იგი რა ადვილია—შენ ხომ მკვლელობის ოსტატი ხარ. დამეც ლახვარი და გამაბედნიერე!

კარლ. მაშ მხოლოდ ერთს გსურს ბედნიერება? გამშორდი, მე დედაკაცის მკვლელი არა ვარ.

ამალია. მაშ თქვენ მაინც შემიბრალებთ, თქვენ, ალქაჯის შეგირდებო! თქვენს თვალებში ისეთი სისხლიანი თანაგრძნობა გამოკრთის, რომ უბედურს უნებლიეთ ამხნევებს. არც ერთი მეგობარი, არც ერთი მეგობარი თვით ამათ შორის! დიდონა, შენ მაინც მასწავლე, სიცოცხლეს როგორ გამოვესალმო! (ერთი ყაჩაღი უმიზნებს).

კარლ. სდექ! გაბედე მხოლოდ!.. მოორის სატრფო მოორის ხელითვე უნდა მოკვდეს!

პირველი. მეთაურო!

მეორე. მეთაურო!

გრიმ. რას ჩადი?

რაცმან. ხომ არ გაგიჟდი?

კარლ. შიგ გულში! ერთი შერხევა და მორჩა ყველაფერი! (კლავს ამალიას). აბა უცქირეთ, სხვა რაღა გინდათ? ჩემთვის თქვენ სიცოცხლეს სწირავდით, სიცოცხლეს, რომე-

ლიც თქვენ აღარ გეკუთნოდით, მე კი ანგელოზი მოგვკალ  
თქვენი გულისთვის!

შვარც. დამშვიდდი, მეთაურო! წამოდი ჩვენთან! ამგვარი სანა-  
ხაობა შენ არ შეგფერის. კვლავაც გავვიძებ!

კარლ. მოიცა, ერთი სიტყვაც უკანასკნელად! თქვენს მეთაუ-  
რად ამიერიდან ნულარ მიგულებთ! საითაც გასურდეთ  
იქითკენ წადით!

რაცმან. მხდალო, სად არის შენი მაღალფარდოვანი გეგმები?  
საპნის ბუშტები იყო განა, რომ გაქრენ ქალის სულის  
ერთი შებერვით?!

შვარც. წაართვით მახვილი, მას შეუძლია თავი მოიკლას!

კარლ. უგუნურნო, საქუდამოდ დაბრმავებულნო! ნუთუ გგო-  
ნიათ, სიკვდილს შეეძლოს მომაკვდინებელი ცოდვების გა-  
მოსყიდვა? ამალია! აქეთ რომ მოვდიოდი, ერთ საწყალ  
დღიურ მუშას ველაპარაკე, რომელსაც თერთმეტი ბავშვი  
ჰყავს შესანახი. ათას ოქროს დაჰპირდნენ მას, ვინც განთ-  
ქმულ ყაჩაღს კარლ მოორს ცოცხლად შეიპყრობს. ღარი-  
ბისათვის ეს ურიგო დახმარება არ იქნება!

რაცმან. დეე დარჩეს! განა ვერ ხედავთ, დიდების მანიით  
შეპყრობილია, სიცოცხლეს სწირავს ფუყე პატივმოყვა-  
რეობას! მოლალატევ, ასე ვწყვეტთ ძმობის კავშირს ამი-  
ერიდან უკუნისამდე! ძმებო, მომყევით!

Buzatino



კოსინსკი. ვაჟკაცები!

შვაიცერ. ჩვენ ხომ ეს დავამტკიცეთ, მეთაურო!

კოსინსკი. მე იმ ხალხს ვეძებ, რომლებიც სიკვდილს თვალელებში უცქერიან და რომლებიც თავისუფლებას სიცოცხლეზე მაღლა აყენებენ; რომელთა სახელი ღარიბისთვის და ჩაგრულისთვის საამო მოსასმენია, ხოლო მტარვალებს შიშის ზარს სცემს!

შვაიცერ (მეთაურს). ეგ ყმაწვილი მე მომწონს. გამიგონე, მეგობარო, შენ ვისაც ეძებ, ისინი ნაპოვნი გყავს.

კოსინსკი. დიახ, მეც ასე ვგონებ და იმედი მაქვს ერთმანეთს მალე ძმობას შევფიცავთ. მაშ მითხარით, ვინ არის თქვენი მეთაური, განთქმული გრაფ ფონ მოორი?

შვაიცერ (ხელს მხურვალედ ჩამოართმევს). კარგო ყმაწვილო! მოდი, ჩვენ ერთმანეთს შენობით ველაპარაკოთ.

მოორ. თქვენ იცნობთ იმ მეთაურს?

კოსინსკი. ეს შენ ხარ! მაგნიარ სახეს ვინც კი ნახავს, განა ვერ მიხედება? (ღიზნის უცქერს). მუდამ ვნატრობდი, ის მეთაური მენახა, საშინელი სახის გამომეტყველი, ჩამომჯდარი კართაგენის ნანგრევებზე, მაგრამ ახლა ამას აღარ ვნატრობ.

შვაიცერ. ყოჩაღ!

მოორ. თქვენ ჩემთან რამ მოგიყვანათ?

კოსინსკი. ო, მეთაურო! ჩემმა ბედმა, უბედურზე უბედურმა! ამ ცხოვრების ზღვაში შთაინთქა ჩემი იმედის ნავი და მე აღარაფერი დამშთენია, გარდა მწარე მოგონებისა, რომელსაც შეუძლია კჳუიდან შემშალოს, მაგრამ ზრახვა მაქვს და ეს მაკაეებს.

მოორ. აი კიდევ ერთი, რომელიც ღმერთისგან ვალის გადახდას მოითხოვს! განაგრძეთ!